რევაზ კვერენჩხილაძე

რევრესირებული ოჯახის ისტორია

თბილისი, 2006
„ეროვნული მწერლობა"

УДК (უაკ) 343.43 (479.22)
კ – 452

რედაქტორები: **რევაზ ართილაყვა**
ჯემალ ცერცვაძე

მხატვარ დიზაინერი: **მალხაზ თავაძე**
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ზაზა ჩუგოშვილი**

ISBN - 99940-0-970-2

შინაარსი

დედა — ბავშვობა; მასწავლებლობა აჭარაში	7
დედა გურიაში, ხორეთი; — მამა, ადრინდელი დაპატიმრებანი	10
ბათუმი; 1937 — დაპატიმრება; ბათუმის ციხე, გადასახლება	22
ბინიდან გამოსახლება; ბებია, შუათანა ძმა, წართმეული ბავშვობა და ქალაქი	39
ხორეთი, ომი, ბიძაჩემის დაჭრა, გაჭირვება, შიმშილი	48
დედა ბრუნდება; სამეგრელო	69
ძმების დაკარგვა ომში	74
დედა თბილისში; ხელმეორე დააპატიმრების შიში; 1956წ. 9 მარტი; 1989წ. 9 აპრილი	77
მამის ბედი; საგირგოლო ღელე	83
უნივერსიტეტი; მწერალთა კავშირი	85
ლიტერატურული მუშაობა	88
შვილები, შვილიშვილები	102

დამატება

I. ნარკვევებისა და წიგნებისათვის ცნობების მოწოდება; გამოხმაურებანი	103
II. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი ლიტერატურული წერილები და ნარკვევები რეპრესიებზე	116
III. ახალგაზრდობაში ნავარჯიშევი: სამი ლექსი, ჩანახატები, ეტიუდები	129
IV. ვალერიან კვერენჩხილაძე, მშობლიურ მხარეს (პოემა)	150
V. კვერენჩხილაძეთა საგვარეულო ნუსხები	171

ეძღვნება

1937 წელს დახვრეტილ მამას – კასიანე ბესარიონის ძე კვერენჩხილაძეს;

1937 – 1945 წლებში „გულაგის“ ბანაკებში (სეგეჟა, აკმოლინსკი – „ალჟირი“) განაწამებ დედას – მარგალიტა ესტატეს ასულ მიქავა – კვერენჩხილაძეს;

„სამშობლოს მოღალატე“ მშობლების გამო ბევრჯერ გამწარებულ, მეორე მსოფლიო ომში დაკარგულ ძმებს – გედევანსა და ავთანდილს;

გამზრდელებს – ბებია მარინეს, ბიძას – ილია (ილიკო) ბესარიონის ძე კვერენჩხილაძეს, ბიცოლას – ანა (ანიჩქა) არაშიძე – კვერენჩხილაძეს

საუკეთესო საგვარტომო
ნუსხა – ეს სამშობლოსათვის
და კაცობრიობისათვის გაწეული
სამსახურია

ჟაკ დელილი

(1738 – 1813) – ფრანგი პოეტი და
მთარგმნელი, საფრანგეთის
აკადემიის წევრი

ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესოა ჩვენი საგვარტომო ნუსხა (დაბადება–გარდაცვალების წლების დადგენა ვერ მოვახერხე), ან ჩვენი ოჯახის ისტორია, მაგრამ, ეფიქრობ, მაინც სასარგებლო საქმე გავაკეთე.

საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ქცეული ჩვენი ოჯახის ისტორია საჯაროდ იმიტომ გამოვაქვს, რომ მასში ნათლად ჩანს მწარე სვედრი კომუნისტური პარტიის დიქტატურის ხანაში, XX საუკუნის 20 – 30-იან წლებში (და არამარტო ამ ათწლეულებში) საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, ჩატარებული დიდი ტერორის დროს გაჩანაგებული, წამებული, გადასახლებული, იძულებითი კატორღული შრომით ილაჯგაწყვეტილი, სიცოცხლეშემოკლებული, დახვრეტილი ათეული ათასობით ადამიანისა, რომელთაგან ნაწილს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა არავის მიმართ, აურაცხელს კომპარტიისაგან განსხვავებული, სმამაღლა გამოუთქმელი აზრი ჰქონდა, მრავალმაც ეს აზრი და უკმაყოფილება გამოამჟღავნა და საწინააღმდეგოც მოიმოქმედა, უამრავს, „ჩეკას“ ტერმინით რომ ვთქვათ, განუცხადებლობა (დაუსმენლობა) არ აპატიეს, დიდძალი თანამებრძოლი, თანაპარტიელიც თუ პარტიის სადამსჯელო ორგანოების თანამშრომელი მოიცილეს, როგორც არასასურველი მოწმე.

სამწუხაროდ, იყო ხალხი, რომელსაც საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრი არ ანებებდა სხვების შეცოდებას. ამას კაცი ასე თუ ისე გაიგებს...

ისეთებიც იყვნენ, სხვისი უბედურება რომ არაფრად

მიაჩნდათ. ამჩაირებზე ხალხს უთქვამს: სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირია. ამასთან შეგუება ძნელია, მაგრამ რას იზამ – რეალობაა.

მაგრამ იყვნენ ამაზე უარესები, ვისაც სჯერიოდა, პოლიტიკურად რეპრესირებულნი მართლაც ხალხის მტრები იყვნენ და მათ დედაბუდიანად მოსათხრელად თვლიდნენ. ასეთებიდან ზოგიერთებს მაშინ მიეზღო სამაგიერო, მაშინ გაუხდა საქმე თავ-პირში მუშტების წასაშენად და ასაბღაველებლად, როცა ჩრდილოეთის ასაშენებლად თავად უკრა თავი ციმბირში იმ ხელისუფლებამ, რომელიც მუქთი მუშა-ხელის საშოვნელად დაპატიმრებათა რაოდენობრივ ლიმიტებს იყენებდა.

ამათზე უარესი იყო ისეთი ჯურის ადამიანი, ვინც სული ეშმაკს მიჰყიდა და ხალხს ასმენდა, იმ მეზობელსაც არ ინდობდა, ვის სუფრასთან ხშირად მოულხენია, ხანდახან ნათესავსაც არ იბრალებდა და აბეზღებდა...

მაგრამ უფრო დიდი ცოდვა ისაა, რომ ზოგიერთები დღესაც ამტკიცებენ: კომუნისტებს არავითარი პოლიტიკური რეპრესიები არ ჩაუტარებიათ, სტალინმა დახვრეტების შესახებ არაფერი იცოდა, ბერიას კი საქართველოსთვის სიკეთე უნდოდათ...

უფრო შემზარავი იმის მტკიცება გახლავთ, როცა იძულებულნი არიან რეპრესირება აღიარონ, მაგრამ ასე ამართლებენ: სისასტიკის გარეშე მძლავრი სახელმწიფო ვერ შეიქმნებოდათ და მხედველობაში ჰყავთ საბჭოთა კავშირი, თითქოს ის იყო მათი სამშობლო და არა საქართველო. ამას ქვია ვიღაცას მამა დავიწყნოდა და მამინაცვალს იფიცებოდათ.

და თუ კომუნისტურ საქართველოში ნაცხოვრები ზოგიერთი ქართველი ამას ამტკიცებს და ეს სჯერა, ამათი მომსმენი, იმ უბედური დროის შემდეგ დაბადებული, XX საუკუნის ყალბი და ცრუ პრესის წამკითხველი თაობები როგორ დაიჯერებენ თუ რა ცოდვა ტრიალებდა ტაშისკვრისა და „ვაშას“ ძახილის მიღმა, ქლესა სიტყვებისა და მლიქვნელური ლექსების იქით, თუ ჩვენ საბჭოური პერიოდის საბუთებით, მათ შორის, ჩეკა – შინსახკომის დოკუმენტებით, წამებაგადატანილთა ნაამბობით, გადასახლებაში მიწერილი თუ განსაკუთრებით იქიდან გამოგზავნილი წერილებით,

იქიდან (თუ მოხერხდა) ჩამოტანილი ბარაკში ან ციხეებში, გადასახლება – „თავისუფალ დასახლებაში“, ან შემდგომ მოპოვებული ნიეთებით, საწამებელი იარაღებით, პატიმრის დანომრილი ტანსაცმლით და ა.შ. აგრეთვე რეპრესიებზე დაწერილი ნარკვევებით და წიგნებით არ გაეაგებინეთ ფართო საზოგადოებას, მომავალ თაობებს ტოტალიტარული რეჟიმის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებანი?!

და რაც მთავარზე უმთავრესია – ეს კეთდება იმისთვის, რომ დღევანდელი და მომავალი თაობები ფხიზლად იყვნენ, რათა არ გამოეპაროთ ამ საშინელებათა განმეორების დაწყების ცდა!

სწორედ ამისთვის და არამარტო ჩემი გულის მოსაოხებლად დაიწერა ჩვენი რეპრესირებული ოჯახის ისტორია.

დედა – ბავშვობა; მასწავლებლობა აჭარაში

ჩვენი ოჯახის ტრაგედიის თხრობას ვიწყებ დედაჩემის მოგონებით. 1896 წელს დაბადებული დედაჩემი, მღვდლის ესტატე ცაკვას ძე მიქავას ასული მარგალიტა კვერენჩხილაძე ასე იხსენებს თავის ბავშვობასა და ახალგაზრდობას:

„ხანშესულ ადამიანს ბავშვობასა და სიჭაბუკეში განცდილი ამბები უკეთ აგონდება, ვიდრე, ვთქვათ, გუშინდელი. ჩემი ცხოვრების შთაბეჭდილებები განსაკუთრებით ცხოველია, შეიძლება იმიტომ, რომ ბავშვობის დღეები გაუსაძლისად მწარე იყო ჩემთვის.

გუშინდელ დღესავით მახსოვს იმის სიმწარე, როგორ ჩამომაშორეს სწავლას ჩემმა მშობლებმა ერთ წელიწადში მათი სამი ვაჟიშვილის სიკვდილის გამო, სწავლა მინდოდა, მაგრამ შიშით ერთ ძმას, რომელიც დაგვრჩა, ვერ ვცილდებოდი, ეფიქრობდი ესეც არ მოგვიკვდეს-მეთქი.

რადგან სწავლას ჩამოცილებამ ჩემზე გამანადგურებელი გავლენა იქონია,ისევე დამაბრუნეს სკოლაში. ჩემი სოფლიდან 12 ვერსით დაშორებული ორკლასიანი სასწავლებელი მე ვადამდე დავამთავრე, რადგან დიდი მონდომებით ვსწავლობდი და მასწავლებლებიც მეხმარებოდნენ. ბინა

ბებიაჩემის ძმისწულ მონაზონთან მქონდა, რომელიც იქვე წალენჯიხის ეკლესიის ეზოში თავის ოროთახიან სენაკში ცხოვრობდა და იმავე ეკლესიის მსახური იყო.

გულშემსარავად მაგონდება ის სამი წელი, რომელიც მონაზონ მართა გულუას სენაკში გამიტარებია. მწარე მოსაგონარია ჯერ შიმშილი და მერე მისი დანასაყით მახვილი,გულზე დასასობი სიტყვები. ეს ქალი რამდენადაც ლამაზი იყო, იმდენად უხეში, უმოწყალო და საშინელი ასატანი გახლდათ. ვინ მოიკლის რამდენი მშიერი დღეები გამიტარებია, მაშინ როდესაც ჩემს მშობლებს ყველაფერი ბლომად მოჰქონდათ. ჩემი დღესასწაული შაბათი იყო. ამ დღეს მე შინ მიკდიოდი. გზაზე ყველა გაკვეთილს დავამზადებდი. დიდი დრო მრჩებოდა მესიამოვნა მშობლებისა და ჩემი ერთადერთი ძმის ყურებით.

არასდროს არ დამავიწყდება როგორ დადიოდნენ ჩემი მშობლები მკითხავებთან იმის შესატყობად თუ რისგან დაეხოცათ მათ შვილები. მკითხავებმა ჩემს მშობლებს გარდა იმისა,რომ კარგა ძალი ფულები დაცანცლეს,ჩალის ფასად გააყიდვინეს ოდა სახლი, რომელშიც მათი თქმით, ეითომდა ნამეხარი ფიცრები ერია და ამიტომ ღმერთმა დაგსაჯათო... მართლაც,მე მოწმე ვარ,ჩალის ფასად კი არა, ერთ ღერ ჩალად გაყიდეს წიფლის ორთვალი ოდა-სახლი, რომლის შემდეგ დიდხანს არ ღირსებიათ ახლის აგება.

ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მე ზუგდიდის ეპარქიალურ სასწავლებელში შევედი. როგორც ნიჭიერ მოსწავლეს, სხვა გამორჩეულებთან ერთად მეც სტიპენდია 25 მანეთი მეძლეოდა წელიწადში.

1914 წელს წარმატებით დავამთავრე სასწავლებელი და იმავე წლის სექტემბერში ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის სამასწავლებლო სკოლაში ორ ჩემს ამხანაგთან ერთად ჩავაბარე გამოცდა, მაგრამ დიდხანს არ მისწავლია ავადმყოფობის გამო. 1915 წელს ისევ დავბრუნდი იქ, მაგრამ ავადმყოფობამ ისევ მაიძულა რამდენიმე თვის მერე შემეწყვიტა სწავლა.

1916 წლის ოქტომბერში მამაჩემმა ბათუმში დეიდასთან წამიყვანა და სამკურნალოდ დამტოვა.

პირველი მსოფლიო ომი მთელი თავისი სიმძაფრით მიმდინარეობდა. ბოლოს სკოლებიდან მასწავლებლებიც კი

გაიწვიეს და სკოლები მასობრივად დაიხურა. ერთ-ერთი ნათესავის რჩევით მასწავლებლობა დავიწყე ქობულეთის რაიონის სოფელ ფიჭვნარის სამკლასიან სკოლაში. სრულიად ახალგაზრდა ქალი აჭარლებმა ძალიან კარგად მიმიღეს.

ქობულეთის ხელისუფლებამ ბინა ერთ მაშინდელ დიდ ოჯახში მიმიჩინა. არასდროს არ დამავიწყდება ამ ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებები. პირველად იქ ვნახე მსხმოიარე ფორთოხალი და ლიმონი, დეკემბერში ხეზე აუარებელი ვაშლი, ოდა-სახლის ქვეშ ათობით დაკლული ქათმები, რომლებსაც დიასახლისები საჭიროებისამებრ ამოქნიდნენ ხოლმე. დღევანდელსავით მახსოვს თუ როგორ მიკიჟინებდა ჩემი დიასახლისი: „უიმე ქალო, წაწყდები, სახე გიჩანსო“.

ამ ოჯახში სამი ქვრივი იყო, რადგან ოთხი ძმიდან სამი სისხლის აღების მსხვერპლი გამხდარიყო.

მახსოვს თუ რა დიდ პატივს მცემდნენ ამ ოჯახში, რა ძვირფას ლოგინში მაწვენდნენ, უსათუოდ წინასწარ უნდა მეთქვა თუ რას ვინდომებდი მეორე დილას საუზმედ.

სამი კლასი მყავდა, მოსწავლეთა რიცხვი სულ 39–ს უდრიდა. თითქმის ყველანი მოწიფულები იყვნენ. საკლასო ოთახში ფესკებს არ იხდიდნენ. ერთ დღეს მე საუბარი ჩავუტარე ამის შესახებ. ზოგმა გაიგონა და ქუდი მერხის უჯრაში შეინახა, ზოგიც გაჯიუტდა. მეცადინეობის შემდეგ ვერც კი მოვასწარი სკოლიდან გამოსვლა, რომ მშობლები მოცვივდნენ და ერთი ამბავი დამათენეს: „უჩიტელო, ჩვენი კაცი ხელმწიფესთან თავდახურული შედისო“, ძლივს გადავრჩი.

მეორე, ძალიან შემაწუხა იმან, რომ ბინაში დიდრონი ეაუები დაუკითხავად შემოდიოდნენ და მეუბნებოდნენ: „უჩიტელო, გვასწავლე წერა-კითხვა, რამდენი გინდა, ოქროს მოგცემთო.“.

სკოლის კედლებიდან და ისიც სამღვდელოთა წრიდან ახლადგამოსულ, ჩემისიანა მოკრძალებული ახალგაზრდისათვის მეტად ძნელი იყო იმგარემოცვაში ყოფნა და ამიტომ გადავწყვიტე იქაურობას დავმშვიდობებოდი.

იმავე 1916 წელს, დეკემბერში არდადეგების დროს განცხადებით მივმართე ბათუმის განათლების განყოფილებას, რათა გადავეყვანე სადმე სხვა სკოლაში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ეპარქიალური სასწავლებელი, რომელიც მე დავამთავრე, თავისთავად იძლეოდა ერთ-კლასიან სკოლაში მასწავლებლობის უფლებას, მაგრამ მე ამით არ დავკმაყოფილდი და მასწავლებლის უფრო მაღალი ცენზის მისაღები გამოცდები ჩავაბარე ქუთაისში. ჩემი განცხადების თანახმად მე ჩოჩხათის თემის ერთ-ერთი უბნის — სოფელ ხორეთის ერთკლასიანი სკოლის გამგედ დამნიშნეს".

აი ასე, სოფელ ხორეთში მოსელით ამთავრებს დედაჩემი თავისი ბავშვობისა და ქალიშვილობის წლებზე თხრობას.

დედა გურიაში, ხორეთი; მამა — ადრინდელი დაპატიმრებები

ჩვენი მშობელი ხორეთი არის
წარსული ყოფის მოსაგონარი,
ჩვენთვის განთქმული სიმშვენიერით,
მიმზიდველი და ღირსსახსოვარი
ვალერიან კვერენჩხილაძე

აქ, ხორეთში, დედამ გაიცნო და ცოლად გაჰყვა აქაურ მკვიდრს, 1893 წელს დაბადებულ კასიანე ბესარიონის ძე კვერენჩხილაძეს.

1919 წელს მათ შეეძინათ ვაჟი გედევანი; 1921 წელს — ავთანდილი, 1928-ში დაებადებულვარ მე — რევაზი.

* * *

მამას ჰყავდა ექვსი და, აგრეთვე უმცროსი ძმა, ილია (ილიკო), რომელთანაც ერთად ცხოვრობდა მამისეულ ოჯახში.

ამბობენ, მეხუთე თაობის წინაპრები აღარ ახსოვთო.

ბაბუებს არცერთს არ მოვსწრებივარ, არც მამის, არც დედის მხრიდან, მაგრამ მამაჩემის მამის ძმები ვიცი. როგორც ზოგიერთ მათგანზე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი

ვალერიან კვერენჩხილაძე წერს თავის პოემაში,

ესენი იყვნენ ბრძენი მოხუცნი
არსენ, ვასიკა, იოსებ, ბესია,
მსგავსებს ბევრს ნახავთ, თვით კი ისინი
ერთიმეორეს უკეთესია

ერთ კუთხედ ღირდა თითო მათგანი:
მათი შრომა და ოჯახი, ყოფა,
ძმობა, ერთობა, გამოცდილება
სამაგალითოდ კუთხეს ეყოფა.

ყველა კვერენჩხილაძის წინაპარი კი გრიგოლი უნდა იყოს ისევ და ისევ ჩვენი წარმომაველობის დაუცხრომელი მაძიებლის ვალერიან კვერენჩხილაძის მიხედვით (მისი პოემა „მშობლიურ მხარეს" იხილეთ ამ წიგნის დამატებაში).

კვერენჩხილაძეთა ჩვენი შტო ასე უნდა მოდიოდეს: გრიგოლ– დიტო – ბესარიონ(ბაბუაჩემი) – კასიანე (მამაჩემი).

დიტოს ძმები არ ვიცი (ერთი ლაზარე ხომ არ არის?) მაგრამ მათი ადგილის აღდგენის, ესე იგი კვერენჩხილაძეთა კიდევ ოთხი შტოს წინაპართა ადგილის მონახვის ცდას ერთი წინაპრიდან მათი წარმოშობის ვერსიის მიხედვით ასევე ი.პოვით დამატებაში. ესაა, რომ ვიღა დამიდასტურებს ამის სისწორეს?!

ეს წარსულის ცოდნის სიძნელენი, მაგრამ ნელ-ნელა მომავალ თაობებსაც რომ ეშორდებით?!

მე უკვე ნელ-ნელა ვკარგავ ურთიერთობას, ჩემი მორიდებული ხასიათიდანაც გამომდინარე, მამიდაშვილების შთამომავლობასთან. არადა მინდა ჩვენი გვარის, კერძოდ, ამ გვარის ჩვენი შტოს მომავალმა თაობებმა კარგად უწყოდნენ მათი წინაპრების ვინაობა და საქმენი.

ჩვენსა და ჩვენი ნათესაობის ისტორიაში ყველაფერი ყველასთვის საინტერესო ვერ იქნება, მაგრამ საკმაოდ მრავალრიცხოვან ჩვენს სანათესაოს დაეხმარება წარმომაველობის ცოდნის საქმეში; ამასთან ერთად ჩვენს წარსულში არის ზოგი ისეთი რამ, რასაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩემიანებზე, ჩემს ბიძასა და ბიძაშვილებზე, მამიდებსა და მამიდაშვილებზე შეეაჩერებ

თქვენს ყურადღებას.

ექვსი მამიდიდან სარა და მაშო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში სახლობდნენ. სარა ცოლად ჰყავდა ონისიმე ბარამიძეს, რომელიც კეთილ, წყნარ მოხუცად დამამახსოვრდა. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი: ქსენია (მიხეილ – მიშა ურუშაძის მეუღლე, დარჩათ ერთი ქალიშვილი), დაეარ – დარიკო (რომელსაც კიდევ შევხვდებით) და სამი ვაჟი.

ამ საქმიანი და ფხიანი ბიჭებიდან (კოლია, შოთა, დავითი) ლიდერის როლს ასრულებდა შოთა ბარამიძე. ეს მრავალ ჭირგადანახადი კაცი მშვენიერი ცოლის მარუსიასა და ანგელოზი ბიჭუნას დაკარგვამ გაანახევრა, კინადამ მოსპო, ახლობლები შიშობდნენ როგორ გადაიტანსო. მაგრამ მადლობა ღმერთს, არ გატეხდა. უდაოა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ფრონტზე მყოფს, იქაურმა საზრუნავმა არ დაანება დაძაბუნება...

ამ ამბებმა ჩემზე, 13 წლის ბავშვზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, სტუდენტობისას კიდეც ჩამიწერია, რაც მაშინ ვნახე, განვიცადე, მარინე ბებიასა თუ მაშო მამიდასაგან მოვისმინე და გავიგე. ახლა სწორედ ამ ჩანაწერს წარმოგიდგენთ ოდნავ რედაქტირებულად:

1941 წლის 22 ივნისი, სოფელი ჯურუყვეთი, ონისიმე ბარამიძის ეზო:

აი, ვაშლის ხის ამოკუზულ ფესვზე ძლივს გადააბიჯა მარჯვენა ფეხი შოთა ბარამიძის პირმშომ, პატარა თამაზმა, მერე მაჯის სისხო ვაზს ხელი ვერ შემოაწვდინა, მაგრამ რაც ძალ-ღონე ჰქონდა, მოუჭირა. ტანით ვაზისკენ გადაიზნიქა...

დედამისმა შეშფოთებული თვალებით გაჰხედა, სმის ამოღების ეშინოდა – არ დავაფრთხო, არ წაიქცესო და როცა თამაზმა მარცხენა ფეხიც გადაიტანა, დედამ შვებით ამოისუნთქა, თავის საქმეს მიჰხედა და ახლა დაინახა, რომ გობის ნაცვლად მიწა მოეთეთრებინა გაცრილი ფქვილით.

თამაზი კი ოდნავ ენამოწლექით ბუტბუტებდა: ვაშლი ლომ დამწიფდება, ცვენი პაპა გავა ზეთ, ამ ვენახს ხელს მოჰკიდებს და გავა კენწელოზე, მომიკრეფს ბევლ, ბევლ

ბეხეეხი ჩაბეცხეოლნ ელეენე ბიქ.ე. (ლეგლეხელის ლეგლ).ნ. ... ლეოლ
(ჩაბმხელის ლეგლ).ჩანიენ (ბაბ.ეის ძმის ეხეეის ბეეელეე)



ბეხარეოლ (ბეხია)
ძეერეენხიელაბე – ბაბეა

ლეეენ – ...�еле ...анеоли? ...ъ...ли, ხხელენნ ბაბეის
ძმ ეხეეეეძმ.ი ბეეელეე ჩანიენ.ბეხეეხელ
ხეელლი. V ...

კახიანე კვერენჩხილაძე

მარგალიტა კვერენჩხილაძე

კახიანე და მარგალიტა კვერენჩხილაძეები

დედა. ფოტო გიჟი კვერენჩხილაძისა (ალექსანდრია)

ბუდუკან ყვარელიძე. 1941 წ

ავთანდილ ყვარელიძე. 1940წ

ბუდუ, რეზიკო, ავთო ხორავა, ოდის წინ

რეზიკო



G. Gerds Aug. 1958

ვაშლს...

კრიახებენ ქათმები. აცხუნებს მზე, რახრახით ჩაიარა ბათუმ-ფოთის სააგარაკო მატარებელმა...

სადგურის მხრიდან მანქანის ხმა მოისმა...

– რა ამბავია? – გასძახა მეზობელმა აღმართში ქოშინით მომავალ, სახეშეძრწუნებულ მეზობელს.

– ომი!.. ომი დაიწყო!..

ამის გაგონებაზე თამაზის დედას ტანში გააჟრჟოლა, სახე გაუფითრდა...

– ლა იყო დედა? – დიდიეით სერიოზულად ჰკითხა თამაზმა. დედამ ბავშვი მკერდზე მიიხუტა, მკლავები მოუდუნდა და თამაზი კინაღამ გაუვარდა ხელიდან, ნელ-ნელა ჩაჯდა. ბიჭი კალთაში ჩაუგორდა...

დედა გარინდული იჯდა მოლზე და შეშფოთებული უყურებდა ეზოს... უყურებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა.

– დედა, ლა იყო?.. დედა, ბებიას დავუძახო?..

სამი თვის ორსული დედა კი ფიქრობდა: ომისა და გაჭირვების დროს ბავშვი რომ გაეანინო. როგორ ვარჩენ?.. ორ ბავშვს კი არა, ნეტავი თამაზს არ მოვაშიებდეო...

ბუნებით იმედიანმა ქმარმა, შოთამ ჯარში გაწვევის წინ სასტიკად აუკრძალა მუცლის მოშლა – არც კი იფიქრო, გულში არ გაიცლო, ნეენები ყველა დაგეხმარებაო...

სოფელი ხორეთი,ილიკო კვერენჩხილაძის ოჯახი (ილიკო, რა თქმა უნდა ჯარშია):

მარინე ბებიამ და ანიჩქა ბიცოლამ საშინელი ამბავი გაიგეს – შოთას ცოლი, თამაზიკოს დედა მომკვდარა!..

ბებიაჩემის დამჭკნარ ღვაწვებზე ცრემლები მოგორავს, ზოგი მათგანი ნაოჭებში იკარგება, სხვა ნიკაპამდე აღწევს და წამით ჩამოკიდებული, წყდება...

ბებია ღონეგამოცლილ ხელს მუხლზე ირტყამს და მოთქვამს: ეაიმე შვილო! რა სიცოცხლით სავსე ქალმა მოიკლა თავი, თამაზის პატრონმა. ქალო, როგორ გაიმეტე თავი...

რას ამბობს საწყალი ბებია? რა დაიჩემა – თავი მოიკლაო?..

მიეედი და ეკითხე: რა დაემართა, ბებია?

– მოკვდა, ბებია, მოკვდა... მერე გაიგებ, მერე...

მაგრამ, ეტყობა, ჩემმა გამომეტყველებამ მიახვედრა, „მერემდე“ მოცდა არ მინდოდა და მიჩურჩულა: მუცელი მოიშალა, ბებია, ბავშვი მოიცილა...

მე თვალები დავაჭყიტე, გავიფიქრე – ალბათ ის ბავშვი მოიცილა, მაშინ რომ მაშო მამიდას ეუბნებოდა: ნეტავი გოგო იქნებოდეს, თამაზიკოსაკით ხუჭუჭა თმა ექნებოდესო... კი მაგრამ მაშინ რომ ასე ნატრობდა, რატომ მოიცილა?..

დასაფლავებაზე ყველანი წავედით.

თამაზის საცოდაობით ყველა გულდათუთქული ქვითინებდა...

თამაზი კი ენამოჩლექით ამბობდა: ცემი დედას ძინავს, მალე გაიღვიძებს...

მაშო მამიდას რჩევით თამაზი სახლიდან გავიტყუე, ეზოს ბოლოში ვართობ, ამაში მთელ ჩემს ბავშვურ მონდომებასა და ცოდნას, სითბოსა და სიყვარულს ვაქსოვ...

დასაფლავების შემდეგ თამაზი დავარწმუნეთ – დედამისი სხვაგან იყო წასული და ორ–სამ დღეში მოვიდოდა...

თამაზის ხათრით ხუთი დღე დავრჩით მაშო მამიდასთან, იგი ყველას ებრალებოდა: ბავშვია ცოდვა, თორემ დედამისი რა შესაცოდებელია, როგორ გაწირა ბიჭიო...

ყველაზე მეტად მაშო მამიდა იყო გაცეცხლებული: თამაზის ცოდვა საფლავში არ დააყენებს იმ უბედურსო, მეც ვუშლიდი, შოთაც წერდა – არ გაბედიო და არცერთს არ დაგვიჯერა, ყველასგან დამალულად მოისპო სიცოცხლე, რა ჰქონდა სასიკვდილო, გაჭირვება ვის არ უნახავს, ვიმუშავებდით და თავს გავიტანდითო...

ეგებ ბავშვი უდედობას შევაჩვიოთო და მაშო მამიდას რჩევით თამაზი ხორეთში წავიყვანეთ, იქ თავს ვეველებოდით ამ მართლაც ანგელოზივით ბავშვს...

ნეტავი ყველაფერ ამას არ შევსწრებოდი, მაგრამ თურმე უარესი წინაა!..

შოთას სომხეთის სამეთაურო სკოლიდან დასაფლავებაზე ვინ გამოუშვებდა – იმ დღეებში ფრონტზე გასაგზავნ ეშელონში აჯენდნენ.

სადგურ ჯუმათში ჩაკლილი მატარებლიდან წერილი

გადმოეგდო: სასტიკად გმობდა ცოლის საქციელს...

აგვისტოში ფრონტზე მიმავალ მამას თამაზი ბათუმში ჩაუყვანეს, ბავშვი გაუცოცდათ და მალე ერთ უბედურებას მეორე დაემატა – თამაზიკო დაიღუპა...

ნეტავი ხორეთში ერთი კვირის განმავლობაში სულში არ ჩამეძვრინა ის საცოდავი ბავშვი, ხშირად რომ მასსენდებოდა ჩვენს სამაისო ბალდან მოტიტინე...

დაიღუპა მშვენიერი არსება და ვითომც არაფერი, ისევ კრიახობდნენ ქათმები, ყეფდა მეზობლის ძაღლი, ორღობეში ისევ დარბოდა უღლიანი ღორი და ისმოდა როგორ არტყამდა წინა ფეხებს უღელზე. ისევ ისე მწვანედ გამოიყურებოდა ახლობელი გორაკები და რუხი ფერი გადაკრავდა შორეულ მთებს, ისევ აცხუნებდა ზაფხულის თაკარა მზე. კვლავ მირახრახებდა ბათუმ-ფოთის სააგარაკო მატარებელი, ისევ ისე აშრიალებდა ნიავი ონისიმე ბარამიძის ეზოში მდგარ ხეების ფოთლებს...

ესაა რომ არც თამაზის დედა ჩანდა სადმე და აღარც თმახუჭუჭა თამაზიკო, მეზობლებისას კი სულ უფრო ხშირად გაისმოდა სულისშემძვრელი შეძახება: ვაიმე შვილებო!..

მშვენიერი პირველი ცოლისა და ანგელოზივით ბიჭუნას დამკარგავ შოთა ბარამიძეს ნუგეშად დაურჩა მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე ყოფნისას უკრაინელ ქალთან შეძენილი ვაჟის, ვლადიმერის ჩამოყვანა. სამწუხაროდ, ვოვა უდროოდ გარდაიცვალა...

მეორე მეუღლისანგელინას კეთილშობილურმა ბუნებამაც დიდად შეუწყო ხელი შოთას ამ მძიმე განსაცდელთა გადატანაში.

დედაჩემი მეტყოდა ხოლმე: შოთა ''ხასიათით, სიბეჯითით, მოხერხებულობით მამაშენს ჰგავსო.

როცა მე გასული საუკუნის 60-იან წლებში მწერალთა პირველი კოოპერაციული სახლის მშენებლობისას (ხილიანის, ახლანდელი სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე) ჩემი მცირე ხელფასით შეშინებული – ბინის ფულს როგორ გადავიხდიმეთქი, ოროთახიან ბინაზე ჩაწერილი ერთოთახიანზე გადავდიოდი (მახსოვს ამ საბინაო კოოპერატივის თავმჯდომარე, ცხონებული პოეტი ალიო მირცხულავა როგორ მამუნათებდა: პოეტ ზურაბ ლორთქიფანიძეს გროში არ აბადია, მაგრამ ოროთახიანიდან ოთხიანში გადაყვანას

მესვეწება, შენ კი რატომ შვები ამას, დამიჯერე ინანებო) – შოთა ბარამიძემ საყვედური შემომითვალა, რატომ – არ შეამტყობინე შენი გასაჭირი... უკან არ უნდა დაგეხია, მე ჯიბეში მხოლოდ ექვსი შაური მედო, ცოლი რომ მოვიყვანეო – აი, ასეთი იმედიანი კაცი იყო შოთა.

შემდეგ სამი ათასი მანეთი გვასესხა, მაგრამ ჩასესხებაზე უარი თქვა, ისე გვაჩუქა!

როცა მეორე ძმის, დავით ბარამიძის ძვლის ავადმყოფობის მკურნალობის მრავალგზისი უშედეგო ცდის შემდეგ, სასოწარკვეთილმა მისმა მშობლებმა თითქმის ხელი ჩაიქნიეს, დათიკოს ბათუმში დიდად უპატრონეს ჩემმა მშობლებმა და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

დათიკოს სიცოცხლით სავსე კოხტა ცოლის ქეთევანის მოყვანას შევსწრებივარ, სწორედ მაშინ ვსტუმრობდი ჯურუყვეთში მაშო მამიდასთან. ქეთო ახლაც ცოცხალია, ღმერთმა მისი თავი კეთილად უმყოფოს დედ-მამასავით მუყაით და საქმიან ქალიშვილებს: ციურის (ექიმი თეთრიწყაროში), მიმოზასა და ნანის (განათლების მუშაკები, პირველი ლანჩხუთში, მეორე – თბილისში).

მესამე ძმა, კოლია ბარამიძე, თავის ახლადმოყვანილ ცოლთან, ვერიჩქასთან ერთად ბათუმში ჩვენთან სტუმრობდა. დამამახსოვრდა ჩვენების გაკვირვება – ახალი რძალი ჩვენი სახლის წინ, მილიციის კლუბში გამართულ ევროპულ ცეკვებზე დადიოდაო. დღეს ცეკვებზე კი არა ქუჩაში შიშველი სიარული არავის უკვირს...

სასიამოვნოა, რომ მათ შვილზე, მუხრანზე, კარგის მეტი არაფერი მესმის!

მეორე მამიდის, მაშოს ქმარი ბიქტორ ანთაძე ფრიად ღირსეული ადამიანი, ადრე გარდაცვლილა (თუ არ ვცდები, ძეხვმა მოწამლა). და მამიდაჩემმა, საქმიანმა გამრჯე ქალმა, ხასიათით ოთარაანი ქვრივს რომ ჩამოგავდა, ობლობაში გამოზარდა და დააოჯახა ქალ-ვაჟი, თინათინ და ავთანდილ ანთაძეები, რომლებმაც მთელი ცხოვრება მშობელ კუთხეს უერთგულეს.

თინა ჯურუყვეთში გათხოვდა კეთილ, მუყაით გოგი გიგინეიშვილზე. მრავალი წელი ჯურუყვეთის სოფსაბჭოს მდივნად მუშაობდა, ახლა კი შეჰხარის თავის ქალიშვილსა

(მარინე) და ვაჟს (გიას), მათ ოჯახებს.

ავთანდილი სპეციალობით ფიზიკოსია, დიდხანს პედაგოგად მუშაობდა, მრავალი წელი სკოლის დირექტორობას შეალია, შემდეგ ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, სოფ. ჯურუყვეთის გამგებლადაც იმოღვაწა და ავტორიტეტიანი მუშაკის სახელი მოიპოვა. ახლა სოფლის საკრებულოს მდივანია...

გამრჯე და სათნო მეუღლის, ნაზიკოს ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, მას მხარში ამოუდგნენ და დღესაც გვერდიდან არ შორდებიან ქალიშვილი ნანა და ვაჟი ლევანი, თავიანთი მშვენიერი ოჯახებით.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბიძაჩემთან ვცხოვრობდი სოფელ ხორეთში, მაგრამ ზაფხულობით მაშო მამიდასაც, ამ ქვრივ ქალსაც ვაწვებოდი მძიმე ტვირთად.

მართალია ქვრივი იყო, მაგრამ მაშო მამიდამ სახლ-კარს უქმრობა არ დააჩქო, მრავალი წელი მეჩაიე ქალთა რგოლს ხელმძღვანელობდა, მუშაობით ხელები დაკოჟრილი ჰქონდა, ჩაის პლანტაციიდან დაღლილი ბრუნდებოდა, ეძინებოდა, მაგრამ ერთს მაინც წაიმღერებდა შვილებთან და რძალთან ერთად. იმედიანი იყო, ასე მეტყოდა: რა მაკლია, სასმელი თუ საჭმელი, იყავი აქ, მხოლოდ წიგნებში ნუ გაქვს თავი ჩარგული, თვალები წაგვარდება, ადექი, გაიარ-გამოიარე, სუფთა ჰაერი გადაყლაპეო...

საქმესაც გამომიჩენდა...

ასე იყო თუ ისე, მშვენიერი დღეები მახსოვს მაშო მამიდასთან გატარებული. ცოტა უფრო ადრინდელი ამბავიც მაგონდება: მისი ძველი ოდა-სახლის ნაცვლად ახლის აშენება (თუ ოდნავ წინ წამოწევა), უფროსებს, მათ შორის, ბიძია ილიკოს, როგორ ვეხმარებოდი სახლის დასადგმელ ადგილზე არნადით მიწის მოსწორებაში...

მაშო მამიდას ეზო სოფელ ჯურუყვეთის ერთი უბნის ბოლოში პატარა ღელის ნაპირზეა შეეუეული, ცალ მხარეს სერი ასდევს. ახლაც დიდ სიამოვნებას მგვრის ამ სერზე წიფლის ხეებს შორის ჩემს მამიდაშვილთან, ავთოსთან თამაშის მოგონება...

თავს არ მანებებს ოდის გვერდზე მდგარი მსხლის სის გახსენება, დაჟინებით მოითხოვს ამ წიგნში დაბინავებას – ნუ ჭოჭმანობ, ღირს თუ არა ესო და მეც „იძულებული“ ვარ

მოგახსენოთ: ბევრჯერ მიგემნია მისი გემრიელი ნაყოფი...

მესამე მამიდა, ასინეთი, რომელიც 1915 წლის დასაწყისში მეორე შვილის, ვასოს მშობიარობას გადაჰყოლია, ჯურუყვეთის მეზობელ სოფელ ლესაში იყო გათხოვილი ომარ გოგიჩაიშვილზე (1914 წლის მიწურულს დალუპულა პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე).

მათმა ვაჟმა ლესაში გაატარა მთელი ცხოვრება. ვასოსა და მის სათნო მეუღლეს ანგელინას ორი ვაჟიდან (ომარი და ვახტანგი) ბაბუას მოსახელე ომარი (იგივე თაზიკო) გარდა ძირითადი სპეციალობისა (ფოლკლორისტი) საუცხოო მთარგმნელია (აკუტაგავა, ბუნინი, რუსული ბილინები...).

ვასოს და, გალინა ქმართან, კეთილშობილ გერონტი ბასილაშვილთან ერთად სახელოვან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში. მათი შვილებიც ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრებია: ზაირა ბასილაშვილი 20 წლის განმავლობაში ცეკვავდა სუხიშვილების ანსამბლში, საქართველოს დამსახურებული არტისტია, ხოლო ზაური თელავში სტომატოლოგია.

ადრეც ვთქვი, ნელ-ნელა ეშორდებით ერთმანეთს. აი, მაგალითად, ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ ნამყოფიც არა ვარ მამიდაშვილის, ვასოს ოჯახში, მაშინ როცა მეზობელ სოფელ ჯურუყვეთში მაშო მამიდასთან (და იქვე მეორე მამიდის ოჯახშიც, ბარამიძეებთან) ხშირად ვსტუმრობდი.

ამის გამო, რა თქმა უნდა, ვასო განაწყენებული დამრჩა. მაგრამ, გეფიცებით, ისიც ისეთიეე დიდი ნათესაური სიყვარულით მიყვარდა, როგორც სხვა დანარჩენები.

ბავშვობაში, ომისა და გაჭირვების წლებში, უფროსები, ეტყობა, მარიდებდნენ სხვებს არ დავწოლოდი ტვირთად, შემდეგ მე თვითონ ვცდილობდი მაინცდამაინც დიდად არავინ შემეწუხებინა...

თავად რაც შემეხება, 1937 წლიდან ისე აიწეწა ჩვენი ცხოვრება, ჯერ, როგორც ვთქვი, ბიძაჩემის ილიკო კვერენჩხილაძის ოჯახში ვცხოვრობდი, მერე 1947 წლიდან, როცა უნივერსიტეტში ჩავირიცხე, 1959 წლამდე დეიდაჩემთან მელანია (მერი) კვარაცხელიასთან ვიყავი შეფარებული, ვიდრე დედას, 1959 წელს, როგორც რეაბილიტირებულს, ერთი ოთახი არ აღირსეს სამოთახიან ბინაში, კაცმა

რომ თქვას, ისევე სხვასთან ვიყავით შეხიზნული და, მიუხედავად სურვილისა, ჩემი კეთილისმყოფელი ნათესავ – ახლობლებისათვის სამაგიერო პატივის მიგებას რომ ვერ ვახერხებდი, ეს მთელი სიცოცხლე მაწუხებდა...

ბოლოს, რაღაც ნორმალური ბინა რომ მეღირსა, თითქმის მუდამ გაქირავებული მქონდა და ამით, ჩემს ხელფასთან ერთად, ვარსებობდით, მით უმეტეს, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული გაძნელებული ცხოვრების განმავლობაში, ჩემს საწერ მაგიდასთან მუშაობა და ჩემი ტელეფონით სარგებლობა თითქმის არ მღირსებია, სიდედრის, ჩემი ქალ-ვაჟის გამზრდელის თამარ წიკვაძისა და ცოლისდის, ჩემი ოჯახის დიდი შემწე-მფარველი თეა (ზილფა) პაქსაშვილის ბინაში ვცხოვრობდი...

ამ წიაღსვლის შემდეგ მამიდებს ვუბრუნდები.

მეოთხე მამიდა, ლიზიკო, ჩვენი ხორეთისა და მასზე მიბმული მდინარე სუფსის გასწვრივ გაშლილი სოფელ მოედნის პირდაპირ, გაღმა სოფელ ორმეთში კალენიკე გაბეჩავას გაჰყოლია ცოლად. ადრევე, ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილა და ორი შვილი ოლია და შაქრო ობლად დაუტოვებია.

კარგად მაგონდება, მარინე ბებია მე და ჩემს ბიძაშვილს, რომან კვერენჩხილაძეს ჩაგვკიდებდა ხელს და სუფსაზე, კოსტავას სანაოზე, გადავყავდით, შემდეგ სუფსის ჭალაზე (ნოლს რომ ეძახდნენ, ალბათ, მდინარის დონეზე ოდნავ ამაღლებულობის გამო), სიმინდის ყანების გავლით აედიოდით ორმეთში, გაბეჩავებთან, სადაც მუდამ გულღიად გვხვდებოდა კალენიკე ბიძიას მეორე ცოლი...

სხვათა შორის, ორმეთელი მამიდაშვილი ოლია გაბეჩავა, რომელმაც თბილისის ცნობილი „ტბიეტი“ (Тбилисский институт железно-дорожного транспорта) – თბილისის რკინიგზის ინსტიტუტი) დაამთავრა, ვანო ჯორბენაძეზე გათხოვდა და ქალ-ვაჟი ნატო და ლელო შეეძინა, – ცრემლის გარეშე ვერ იგონებდა ჩვენს ოჯახს, მის თანატოლ ჩემს უფროს ძმებთან თამაშს...

ოლიას ძმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ნაადრევად გარდაცვლილი შაქრო გაბეჩავა საკუთარ ქალ-ვაჟებში (ემზარ, მზევინარ, კალე) და მათ შვილებში აგრძელებს

თავის სიცოცხლეს.

მეხუთე და მეექვსე მამიდები ბავშვობაში გარდაცვლილან.

მამიდებიდან ყველაზე მეტხანს მაშომ იცოცხლა, მე მხოლოდ მას მოვსწრებივარ. ისე კი ყველანი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები იყვნენ და, მადლობა ღმერთს, შვილებსაც არ შეურცხვენიათ თავი და დედების, კვერენჩხილაძის ქალების გვარიშვილობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბაბუაჩემი ბესარიონი (ბესია) და მისი ძმა ვაზიკა არ გაყოფილან, ერთად ცხოვრობდნენ. საქმე ისაა, რომ ვაზიკასა და მის პირველსაც და მეორე მეუღლეს, მარინეს, აფხაზაკას ქალს, შვილი არ ჰყოლიათ. ამიტომ უშვილებიათ ჩემი მეექვსე მამიდა ანეტა, რომელსაც 8-9 წლის ასაკში ფლანელის კაბაზე ცეცხლი წაკიდებია, საცოდავი გაქცეულა, ამის გამო უფრო გაძლიერებულმა ცეცხლმა იმსხვერპლა კიდეც...

ამ ამბის შემდეგ მარინე ბებიას ჩემი მშობლებისთვის უაქვამს – ეტყობა, შვილის ბედი არ გვქონია, ჰოდა თქვენს ბიჭებს ჩვენს შვილებად ჩავთვლითო და ჩვენთან ერთად გაუგრძელებიათ ცხოვრება...

დედის დაპატიმრების შემდეგ მარინე ბებია ჩვენთან ჩამოვიდა ბათუმში და გვივლიდა მე და ჩემს საშუალო ძმას, ავთანდილს.

ჩვენი ოჯახი ხორეთში საკმაოდ შეძლებული იყო, ბიძაჩემი ილია ერთხანს მასწავლებლობდა მშობლიურ სოფელში, შემდეგ კი სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

მამაჩემი, როგორც სხვათა გადმოცემით ვიცი, ფხიანი, საქმის ბეჯითად და უნარიანად წამყვანი კაცი ყოფილა, არამარტო გაუყოფელ ოჯახს უძღვებოდა, არამედ ნათესავებს, ახლობლებსა და მეზობლებსაც ხელს უმართავდა.

დედაჩემის ნაამბობიდან: როდესაც გათხოვდა ჩვენი გვარის უახლოესი ადამიანი და კარის მეზობელი, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალი ჟენია (ბავშვები რომ ჟენია მამიდას ვეძახდით, ვესიყვარულებოდით და ღრმა პატივს ვცემდით), მამას მისი ქმრისთვის, ახლად ჩამოსიძებული ტიტიკო ჯოჯუასთვის, მამაჩემისა და ბიძაჩემის საერთო სანერგეში

გამოყვანილი მანდარინისა და ლიმონის ნერგები უჩუქნია.

ტიტიკოს დაუდევრობის გამო ნერგები საქონელმა გადაჭამა. მაშინ მამას რბილად საყვედურიც კი უთქვამს – ოჯახს, კარ-მიდამოს მეტი ყურადღება უნდაო და ახალი ნერგები მიუცია.

ენია მამიდა ეს სახენაყვავილარი, დაბალი, ხანშესული ქალი, ხასიათით რომ მაშო მამიდასაეით ოთარაანთ ქვრივს ჩამოჰგავდა, ჩვენს ოჯახთან ძალიან დაახლოებული იყო. რაიმეს სათხოვნელად მოსულს ჩვენები თუ არ დაუხვდებოდნენ, ხელს დააღებდა გობს და კეცს და წაიღებდა... ასეთი სიახლოვე გვქონდა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ენია მამიდა იყო. ისე კი ღვიძლი მამიდა გახლდათ ჩვენი გვარის სახელოვანი წარმომადგენლის, საქართველოს სახალხო არტისტის ზინაიდა (ზინა) კვერენჩხილაძისა.

გერმანია - საბჭოეთის ომის დროს. ზაფხულში ერთხელ თუ ორჯერ დედამ ზინა და მისი ძმა გივი მამიდასთან ჩამოიყვანა. გივი ხორეთში დატოვა, ზინას კი ზაფხულს დედულეთში, კახეთში ატარებინებდა.

გივის, თუმცა ის ჩემ'ზე 3–4 წლით უმცროსი იყო, სწორედ მაშინ დავუახლოვდი, თბილისში გადმოსული კი სტუდენტობისას, როგორც უმცროსი მეგობარი, ოპერისა თუ დრამატულ თეატრებ'ში, კინოში, გამოფენებზე ხშირად დამყავდა, ყველაფერ ამაზე და, ცხადია, მწერლობაზე ვესაუბრებოდი, ეუსხნიდი და კიდეც ამბობდა თუ რამე ვიცი, გემოვნება თუ გამომუშავდა, შენი წყალობაა...

ზინასა და გივის მამა, ვასო ბიძია, დიდი ომის (1941-45) ფრონტზე იყო. დედას ბავშვების გაზრდა გაუჭირდა, გივი თბილისში ევაკუირებულ ნახიმოვის სასწავლებელში მიაბარა. მოსკოვნარი ბუნების ბიჭი ვერ შეეგუა სამხედრო წესრიგსა და სიმკაცრეს, გამოიქცა... მართალია, ქართული სკოლა ექსტერნად დაამთავრა, მაგრამ საშუალო სასწავლებლის კალაპოტი სრულყოფილად მაინც ვერ გაიარა და დიდი ბუნებრივი ნიჭი, რომლითაც ის უხვად იყო დაჯილდოებული, სათანადოდ ვერ განვითარდა, ის ნაყოფი ვერ გამოიღო, რაც მოსალოდნელი იყო. მერე დამოუკიდებლად, ამოგლეჯილ-ამოგლეჯილად წაიკითხა

დოსტოევსკი, ნიცშე და სხვა ასეთი წიგნები და გაუჩნდა რწმენა,რომ უკვე ყველაფერი იცოდა. ამ თავდაჯერებულობის გამო გამოცდები ვერ დაიჭირა მოსკოვის კინოინსტიტუტში. ამის მიუხედავად ბუნებრივმა ნიჭმა თავისი გაიტანა – მეზღვაურთა თემაზე კინოფილმის გადაღება მიანდვეს...

გივის კომუნისტები არ უყვარდა, ერთხელ კიდეც სცადა მათ გაქცეოდა, მაგრამ უშიშროებამ ქვეყოში ჩააელო ხელი... მერე, გვარშეცვლილი, გივი ალექსანდრია, ბათუმის პორტის აკვატორიაში კინოფილმის გადასაღებად გამოყოფილი კატარღით ახერხებს უცხოურ გემამდე მიღწევას და საბჭოეთიდან თავის დახსნას...

ჩვენს გამოჩენილ მწერალს რეზო ჭეიშვილს ჩემთან ხშირად გულთბილად გაუხსენებია გივი კვერენჩხილაძე-ალექსანდრია, რომელთანაც ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა კინოსტუდიაში მუშაობისას და რომლის ნიჭიერების დაფასებასთან ერთად მისი უცნაურობებიც არ აკვიწუდება...

ასეთია ეს ამბავი მოკლედ.

ახლა კი ისევ ჩემს ოჯახს ვუბრუნდები.

საერთოდ არ მახსოვს, რომ მამაზე ყინმეს რაიმე აუგი ეთქვას. როდესაც ბათუმში ცხოვრების შემდეგ (ამაზე საუბარი წინაა),ომის დროს ხორეთში მომიწია ცხოვრება და სწავლა,სოფლელების კითხვის – ვისი შვილი ვიყავი – ჩემს პასუხზე – ყველასგან მამის კარგი კაცობა მომისმენია.

ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ჩოჩხათელმა გულდაწყვეტით მითხრა: კასიანემ ოზურგეთთან თურქებს ჩვენი რაზმელები შეაწყვიტაო (მას მხედველობაში ქონდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს ბრძოლა თურქებთან, რომლებიც ბათუმის ოლქსაც იჩემებდნენ და ოზურგეთსაც. ეტყობა, მამაჩემი, როგორც ძველი არმიის ოფიცერი, რაღაც რაზმს ხელმძღვანელობდა. სამწუხაროა, მაგრამ ომს ხშირად მსხვერპლიც მოსდევს...

ბათუმი; 1937 – დაპატიმრება; ბათუმის ციხე, გადასახლება

1931 წლიდან ჩვენი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა, ბინად ვიღექით ქალაქის მოაყარ მოედანთან და პორტთან ახლოს,

კამოს (ახლა – მელაშვილის) ქუჩის №11 სახლის მეორე სართულზე. მამის მიერ შეძენილი ოროთახიანი ბინის აივანი და ფანჯრები ქუჩის მოპირისპირე მხარეს არსებულ მილიციის კლუბის ერთსართულიან მოგრძო შენობას და მის წინა ეზოს, აგრეთვე ყოფილი სასტუმრო „ფრანციის“ შენობას გადაჰყურებდა.

მამა ხე-ტყის რაღაც საწარმოს გამგე იყო, დედა კი – 1931 წლის 1–ლი სექტემბრიდან ბათუმის დანიელ ჭონქაძის სახელობის აჭარელ ბავშვთა სახლის სკოლის დაწყებითი კლასების აღმზრდელ-მასწავლებელი (ქართულ სექტორში რუსულ ენას ასწავლიდა, ხოლო რუსულში – ქართულს), ხოლო 1933 წლიდან 1937 –ის ნოემბრამდე ილია ჭავჭავაძის მიერ აჭარაში დაარსებულ პირველ ქართულ სასწავლებელში, მისი სახელობის ბათუმის საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებში მასწავლებლობდა, იქვე ვსწავლობდი მეც მეექვსე კლასამდე.

...და,აი,დადგა ჯოჯოხეთური 1937 წელი და დააპატიმრეს უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული მამაჩემი...

მაგრამ ვიდრე მამას ამავე წელს ფიზიკურად გაანადგურებდნენ, ის ადრეც რამდენჯერმე იყო დანაპატიმრები მცირე ვადით.

საკმარისი იყო ყოფილიყავი თავადი ან აზნაური, სასულიერო პირი ან ინტელიგენტი,შეძლებული გლეხი ანდა მეფის არმიის ოფიცერი,მით უმეტეს ბოლშევიკების გარდა რომელიმე სხვა პარტიის წევრი, რომ დაეპატიმრებინეთ, უკეთეს შემთხვევაში ციხე-გადასახლება მოესაჯათ, უარეს შემთხვევაში კი – დახვრეტა. ამას კიდევ ემატებოდა პირადი ინტერესები, პირადი წყენა, შურდლი, შური, სიხარბე... მამაჩემის ბედშიც ჩაერია ასეთი პირადი განაწყენება და ბოღმა. ეს ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, კარგად ახასიათებს XX საუკუნის საქართველოს 20-იანი წლების განუკითხაობას.

აი, რა გაუმხილა დედას ახლად გასაბჭოებულ საქართველოში ლანჩხუთის ჩეკას უფროსად მომუშავე ერთმა კომუნისტმა (სამწუხაროდ მისი გვარი აღარ მახსოვს – რეპრესიებზე რაიმეს ჩაწერა და მით უმეტეს შენახვა აგერ გვიანობამდე საშიში იყო, ხოლო დედა გაცილებით

ადრე გარდაიცვალა):

„მენშევიკების დროს არალეგალურად ემუშაობდი. დამაპატიმრეს. შემიყვანეს იმ ორსართულიან ოდასახლში, სადაც განლაგებული იყო სოფელ ჩოჩხათის ხელისუფლება.

ამიყვანეს მეორე სართულზე, გამატარეს ერთ ოთახში. ვხედავ: ვიღაცის მაგიდასთან ხის ჩემი გვარიანი ნაცნობი კასიანე კვერენჩხილაძე. ვიფიქრე: ჩემს დასაცავად რამეს როგორ არ იტყვის-მეთქი. მაგრამ ისე გამატარეს, კასიანეს არაფერი დაცდენია...

გამიყვანეს მეორე ოთახში და დამტოვეს. ირგვლივ არავინაა,ფანჯარა კი ღიაა,არც არავინ მაკითხავს,მხოლოდ წინა ოთახიდან ისმის წყნარი ლაპარაკი... ფრთხილად ავდექი და ფანჯრიდან გადავიხედე – ეზოშიც არავინ ჩანს, ფანჯრის ქვეშ კი მაღალი ბალახია. ჰოდა,ვისკუპე,გადავხტი და რაღაც საშინელებაზე დავეცი... გონს რომ მოვედი, ვნახე ბალახებში ნამსხვრევი ქვები ყოფილა ჩამალული. ნელ-ნელა მოვსულიერდი, კვლავ არავინ ჩანს, ცოტ-ცოტა გავცოცდი და ასე ვიხსენი თავი. ტკივილებისაგან განაწამებმა დავიქადნე; კასიანე კვერენჩხილაძე, თუ როდისმე ხელისუფლებაში მოსვლა მეღირსა, გაგამწარებ-მეთქი!“

დედა მიყვებოდა,მამაშენის ამბის გასაგებად რომ მივედი, სწორედ მაშინ მიამბო ეს იმ ჩეკისტმაო და თან დაუმატებია: ვიცი, კასიანეს ამჯერადაც არაფერი დაუშავებია, მაგრამ ჩემი მაშინდელი, გაქცევისას გადატანილი სიმწარის გამო დავაპატიმრე, ახლა წაბრძანდით და თქვენს ქმარს დილით გამოვუშვებო და მართლაც შეუსრულებია სიტყვა...

აქვე უნდა ითქვას, რომ მამაჩემს, როგორც ვიცი, არავითარი თანამდებობდა არ ეკავა ჩოჩხათის ხელისუფლებაში და, ბუნებრივია, მომავალი ჩეკისტის საქმეში, კიდეც რომ ძალიან მოეწადინებია, ვერ ჩაერეოდა. ეს იმ პატიმარმაც კარგად იცოდა,მაგრამ გამწარების გამო ჯავრს იყრიდა.

ამ ფაქტის გაუკუღმართებულად წარმომდგენის მცდელთა საყურადღებოდ იმასაც ვიტყვი,საქმე რომ სხვანაირად ყოფილიყო, პატიმარს გაქცევის საშუალება მიეცემოდა? ან ის, უკვე ჩეკას უფროსობისას, მამას ასე ადვილად გამოუშვებდა?

ამ მაგალითით ისიც კარგად დასტურდება, რა უნიათო

იყო მენშევიკური ხელისუფლება, რომელსაც ტუსაღის დარაჯობაც არ შეეძლო ხეირიანად.

ამნაირი და მსგავსი მიზეზებით მამაჩემი 1937 წლამდე რამდენიმეჯერ დაუპატიმრებიათ.

ჩოჩხათის თემშიც იყო ერთი მოწამლული კომუნისტი, გულიანელი ელისე გუჯაბიძე, რომელიც პირადი შურითა და ღვარძლით დაუნდობლად მტრობდა მამაჩემს, მთელს ჩვენს ოჯახს. ალბათ იმიტომ, რომ მამაჩემი მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, როგორც ნემთვის ბავშვობაში ბევრ ვინმეს უთქვამს, ჩოჩხათის თემის საზოგადოებაში გამოჩენილი, ფხიანი, საქმიანი ადამიანი იყო და თანაც გვარიანი შეილებული ოჯახის შვილი...

ეს არ ასვენებდა ელისე გუჯაბიძისთანა ბოლშევიკობით აღზევებულ შურიან ადამიანებს. სწორედ მისნაირთა ძალისხმევით ჩვენი ოჯახის განკულაკებაც კი მოუნდომებიათ – აქაოდა დიდი ოდა-სახლი აქვთო. სხვათა შორის, ის ოდა ბაბუაჩემის ბესარიონ კვერენჩხილაძის, სახლის შენების კარგი ოსტატის ხელითაა აგებული და იმ დროს რომ სასახლედ მიაჩნდათ, შემდეგ და შემდეგ კოლმეურნეთა შრომადღეების მითვისებით გამდიდრებული სოფლის ხელმძღვანელების ორსართულიან მაროლაც და სასახლეებთან შედარებით, არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ბედის ირონია ის გახლდათ,რომ როცა კოლექტივიზაცია დაწყებულა, იმ კომისიაში, რომელსაც სოფლელები კოლმეურნეობის სიკეთეში უნდა დაერწმუნებინა, ამ ვითომ მდიდარი და განსაკულაკებელი ოჯახის რძალი, ბოლშევიკებისათვის არასაიმედოდ მიჩნეული პიროვნების კასიანე კვერენჩხილაძის მეუღლე, დედაჩემი შეუყვანიათ – თქვენ, როგორც მასწავლებელს, საზოგადოებაში პატივისცემით გეპყრობიან, ენა გიჭრით და კოლექტივიზაციის სასარგებლო აგიტაციას კარგად გასწევთო"!...

1924 წლის გამოსვლების დროსაც წაუყვანიათ მამა ოზურგეთის ციხეში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სოფელში არც ყოფილა. დედამ კი ცხენი და გამყოლი იქირავა, ღამით იარა, ოზურგეთში ჩავიდა და გურიაში გამოსვლების საქმეთა გამოსაკვლევად ჩასულ ფილიპე მახარაძესთან შესვლა მოახერხა (ამბობენ, 1924 წლის

ამბების გარჩევისას ფილიპე შედარებით რბილად მოიქცაო). ფილიპე ფეხზეც კი წამომდგარა და ისე შეგებებია დედაჩემს – რამ შეგაწუხათ, მეგრელის ქალოო.

დედაჩემს უთქვამს – ჩემი ქმარი იმ დღეს სოფელში საერთოდ არ ყოფილა, სოფლის გამოსვლებში მონაწილეობას როგორ მიიღებდაო. ეტყობა, ეს თავად კარგად იცოდნენ ჩეკისტებმა. ფილიპეს უპასუხნია, წაბრძანდით, თქვენს ქმარს მალე გამოვუშვებთო და ეს მართლაც ასე მომხდარა!

1937–ში კი სრული დაუნდობლობა და განუკითხაობა ბატონობდა, თვით გუშინდელი ჩეკას უფროსები და რაიკომის მდივნები, როგორც ბევრ საშინელ საქმეთა მცოდნენი და მოწმენი, დაინტერესებულ პირთა მიერ დაბეზღებულნი, თავად აღმოჩნდნენ ციხეებში, თავად იწვნიეს დაკითხვების სიმკაცრე და სიმწარე...

დედას ისიც უამბნია ჩემთვის, რომ მამაშენზე უმიზეზოდ გადამტერებული ჩეკას უფროსის ღრიალი საკნებშიც ესმოდათ, როცა ცემით სიკვდილის პირას მიყვანილ იმ საცოდავს ციხის დერეფნებში და კიბეებზე მიათრევდნენო.

ერთი სიტყვით,1937 წელს განიხვნენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი და ჩვენი ოჯახიც იმან შეიწირა.

ამას, ყველაფერთან ერთად, იმანაც შეუწყო ხელი, რომ მამა ძველი არმიის ოფიცერი იყო. ის ივნისის ბოლოს წაიყვანეს და, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, იმავე წელს დახვრიტეს.

ამის გაგებამდე დიდი ხნით ადრე, კერძოდ 1956 წლის 27 ოქტომბერს მივიღეთ მისი რეაბილიტაციის ცნობა. დედა ისე ჩაეიდა სამარეში, რომ მისი ქმარი გადასახლებული ეგონა, როგორც ადრე, ჩვენი შეკითხვების პასუხად, შინსახკომი გვატყობინებდა, 10 წლით, მიმოწერის გარეშეო.

ახლა სიტყვა ისევ დედას, მარგალიტა ესტატეს ასულ კვერენჩხილაძეს მივცეთ, წარმოგიდგენთ მის დღიურებს. თუმცა დღიური პირობითად ეთქმის, ყველაფერი ეს ჩაწერილია არა იმ მოვლენების კვალდაკვალ (ან როგორ გაბედავდა, ან ამის საშუალება სად ჰქონდა), არამედ გვიან,

60-იან წლებში როცა პოლიტიკური ვითარება ცოტათი შერბილდა (ისე მაშინაც გვეშინოდა 1937 წელს ჩვენს თავზე დატრიალებულ საშინელებათა ქაღალდისათვის განდობა. ჩემთვისაც კი არ გაუმხელია დედას ამ ჩანაწერების არსებობა).

ჩანაწერები დღიურის ფორმითაა შესრულებული. სამწუხაროდ, დედას მალე სიკვდილი წამოეწია და გადასახლების ადგილებისა და იქაური გაუსაძლისი ყოფის შესახებ რაიმეს ჩაწერა ვეღარ მოასწრო. მხოლოდ მისი დაპატიმრების წინა დღეებზე და ბათუმის ციხეში ყოფნის 35 დღეზე დასცალდა მოეთხრო და ძვირფასი საბუთი დაეტოვებინა.

მაშ ასე, თქვენს წინაშეა დედაჩემის დღიურებად წარმოდგენილი მოგონებანი:

1937 წლის 26 ივნისი

საღამოს 9 საათსა და 25 წუთზე კასიანემ და ავთონმა გამაცილეს ჩემს დედასთან: გედე დილით ჩამოვიდა თბილისიდან და ეძინა. რეზოც დაძინებული დავტოვე. ბილეთი ქალაქის სადგურში შეცდომით ავიღე ცხაკაიას ნაცვლად სამტრედიამდე, რისთვისაც კასიანემ მაწყენინა.

სამ დღეში რეზოს და კასიანეს დედაჩემთან ველოდი. ნაცვლად ამისა იღბალმა შხამი გამიმზადა. იღბალმა კი არა, თურმე ჩემმა კარის მეზობელმა, თვითონ რომ ეარსება, ჩემი ოჯახის გაუბედურება გადაწყვიტა და უბრალოდ დაღუპა ჩემი ოჯახი, რისთვისაც მთავრობის წინ და არც ბუნების წინაშე პასუხი არ უგია. უეჭველად მასთან ერთად მოქმედებდა ქრისტეფორე ღლონტი, კასიანეს თანამშრომელი, რომელიც ქურდობით ანადგურებდა ხეტყის მასალის საწყობს, რაშიც კასიანე უშლიდა ხელს...

ჩემი გაცილებიდან შინდაბრუნებული კასიანე მ. ნ – ის წინამძღოლობით, შინსახკომელებმა დააპატიმრეს. 26 ივნისს მე და ჩემი ძვირფასი ქმარი თურმე სამუდამოდ გავეყარეთ ერთმანეთს!..

29 ივნისი

დილით დეპეშა მივიღე გედეანისაგან – „მამა დააპატიმრეს ჩამოდი“. ტირილით გამომისტუმრეს დედამ და ძმამ – დაიწყო ჩვენი უბედური დღეები: შინსახკომში საშინელი მდგომარეობა იყო – დაცინვა, დამცირება, დაქვეითება... მხოლოდ ორჯერ შევძელი გადაცემის შეგზავნა. კასიანე ბათუმის შინსახკომში თითქმის ოქტომბრის თვის შუა რიცხვებამდე იმყოფებოდა და სხვადასხვა სახის ინკვიზიციებს იტანდა, ისე როგორც მისი უბედური ამხანაგები. შემდეგ კი თბილისში გადააგზავნეს სრულიად ჯანმიხდილი, სახეშეშლილი (პირადად ლუკა კვიტაიშვილის ცოლმა თამარამ ნახა ეშელონზე), ზუსტად ერთ კვირაში კასიანეს უფროსი და სარა დაედევნა და ერთი კვირა იქ დაჰყო, ჩამობრუნების მესამე დღეს კი გარდაიცვალა, 28 ოქტომბერს დავასაფლავეთ.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბინიდან გამომასახლეს და ვინმე რუსის ქალი ერთი ბავშვით ჩაასახლეს, მერე (სხვებიც) სამსახურიდანაც დამითხოვეს. დიდი დავიდარაბის შემდეგ აჭარის ბავშვთა სახლის აღმსრდელად დამნიშნეს, ხოლო 23 ნოემბერს დამაპატიმრეს. სინამდვილეში არც კონფისკაცია მეკუთვნოდა და არც უნდა დავეჭირეთ. ქალაქის პროკურორმა თ. კაპანაძემ ბინის გამო ხშირი შეწუხებისათვის მომიცილა თავიდან.

23 ნოემბერი

სამსახურში მირეკავს მონასე ნიკოლაიშვილის უფროსი გოგო: იყვნენ, გიკითხეს, რით ცხოვრობს, როგორაა, თქვეს 9 საათზე შინ დაგვხდესო, მგონი ბინას გაძლევენო.

შინ ადრე მოვედი („ქუხნაში“ ვცხოვრობდით). მოსვლისთანავე სამი შინსახკომელი თავს დამესხა, მათ შორის ქართველმა (კინწურაშვილი იყო მისი გვარი) მითხრა: „დაპატიმრებულების ცოლებმა ერთად უნდა მისცენ ხმა და წამოდით“. რეზო ანგინით ავად დამხვდა, ტემპერატურა

39 გრადუსი ჰქონდა, მძინარე დამატოვებინეს კარლიაში და წამიყვანეს. ყველა მეზობელმა იცოდა თურმე რომ დამაპატიმრებდნენ – დაიმალნენ, ავადმყოფი ჩემი პატარა რეზიკო ვერაფის ვერ ჩავაბარე – კარლიაში დავტოვე!

23 ნოემბრის პირველი ღამე ციხეში

ჯერ შინსახკომში მიმიყვანეს, იქიდან – ციხეში. იქ 111 ჩვენი ქალი დამხვდა. ღილებიანად ყველაფერი მოგვაცილეს, პირველი სართულის ნაგვიან კამერაში შეგვყარეს, მთელი ღამე

25 ნოემბერი

არ დამავიწყდება ეს საშინელი დილა: ახლებთან საუბარი, ხმები ქალაქიდან, შვილების შემონათვალი და სხვა ბევრი რამ მონაჭორ-გაგონილი. ჩემზე ხმები ქალაქში – ბინაზე შეაწუხა ქალაქის პროკურორი (თეოფილე კაპანაძე), ხშირად დადიოდა თურმე და ამიტომ დააპატიმრესო (მართალი გამოდგა – ჩემს ბინაზე დიდი ჩხუბი ამტყდარა, რადგან ძალიან ბევრს მოსწონდა)!

კიდევ უფრო მწარე ღამეები, დილა და დღე. გულგატეხილობა, ტირილი, საჭმელს თითქმის არავინ მიჰკარებია. მე ვწუხდი ისე, როგორც შეუძლია იმწუხაროს ავადმყოფი ბავშვის კარლიაში უპატრონოდ დამტოვებელმა დედამ – ვერაფერი ვერ გაიგე მის შესახებ. ჩვენი ზედამხედველი იყო ჩემი კარგი ნაცნობი მოხუცი ქალი (ლანჩავა), რომლის ობოლ და რუსი დედინაცვლისაგან გატანჯულ შვილიშვილზე დიდი ამაგი მიმიძღოდა, ვთხოვე რამე გაეგო, ცოცხი უარით გამისტუმრა.

26 ნოემბერი

ისეთივე და უფრო მწარე დღე, აუწერელი მწუხარება, ცუდი ამბები გარედან.

27 ნოემბერი

დავსუსტდით, დილით მდუღარე წყალი და პური მოიტანეს, უმრავლესობამ „ვისაუზმეთ“ თუკი ამას საუზმე დაერქმევა...

28 ნოემბერი

დილა და დღე – მწარეზე მწარე. საღამოს 7 საათზე გამოუძახეს თევრათ ჯაშის ცოლს, ის ფეხმძიმედ იყო, ვიღაცამ ადამიანობა გამოიჩინა და გაათავისუფლეს, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

29 ნოემბერი

სრულებით მოულოდნელად გაიხარე: ნინა ჯაშმა, რომელიც წინღამით გაათავისუფლეს, თურმე გაიგო ჩემი უბედური ოჯახის ამბავი და სულ გარეშე ქალის (ზედამხედველი ბერძენი) საშუალებით შემატყობინა: ჩემი რეზო ცოცხალი არის – სიცხე არა აქვს, ჩემი „წამოსვლის“ შემდეგ ხელად ბიცოლაჩემი ჩამოსულა სოფლიდან და სხვა ასეთი. ამოვისუნთქე – ჩემი უპატრონოდ დარჩენილი შვილი ცოცხალი ყოფილა...

30 ნოემბერი

დილა მწარე: ტირილი, საერთო მწუხარება, თანდათან ვრწმუნდებით ჩვენს დაღუპვაში. სარწმუნოდ გავიგე, რომ მონასე ნიკოლაიშვილმა და ქრისტეფორა ღლონტმა დამღუპეს: მ. ნიკოლაიშვილი ძმასთან ერთად თურმე შინსახკომის კაცი ყოფილა. იცოდა, ქ. ღლონტი რომ ქურდობდა ჩემი ქმრის ხეტყის საწყობში, რის ნიადაგზე კასიანესა და ღლონტს უკმაყოფილება ჰქონდათ – ის დახმარებია ამ საქმეში.

1 დეკემბერი

ღამე უძილობა, გულგატეხილობა, ტირილი, ჩივილი, კამერაში ქალების კამათი, შედავება და ჩხუბი, გულის წასვლა...

2 დეკემბერი

ღამე სრული უძილობა. ერთი ხუთი ქალი კიდევ მოძებნეს და შემოგვიგდეს. ახალი ხმები ქალაქიდან, ტირილი, გულის წასვლა. ვივახშმეთ. დათვლა, დამცირება, საერთო მწუხარება!

3 დეკემბერი

საშინელი მძიმე დილა. მე ავად ვარ, „ვწევარ"...

4 დეკემბერი

პირველად ამ ღამით ძლივს დამეძინა; გამოვილვიძე, ისევ ბნელი ფიქრები, ამ სიბნელეში დიდი ნათელი წერტილი – რეზიკო ცოცხალი მყოლია!..

5 დეკემბერი

ავთონის შევატყობინე, რეზო დაიჯინოს ველოსიპედზე და როგორმე მონიშნული ადგილიდან მაჩვენოს, გაისეირნოს. მომეჩვენა თითქოს თვალი მოვკარი...

6 დეკემბერი

უარესი ნაღველიანი დილა – ტირილი, საერთო მწუხარება. უარესი და უარესი ხმები გარედან: ხუთი ქალი კიდევ მოიყვანეს.

7 დეკემბერი

ვთხოვე უფროს ზედამხედველს შინსახკომიდან – გაეგო ჩემი შვილების ამბავი და შეეტყობინებინა. „რა გინდა, ქალო, რა უჭირს შენს ბავშვებს, შინ არაფერი გაქვს ქვეშაგებების მეტი, რას მოგპარავენ“ – იყო პასუხი. გავცივდი, გრიპით ვარ ავად.

8 დეკემბერი

სიცხეები მაქვს, ჭამა არ მინდა, მივლიან ჩემსავით დაჩაგრულები.

9 დეკემბერი

უარესად ვარ. საერთოდ საშინელი განწყობილებაა კამერაში, მოდიან, გვამცირებენ წარმოუდგენელი სიტყვებით...

10 დეკემბერი

კიდევ უფრო ცუდად ვგრძნობ თავს. ექიმი არ არის, პატრონი არ არის... ქალაქში წყალი შეწყდა. ჩვენ მატლებიან წვიმის წყალს გვაძლევენ, მერე ზღვის წყლით შეგვიცვალეს, გულის რევა, ღებინება...

11 დეკემბერი

საერთო ავადმყოფობა უწყლოობის გამო, 3 დღე უწ-ყლოდ. წყურვილს ვითმენ, ზღვისა და ნაწვიმარ წყალს არ ვსვამ. უსაზღვრო მწუხარება, მე სიცხისაგან ჩვეულებრი-ვად ვმღერი.

12 დეკემბერი

ღამე უძილობა მაწუხებს, მახველებს, ბურანში ვარ და ოფლს არ მაძლევს, ჭამა არ მინდა, შვილები მელანდება, უსაზღვრო მწუხარება მიპყრობს...

საღამოს 8 საათია, თორმეტი გერმანელი ქალი მოგვიყვანეს.

13 დეკემბერი

ძალიან ცუდად ვარ, გული მიღონდება, ეტირი, ქალები ჩხუბობენ, დავამტკიცე: ყველა პასუხისმგებელ კომუნისტს, თითქმის ყველას, ჭეუამჩატე ცოლი ჰყოლია.

14 დეკემბერი

ცუდად გავხდი, ექთანს უხმობენ, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ძლივს ვაღამებ – ყველა ცუდ ხასიათზეა.

15 დეკემბერი

სიცხე, ბოდვა. ხუთი ქალი ჩემსავით სიცხით წვანან. საშინელ ხასიათზეა მთელი კამერა, სამოცდაოთხი ქალი არ ეტევა... საღამოს გამოძახება...

16 დეკემბერი

გამოძახება გრძელდება. მეც მეძახიან, ავადმყოფობას არ მიჯერებენ, მიმათრევენ, არაფერიც არ მკითხეს, ჩემს შეკითხვაზე – რა მბრალდება, თვალმონგრეული რუსის ებრაელი მიპასუხებს: "Ваш муж вредил, вы об этом знали, но не донесли – вот и арестовали вас".

საშინლად ძალამიხდილი მოვყავართ.

17 დეკემბერი

ცუდად ვარ. ავადმყოფთა რიცხვი კამერაში თექვსმეტს აღწევს – გამოძახება გრძელდება, ყველას ერთნაირად პასუხობენ. თანდათან იმედები იკარგება.

18 დეკემბერი

უძილო ღამე, გაგიუებამდე მისვლა, ვიცი კარგი არაფერი მოგველის, არაკის არ უშველებენ, პირიქით მოჰყავთ. კიდევ სამოცდასამი ქალი ყოფილა მოსაყვანი, ბევრი იქნებით, არ მოგწყინდებათ, ნუ გეშინიათო – ხუმრობენ ზედამხედველები, ჯღარკაევები, გუგუშვილები და მათნაირები.

19 დეკემბერი

ისევ უძილობა, ტემპერატურა, საშინელი ფიქრები, დილით ქალებს შორის დავა, ჩხუბი, იწყება გამოძახება. მოდიან „გადაცემებით", „გადაცემას" არ იღებენ, კიდევ უფრო უარესი მოპყრობა.

20 დეკემბერი

მთელი ღამე ბავშვები მელანდება, გაშვებაზე ვოცნებობ, ვტირი... წყურვილი მაღრჩობს, როგორც იქნა წყალი გვეღირსა, ვსვამ და წყურვილს ვერ ვიკლავ. ეს დღე საშინელი იყო რატომღაც, ერთბაშად ატყდნენ „ბიტავიჩკები", ერთხმად ატეხეს ყვირილ-ყაყანი...

21 დეკემბერი

ვწევარ, ცოტა უკეთ ვარ, საერთო განწყობილება საშინელია, გამოძახება გრძელდება, ქალები ჩხუბობენ: არა შენ ცხოვრობდი კარგად და არა – შენო...

22 დეკემბერი

კიდევ უფრო მძიმე დილა, სულით დაცემა, ავადმყოფობა, დავა, გამოძახება, უიმედობა. დაპატიმრებები შეწყდა, იმ სამოცდასამ ქალს ეძებენ, ეტყობა, თავს უშველეს.

23 დეკემბერი

განწყობილება იგივე და კიდევ უარესი. საღამოს მაშო ჯალაღანიას ათავისუფლებენ, ვხარობთ, ჩვენც ველით წასვლას. ბავშვების ამბავს ვერ ვგებულობ, ვგიჟდები.

24 დეკემბერი

ავად ვარ, ეწევარ, შუადღეზე წამოვდგები, გისოსებიდან შორ – შორ გავყურებ – იქნებ ავთომ რეზო გაასვირნოს და შევამჩნიო-მეთქი, ვგონებ ისინია! ტირილი, გოდება...

25 დეკემბერი

იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგიერთებმა შეძლეს შაქრის გადაცემის მიღება, ნიორი ლარიოკში იყიდეს, მეც მომიტანეს, დღეს მაწონიც ვჭამე. საშინელი განწყობაა...

26 დეკემბერი

აქ წყდება ჩანაწერები...

1937 წელს, შემოდგომაზე დაპატიმრებული დედა შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული საათათბიროს 1938 წლის 23 აპრილის დადგენილებით რვა წლით მოაშორეს შვილებს და სამშობლოს – რატომ შენი ქმარი არ დაასმინეო.

დედას ჩემთვის უთქვამს: – მამაშენი მეტყოდა: კომუნისტები არ მიყვარს, მაგრამ მათ საწინააღმდეგოს ვერაფერს გავაკეთებო.

წასულიყო დედაჩემი და შინსახკომისოვის ეთქვა – ჩემს ქმარს კომუნისტები არ უყვარსო?..

დედას მოგონებათა წერა შეაწყვეტინა საშინელმა სენმა, მკლავის სარკომამ, რომელმაც ხუთი თვე აწამა და ბოლო მოუღო 1969 წელს... ტანჯული სულის ამოხდომამდე მას უელიდა საგანგებოდ ამისთვის სამეგრელოდან, სოფელ ობუჯიდან ჩამოსული ომში დაკარგული დედაჩემის ძმის, აქვსენტი მიქავას ცოლი შუშანა, რომელიც, ღმერთმა აცხონოს, თავადაც მალე მიიცვალა...

მართალია, დედას სიკვდილმა მოგონებათა წერა არ დაამთავრებინა, მაგრამ მეც შემიძლია გავიხსენო ზოგი რამ როგორც დედაჩემის ნაამბობი, ასევე ჩემს მიერ განცდილ-გადატანილი.

პირველად დედა აღმოჩნდა პოტმაში, მორდოვეთში. იქ მას ჩააკითხა ჩემმა უფროსმა ძმამ გედევანმა. ჩაკითხვით ჩააკითხა, მაგრამ ვინ აჩვენებდა?! კომუნისტებისგან ისიც გასაკვირია, როგორც ხალხის მტრის შვილს, ციმბირში რომ არ უკრეს თავი ხეების საჭრელად!

ახლა ზოგი რამ დედაჩემის ნაამბობიდან: მან მისჯილი 8 წლიდან პირველი ნახევარი მაშინდელ კარელია-ფინეთში, ონეგის ტბის ზემოთ, თეთრი ზღვა-ბალტიის არხის ტრასაზე, სადგურ სეგეჟასთან გაატარა, იქ, მიწისზედა დიდ ბანაკთან ერთად, მიწისქვეშ ყოფილა განლაგებული საიდუმლო ქარხანა. ზოგჯერ ამ ქარხანაში გაფუჭდებოდა დაზგა, რომლის შესაკეთებლად მამაკაც პოლიტპატიმართა ბანაკიდან ბადრაგით მოჰყავდათ პატიმარი-სპეციალისტი. დაზგის შეკეთების შემდეგ მას ისევ ბადრაგით აბრუნებდნენ თავის ბანაკში.

1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყების დღესვე გერმანულ თვითმფრინავებს დაუბომბავთ პოლიტპატიმარ ქალთა ბანაკი. გერმანელებს, ცხადია, საიდუმლო ქარხნები აინტერესებდათ და არა პოლიტპატიმართა ბანაკები. დედა იგონებდა: ბანაკის ტერიტორიაზე უზარმაზარი სიპი ლოდები იყო მიმობნეული და იმას ამოვეფარეთო...

მეორე დღესვე ჩამოუყენებიათ ეშელონები და მთელი ბანაკი გადაუსვრიათ ყაზახეთში. იქ დედაჩემმა ქალაქ ყარაგანდიდან 400 კმ–ით დაშორებულ ბანაკში ოთხი წელი

გაატარა. ბანაკსგარეთ სადმე სამუშაოდ თუ მიჰყავდათ (არხების გასაწმენდად ან გასაყვანად, კარტოფილის ამოსაღებად და ასე შემდეგ), პატიმარ ქალთა კოლონას აქეთ-იქიდან თოფმომარჯვებული და ძაღლებით გაძლიერებული ბადრაგი აცილებდა, მებადრაგენი შეუბრალებლად აფრთხილებდნენ ქალებს – პირდაპირ იარეთო – Шаг налево, шаг направо – будем стрелять!.

თუ სამუშაოს დაწესებულ ნორმას ასრულებდი, ნორმით განსაზღვრული პური გერგებოდა, თუ არა და – ნაკლებს მიიღებდი...

ყაზახეთის იმ ბანაკში მასთან ტანჯულთაგან ყველაზე ხშირად დედაჩემი ახსენებდა ანიკო დუმბაძეს (მწერალ ნოდარ დუმბაძის დედას), დახვრეტილი სახელმწიფო მოღვაწეების, მამია და მარიამ ორახელაშვილების ქალიშვილს, ასევე დახვრეტილი გამოჩენილი დირიჟორის ევგენი მიქელაძის მეუღლეს ქეთუსია ორახელაშვილს, კიდევ ერთი სახელმწიფო მოღვაწის,ერი დროს შეთავსებით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის აკაკი თათარიშვილის მეუღლეს ელენე (ლოლია) თათარიშვილს და შემდეგში ცნობილ ფოლკლორისტს, პროფესორ ელენე (ლოლიტა) ვირსალაძეს...

2004 წელს მოსკოვის საზოგადოება „მემორიალმა" გადმომცა მის მიერ 2003 წელს მოსკოვში გამოცემული 567–გვერდიანი წიგნი "Узницы "Алжира", რაც ასე იშიფრება: Акмолинский Лагер Жен Изменниксв Родины (სამშობლოს მოღალატეთა ცოლების აკმოლინსკის ბანაკი).

ყარაგანდის (ყაზახეთი) ბანაკთა სამმართველოს აკმოლინსკის განყოფილების ბანაკში მყოფ უამრავ ქალთა შორის ამ წიგნში 239-ე გვერდზე მოხსენიებულია დედაჩემი მარგალიტა ესტატეს ასული კვერენჩხილაძე, როგორც სეგეჟის ბანაკიდან 1941 წელს გადმოყვანილი, 8 წელმისჯილი და 1945 წ. 23 ნოემბერს გათავისუფლებული.

ამავე წიგნში შეხვდებით დედასთან ერთად იქ მყოფ ზემოხსენებულ ქალბატონებს: ალექსანდრა (ანიკო) ივანეს ასულ ბახტაძე-დუმბაძეს (გვ. 182), ელენე ბაგრატის ასულ ვირსალაძეს (წიგნში გვარი დამახინჯებულია, გვ. 122), ელე-ნე ავგუსტის ასულ თათარიშვილს (გვ. 475) და ქეთევან მამიას ასულ ორახელაშვილ-მიქელაძეს (გვ. 382).

დედას ხშირად უთქვამს: ბანაკის მძიმე დღეები ანიკო დუმბაძის ხუმრობა-ოხუნჯობებმა გადაგვატანიაო;

ერთმანეთთან ხშირად ვახსენებდით ჩვენს გამაუბედურებლებს, მაგრამ სხვებს რომ არ გაეგოთ, ვისზე ვსაუბრობდით, სტალინსა და მოლოტოვს შერქმეული სახელებით მოვიხსენიებდით: პირველს – „ჩიბუხაძედ“ (იგი ხომ სულ ჩიბუხს აბოლებდა), მეორეს – „ჩაქუჩაძედო“ (მოლოტ – ჩაქუჩი);

მე არც დიდი კაცის ცოლი ვიყავი, არც ზოგიერთებივით სახელგანთქმულ უნივერსიტეტებდამთავრებული, მაგრამ დიდკაცთა პატიმარი ცოლები რატომღაც ბევრ რამეს მანდობდნენ, მიზიარებდნენო;

ერთხელ ქეთუსია ორახელაშვილმა მითხრა: ქალბატონო მარგალიტა, რა ვქნა, ან ყველასი უნდა გავხდე, ან თავი უნდა მოვიკლაო.

საქმე ის იყო, რომ ყარაგანდაში, ბანაკების სამმართველოში უფროსები ქეიფის შემდეგ იტყოდნენ: "Поехали, прекрасную грузинку смотреть" და ქეთუსია მათ ხან ერთი ბარაკის შენობაში ემალებოდა, ხან – მეორეში...

ეურჩიე: შვილო, ნურც ყველასი გახდები და ნურც თავს მოიკლავ, ცოლად გაჰყევი იმ კაცს, ვისაც უყვარხარ და თავს ურჩევნიხარ-მეთქი.

იქ იყო იქვე დასახლების პირობით გათავისუფლებული რუსი პოლიტპატიმარი ნიკოლოზ დროზდოვი, რომელსაც ჭირივით სძულდა სტალინი, რადგან მასში ხედავდა მის და მისდაგვართა უბედურების მიზეზს, მაგრამ აღმერთებდა ქართველ ქალს ქუთესია ორახელაშვილს.

აღბათ ჩემმა რჩევამაც გასჭრა მშვენიერ ქეთუსიაზე – საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის – თავის მოკვლის ნაცვლად მართლაც გაჰყვა ცოლად იმ დროზდოვს და მათ ვაჟიც შეეძინაო...

დედას ჩემთვის უამბნია ლოლია თათარიშვილის განამხელიც: „აკაკი მისი დაპატიმრების წინ, ღამ-ღამობით ჩუმად შემომჩივლებდა: ვერ გამიგია, რა უნდა ჩემგან ბერიას, საღამოს, სამუშაოს დამთავრებისას დამირეკავს – გამოგიველიო. ჩამიჯენს მანქანაში და ზის ჩუმად. მე,

ბუნებრივია, ხმას არ ვიღებ. არ ვიცი რას ფიქრობს, რა უნდა ჩემგან, იქნებ უბრალოდ ისვენებს მძიმე სამუშაოს შემდეგ? არ ვიცი, არ ვიცი... ასე ავდიეართ სამხედრო გზით ფასანაურამდე, დავბრუნდებით უკან და ჩვენი სახლის სადარბაზოსთან ჩამომსვამსო...“

ვინ იცის, რას ფიქრობდა ბერია. ეს კია, მალე მისი თანხმობით აკაკი თათარიშვილს დააპატიმრებენ და დახვრეტენ.

ამ ლოლია თათარიშვილს რაღაც გადანახულ ნივთებს უგზავნიდნენ და ამით გაჰქონდა თავი – პოლიტპატიმარ ქალთა ბანაკის მოსაზღვრედ ე.წ. „ბიტავიჩკების“ (საყოფაცხოვრებო საქმეებზე დაპატიმრებულთა – მკვლელების, მძარცველების...) ქალთა ბანაკი იყო. თურმე კაცისმკვლელი ციმბირელი ქალების საგინებელი გამხდარან – თქვე ურიებო, ახია თქვენზე პატიმრობაო...

ლოლია თათარიშვილი ნივთებს ამ ქალებს უცვლიდა ფულზე. ერთხელ რაღაც ნივთი აჩვენა მათ და დიდხანს ევაჭრა. შეთანხმების შემდეგ მავთულბადიანი ღობის იქით ნივთები (მგონი დანა-ჩანგალი) მიაწოდა „ბიტავიჩკას“. იმან ძუნწი და ხელმოჭერილი ხარო და არც ფული მისცა, არც ნივთები დაუბრუნაო...

ჩვენ კი რა გვებადა, რას გავუგზავნიდით საწყალ დედაჩემს. მე თვითონ საპატრონო ვიყავი...

ბინიდან გამოსახლება;
ბებია, შუათანა ძმა; წართმეული ბავშვობა და ქალაქი.

1941 წლამდე ბიძაჩემი, მამაჩემის უმცროსი ძმა ილია (ილიკო) კვერენჩხილაძე სოფელ ხორეთიდან ბათუმში საჭმელ-სასმელით და ფულით გვამარაგებდა მე, ჩემს საშუალო ძმას ავთანდილს (ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის კურსანტი) და ბებიაჩემ მარინეს (უფროსი ძმა გედევან კვერენჩხილაძე ამ დროს თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა).

თქმა არ უნდა, გაჭირვებაში ვცხოვრობდით, ყველაფერი

გეაკლდა. მწარედ მახსენდება ზოგი რამ:

ბინიდან გამოსახლების შემდეგ ჩვენ ვცხოვრობდით ეზოს მხარეს, აივნის გაყოლებაზე ცალკე არსებულ ჩვენს სამზარეულო ოთახში, რომლის დასაკუთრება არ ისურვა ჩვენს ბინაში შესახლებულმა შინსახკომის თანამშრომელმა რუსმა ქალმა.

მაგრამ,ეტყობა ვიღაცას უნდოდა იქიდანაც ამოვეძირკვეთ და იმ ვიღაცამ მკვდარი კატა დაგვიგდო სხვენში. აყროლდა ყველაფერი... ბოლოს მამაჩემის ბიძაშვილმა მელქისედეკ (მიშა) კვერენჩხილაძემ გეიშველა –სხვენი გაწმინდა...

ულმობელი დრო იყო, ნათესავებსაც კი ეშინოდათ ტროცკისტებად შერაცხილთათვის დახმარების ხელის გაწოდება.

მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენი მწუხარების გამზიარებელი და დამხმარე იყო ჩემი მამიდაშვილი დარიკო ბარამიძე – ქარჩავა.

ზემოთ მამიდაჩემებთან დარიკოს დედა სარაც ვახსენე, ჯურუყვეთში ონისიმე ბარამიძეზე გათხოვილი.

მამაჩემი რომ 1937 წელს დააპატიმრეს, სარაც მიხვდა, სულ სხვა, დაუნდობელი დრო დადგაო და მისი საყვარელი ძმის ბედმა უაღრესად შეაშფოთა, ჯერ ბათუმში ცდილობდა რაიმე გაეგო, სულ ციხის კარებთან ტრიალებდა. შემდეგ, მამაჩემი რომ ეტაპით თბილისში გადაჰყავდათ, იმავე მატარებელს სარაც გაჰყვა და მთელი კვირა გულ-მკერდი ძმის ხვედრზე წუხილთან ერთად, თავიანთი პატიმრების ბედის გასაგებად ციხის კარებს მიმწყდარი ხალხის ჯგლეთაში მოყოლამაც სასტიკად დაუზიანა, რის გამოც სოფელში დაბრუნებულს მალე გული გაუსკდა...

სარას ქალიშვილი დარიკო კი თავის ქმართან ვანიჩქა ქარჩავასთან და შვილებთან ლიასა და მამიასთან ერთად ბათუმში, ჩვენს მომიჯნავე სახლში (კამოს ქ. № 13) ცხოვრობდა. მეორე სართულზე განლაგებული მათი ბინის ფანჯრები და აივანიც კამოს ქუჩას გადაჰყურებდა.

ვანიჩქა გამოცდილი პარიკმახერი იყო და ჩვენი ქუჩის პარალელურ სტალინის ქუჩაზე, თურქეთის საკონსულოს მოპირდაპირე მხარეს, პრესტიჟულ საპარიკმახეროში მუშაობდა.

ლია და მამია თითქმის ჩემი თანატოლები იყვნენ. მახსოვს, მამიას ბავშვები „ვანჩაის“ ეძახდნენ, რაც მას აბრაზებდა...

ჩემი მამიდაშვილი დარიკო ჩემზე გაცილებით უფროსი იყო. ეს მაბნევდა და მას „დარიკო ბიცოლას“ ვეძახდი... არცერთი აღარაა ცოცხალი.

ვუბრუნდები ჩვენს „ბინას“ – საცხოვრებლად ქცეულ ჩვენს სამზარეულოს. მის მოპირდაპირე გრძელ აივანზე გამოდიოდა ჩვენი თანასოფლელების ბიქტორ ხუციშვილისა და მისი სათნო მეუღლის ვალიას ბინა. ისინი ჩვენი კეთილმოსურნენი იყვნენ...

ჩვენს სართულზე ცხოვრობდნენ აგრეთვე: მარტოხელა ქალი ნადია, რომელსაც ჩემი ტოლი გოგონა ევა ჰყავდა, და რუსი ცოლ-ქმარი მოზრდილი ორი ბიჭით, ერთს ვალოდია ერქვა, და ჩემი ტოლი გოგონათი, სახელი დამეიწყნია... ქმარი სიმთვრალეში უთოთი დასდევდა ცოლს.

ეზოს მოპირდაპირე მხარეს (იქ, მეორე სართულზე ცალკე ასასვლელი კიბე იყო) თავაროქილაძეები ცხოვრობდნენ.

პირველი სართულიდან ჩემი კბილა სიმხის ბიჭი მაცაკა მახსოვს, აგრეთვე, წერილშვილიანი ქართული ოჯახი, მათმა დედამ (თუ არ ვცდები, მარუსია ერქვა) რუსული არ იცოდა და ერთხელ სურნელოვანი ყვავილის შესახებ უთქვამს: კაკ ხარაშო ვანიაეტო.

უკანასკნელად ბათუმში 2004 წლის ოქტომბრის მიწურულს მომიწია ყოფნა. რაღა თქმა უნდა, ჩემი ბავშვობის თვალსაწიერი ქუჩები, მოედანი, პორტის მიმდებარე ადგილები დავიარე. ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვლილა: სადღაა ის უსახური საწყობები და ყრუ კედლები, რომლებიც პორტს და მის მისადგომებს, ცხადია, ზღვასაც ფარავდნენ... თითქმის გაქრა, კონცხს რომ გასდევდა ხეებითა და ბუჩქებით დაფარული, მავთულხლართებით დაცული ხელოვნური(?) სერი, რომლის წიაღში სამხედრო გვირაბი–საწყობი იყო.

დღეს ზღვის მხარეს, დაწყებული კონცხის ბოლოდან პორტისაკენ უგრძესი ნატიფი და ჰაეროვანი თეთრი კოლონადა მიჰყვება, რომლის სიღრმეში ბევრი შემინული სათავსია სხვადასხვა დაწესებულებათა განსალაგებლად...

და კიდევ, ჩვენი სახლის წინ მდგარი მილიციის კლუბი რომ ვახსენე, აღარ ახსოვდათ, იქ რაღაც სხვას აშენებდნენ...

თავისთავად ცხადია, ჩემი ბავშვობის ბინას ჩავუარე და რას ვხედავ – ცეცხლს გადაუბუგავს ჩვენი ყოფილი ოთახები...

მანამდე ერთი ხანში შესული მამაკაცისგან მოვინდომე გამეგო რა ერქვა ჩვენი სახლის გვერდით უახლოეს ქუჩას. საუბრიდან გამოირკვა, რომ ჩემს მამიდაშვილს დარიკოს იცნობდა. ვკითხე დარიკო ქარჩავას მეზობელ, ჩვენდამი კეთილად განწყობილ ანთიძეების კარგ ოჯახზე. თურმე იმათაც იცნობდა. სამი ძმიდან ორი, ასლანი და ჩემი ტოლი ალი (მერე ის და კიდევ ერთ-ერთი ძმა ცნობილი მოცეკვავენი რომ გახდნენ) გარდაცვლილან, მხოლოდ მურადია ცოცხალიო.

ამჯერად ჩვენს ეზოშიც შევედი, არავინ ჩანდა. მოპირდაპირე ეზოდან მუშას დავუნახიეარ, ვკითხე რაღაცეები.

ჩვენი ბინის მხრიდან მთელი მეორე სართული დამწვარა. ცეცხლის სტიქია კი არა ადამიანები ვერ არჩეევენ კარგად მტყუანსა და მართალს, თორემ, ღმერთმა მაპატიოს და მხოლოდ იმ მეზობლის ბინა უნდა დამწვარიყო, რომლის პატრონმა მამაჩემის დაღუპვაში შეიტანა წვლილი.

ჩემი ბავშვობის „ნაცნობებიდან" მხოლოდ ჩემი თანატოლი, ნადიას ქალიშვილი ევა ვნახე...

ბათუმში ჩემი თვალსაწიერი ჩვენი სახლით, მისი ეზოთი, ჩვენი სახლის წინ არსებული მილიციის კლუბის გრძელი ერთსართულიანი შენობითა და ეზოთი, მის გვერდით განლაგებული ყოფილი სასტუმრო „ფრანციის" შენობით შემოიფარგლებოდა.

ფრანციის სახურავიდან მეზობელი სახლის სახურავზე ერთხელ მეც გავბედე გადასვლა, იქიდან სტალინის ქუჩასა და მთავარ მოედანს გადავხედე...

მახსოვს, საღამოობით ამ ეზოებში „დამალობანას" ვთამაშობდით უბნის ბიჭები...

ხანდახან ამ ყოფილი სასტუმროს გასწვრივ ქალაქის მთავარი მოედნისაკენ მიმავალ ქუჩას ავუყვებოდით და ხელად მოედანზე აღმოვჩნდებოდით, იქ მეზღვაურთა კლუბის შენობა იდგა, სადაც ხშირად კინოფილმებს უჩვენებდნენ. ერთ რამედ გვიღირდა ამ კლუბში კინოსეანსებზე დასწრება.

კამოს ქუჩის მეორე ბოლოსაკენ ცირკის მხარეს,პირველი განიკი (ლიბკნეხტის) ქუჩის მოკლე მონაკვეთის გაყოლით სტალინის ქუჩაზე გავდიოდი. იქ იყო კინოთეატრი, სადაც პირველად მინახავს ქართული კინოფილმი „დარიკო“, რუსული „ჩაპაევი“, ჩარლი ჩაპლინის „ახალი დროება“ და „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“...

ცოტა მოშორებით, ლენინის ქუჩაზეც დავდიოდი მეორე კინოთეატრში (დაახლოებით დღევანდელი დრამატული თეატრის წინ იდგა).

კამოს ქუჩით სკოლაში დავდიოდი. მართალი გითხრათ ბევრი არაფერი მახსოვს, გარდა იმისა,რომ ამ ქუჩის ბოლოში ცირკის მრგვალი შენობა იყო (2004 წელს გადაკეთებული დამხვდა, სიმრგვალე წაუშლიათ), იქ ხანდახან თუ წამიყვანდნენ,ან გამიშვებდნენ. წარმოდგენის ბოლო ნაწილი კლასიკურ ჭიდაობას ეთმობოდა ხოლმე, დამამახსოვრდა მოჭიდავის ერთი გვარი – ბაბალიკაშვილი...

შემდეგში, როცა ქუთაისის სამწერლო ცხოვრებაზე გამოკვლევას ვწერდი, ერთ-ერთ მოგონებაში ამ ბაბალიკაშვილის გვარი ამოვიკითხე, ქუთაისელი მოჭიდავე ყოფილა, ამ შემთხვევამ ჩემი წართმეული ქალაქი ბათუმი და ასევე წართმეულ-გამრუდებული ბავშვობა გამახსენა...

ცირკის მოპირდაპირე მხარეს თეატრი იყო, ლანდად მახსოვს იქ ყოფნა, „ალკაზარი“ ვნახე... მაშინ რა ვიცოდი რას ნიშნავდა ეს სახელწოდება,გვიან გავიგე,რომ ეს პიესა ესპანეთის სამოქალაქო ომს, ციხე-სიმაგრე „ალკაზარს“ ეხებოდა და ახალგახრდა დრამატურგს გიორგი მდივანს ეკუთვნოდა.

ჩემი ყველაზე შორს წასვლა იყო მოსწავლეთა პარკში ყოფნა, ზღვაზე კი ბებიაჩემს წავუყვანივარ, დაბეჯითებით არ მახსოვს, ვიცი რომ იგი ზღვის წყლის თბილ აბაზანებს იღებდა. ერთხელ რკინიგზის ვაგზალში მნახეს, ეტყობა ბიჭებს გავყევი. საერთდ კი, ღმერთმა მიხსნა, რომ ცუდ გზას არ დავადექი. აბა ბებიას სად შეეძლო ჩემი დეკნა...

ერთი ამბავიც მინდა მოვიგონო. ეტყობა დედ-მამის დაპატიმრების, ბინის წართმევის, ბავშვობის მოშხამვის გამო ვიღაცის მიმართ გაღიზიანების, ალბათ ბოლომდე გაუცნობიერებელი უკმაყოფილების გამოხატულება იყო, რომ ერთხელ საპირველმაისო თუ საშვიდნოემბრო

დემონსტრაციაზე (ორივე წყალს წაუღია!) ჩემს წინ კოლონაში მიმავალ სკოლის თუ ინსტიტუტის დირექტორის შვილს, ჩემ ტოლ ბიჭს მგონი ქემხაძეს, თითებზე დაჭიმული წვრილი რეზინით გატყორცნილი კურკანტელა ან ქაღალდის დაგორგლილი ბურთულა მოვარტყი.

რატომ მაინცდამაინც მას? რა დამიშავა მან, ან მისმა მშობლებმა? არ ვიცი, მაგრამ ასე კი მოვიქეცი...

ამის გამო დირექტორთან დამიბარეს. მადლობა ღმერთს, დატუქსვით გადავრჩი, ეხუმრებით, იმ დროს ადვილად შეიძლებოდა კუდი გამოებათ – საბჭოთა დღესასწაულის დროს „ტროცკისტის„ შვილმა პიონერს, საბჭოთა ხელისუფლების ნდობით აღჭურვილ ცნობილი კაცის შვილს „ლაკატკით“ რაღაც მოარტყაო...

არ ვიცი კაცთა სიკეთემ გადამარჩინა თუ ღვთის წყალობამ, ეს კია, კაი გვარიანად ვიტირე...

2004 წელს აღმოვაჩინე, რომ ქემხაძეები თურმე ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს სულ ახლოს ცხოვრობდნენ – იმ სახლზე გაკრულია მემორიალური დაფა.

კიდევ რა მახსოვს ჩემი ბავშვობის ქალაქიდან, რომელშიც ცხოვრება არ დამაცალეს? რა და ქალაქის მთავარ მოედანთან საიდუმლოებით მოცული ზემოხსენებული „ბურუნ ტაბიეს“ კონცხის სერი, რომლის სიღრმეში, გვირაბში სამხედრო საწყობი არისო ამბობდნენ... მაეთულხლართებით შემოღობილ და საიდუმლოებით მოცულ ამ სერს მუდამ შიშმორეული ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი შორიდან.

თურქული სახელწოდება „ბურუნ-ტაბიე“ კი ძველი ბათუმელის, მწერალ იროდიონ ქავეარაძის მეხსიერებას შემორჩენოდა ბავშვობიდან და მისგან გავიგე: იროდიონ ქავეარაძე მწერალთა კავშირის აპარატის უძველესი მუშაკი გახლდათ, 1934 წელს ნიკოლო მიწიშვილის რეკომენდაციით მიუღიათ სამუშაოდ. ადრე მოთხრობებს ბეჭდავდა, რასაც მოგვიანებით ისევე დაუბრუნდა, შემდეგ ფრანგული მწერლობის ცნობილი, უშუალოდ დედნიდან ქართულად მთარგმნელი გახდა.

მწერალთა კავშირში ჩემი მისვლისთანავე (1952 წ.) იროდიონ ქავეარაძე ჯერ ჩემს დამრიგებლად, შემდეგ უფროს მეგობრად იქცა.

და, აი, ერთხელ, უკვე 80 წელს მიღწეულმა ირიდიონმა გამიმხილა: ახალგაზრდობის ქალაქი, მშობლიური ბათუმი მომენატრაო, თანაც იმჟამად გასრულებული ჰქონდა დოკუმენტური მოთხრობა დიდ აჭარელ ქართველ მოღვაწე მემედ-ბეგ აბაშიძეზე. მოთხრობის ერთი ეგზემპლარი მამის ცხოვრება-მოღვაწეობაზე მასალების მომწოდებელ იბრაჰიმ აბაშიძისათვის გაეგზავნა. გასაგებია, აინტერესებდა მისი აზრი, შენიშვნები და სურვილები.

მიეხვდი – მარტო ვერ ბედავდა წასვლას. შევთავაზე – ერთად წავიდეთ, თანაც იქიდან სოხუმშიც გამოვიაროთ-მეთქი.

მაშინ საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ისტორიაზე ვმუშაობდი და ამ კავშირის აჭარის განყოფილების წარსულის დასასუსტებლად იქაურ ხანდაზმულ მწერლებთან გასაუბრება არ მაწყენდა.

ასე გავემგზავრეთ ბათუმში 1976 წლის დეკემბერში.

40 წლის განმავლობაში მწერალთა კავშირში საქმეთა მმართველად ნამოღვაწარ ირიდიონს ბათუმში ყველა მწერალი იცნობდა, მის მიერ შედგენილი მიმართვები თუ ცნობები, დახასიათებები ყველას დასჭირვებია, ყველას ახსოვდა მისი ღიმილიანი და მშვიდი შეხვედრა და, რა გასაკვირია, რომ დიდებულად მიეღოთ ბათუმელებს, იქაური მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარეს ფრიდონ ხალვაშს, გამოჩენილ პოეტებს მამია ვარშანიძეს, ჯემალ ჯაყელს, ახალგაზრდებსაც, სხვებსა და სხვებს...

სასტუმრო „ინტურისტში“ მოგვათავსეს. მახსოვს დილით, თვალს რომ გავახელდი, ადრე გაღვიძებული ირიდიონი გასუსული იწვა – ძილი არ დაეუფრთხოო, ესაა რომ ნელ-ნელა ხელ-ფეხს ამოძრავებდა, საწოლშივე დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს ასრულებდა...

დილ-დილობით ბავშვობიდან საყვარელ ზღვისპირა ბულვარში, ერთ-ერთ უმშვენიერეს ხეივანში გავდიოდით, ზღვის ცქერით ვტკბებოდით...

დღისით პორტის მოპირდაპირე მხარეს ბატონ იბრაჰიმ აბაშიძეს მივაკითხეთ. გვითხრეს – მახინჯაურშიაო. ჩავაკითხეთ, მანდარინების ბაღში ჩაფლულ ოდა-სახლში დიდი პატივისცემით მიგვიღო.

ირიდიონისათვის მთავარი იმის გაგება იყო, მოეწონა თუ არა იბრაჰიმს მის მამაზე დაწერილი წიგნი. გულითადი

საუბრისა და გამასპინძლების შემდეგ ბატონმა იბრაჰიმმა ირაოდიონს დიდი მადლიერებით მიართვა ხელნაწერი, ირაოდიონმა კი გამოყენებული მასალები დაუბრუნა.

რამდენიმე დღე დავსეირნობდით ჩვენს საყვარელ, მაგრამ ჩემთვის წართმეულ, მწარედ მოსაგონარ ბათუმის ქუჩებში. აი, სწორედ მაშინ მითხრა ბატონმა ირაოდიონმა – იმ კონცხს ჩემს ბავშვობაში (ე.ი. მე-20 საუკუნის დასაწყისში) „ბურუნ ტაბიეს“ ეძახდნენო.

მწერალთა კავშირის ისტორიის მასალების დასა-ზუსტებლად შინ ვეწვიე მხცოვან პოეტ ნესტორ მალაზონიას. ჩემს მიერ მოპოვებული მასალები რომ გავაცანი მწერალთა კავშირის წარსულზე, კერძოდ, საქართველოს პროლეტა-რულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილებაზე, ახალგაზრდობის გახსენებით ნასიამოვნებმა ნესტორმა, გაღიმებულმა მითხრა: ყველაფერი გცოდნია, მე არაფერი მრჩება დასამატებელ-დასაზუსტებელიო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სოხუმშიც ვაპირებდით ჩასვლას. ირაოდიონს შეეთავაზე – დღისით გემით გავემგზავროთ, აჭარა - გურია – სამეგრელოს სანაპიროებსა და მთებს თვალს შევაყლებთ, ზღვის ცქერით გულს ვიჯერებთ და საღამოს სოხუმი გვიმასპინძლებს-მეთქი.

შეეატყვე, გემით მგზავრობის ეშინოდა, ისე კი საკვირ-ველი იყო, ზღვაზე გაზრდილი, კარგი მოცურავე კაცი ზღვას უფრთხოდა...

როგორც იქნა დავარწმუნე, დავითანხმე. შემდეგ დიდად კმაყოფილიც დარჩა. მე თან ბინოკლი მქონდა წაღებული, გემის კაპიტანმაც რომ გაიგო ვინ იყო ირაოდიონ ქავეარაძე, კაპიტნის ბოგაზე მიგვიწვია და არე-მარეს ბინოკლით დათვალიერების ნებაც დაგვრთო.

სოხუმში გვიან ღამით ჩავედით. თავისთავად იგულისხმება, სასტუმრო „აფხაზეთში“ ნომერი დაგვხვდა...

აქაც საკმაოდ კარგად მიგვიღეს, მათ შორის, აფსუა მწერლებმაც (გულში კი, თურმე, სხვა ედოთ!)...

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის წარსულზე უხუცეს პროლეტარულ მწერალს მუშნი ხაშბას ვესაუბრე. აფსაზმა პოეტმაც მხოლოდ მცირე რამ გაიხსენა...

მეორე დღეს ავტობუსით გაგრაც მოვინახულეთ...

იქ 1957-58 წლებიდან დაწყებული 10 წლის განმავლობაში ორ-ორ თვეს ვისვენებდი ზაფხულსა და შემოდგომაზე (ერთხელ 7 ნოემბერსაც კი ვიბანავე ზღვაში, ხოლო საღამოს გამოვემგზავრე).

მახსოვს, უკვე მაშინ შესამჩნევი იყო აფსუები როგორ ხაზგასმულად ცდილობდნენ აფხაზური კულტურა წარმოეჩინათ – გაგრის პორტთან გაზიანი წყლების ჯიხურში შიგნიდან მინაზე თვალსაჩინოდ იყო მოდებული წიგნი „აბხაზსკაია კულტურა", არა გასაყიდად, არამედ რუსი დამსვენებლისათვის თვალში შესაჩხერად.

შეიძლება გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც ვიკითხავ: ეს ტომი თავის თავს აფსუას უწოდებს, ჩვენ კი დაგვიჩემებია აფხაზებიო. რატომ ვართმევთ ამ ხალხს თავის სახელს? აფხაზური კულტურაო. ე.ი. ქართული კულტურა. რატომ ვაიძულებთ ქართულ კულტურას გაუწიონ აფიშირება?

ეტყობა ამის გამო აგვიბუნტდნენ...

ვუბრუნდები ჩემი ბავშვობის ქალაქს ბათუმს. ...ჩემს მეხსიერებას ბავშვობიდანვე სამუდამოდ შემოორჩა ქარიშხლიან დღეებში მეხობელი სახლის სახურავზე ნახევრად აგლეჯილი თუნუქის ფურცლის ლაწა-ლუწი, ღამით რომ ძილს გვიფრთხობდა, და პორტში გემების გასაფრთხილებლად აყმუვლებული სირენის გამყინავი ხმა...

ოცნებად მქონდა ქცეული პორტის ნახვა, გემების ცქერა, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, მაშინ პორტის ტერიტორია საგანგებოდ იყო შემოღობილი და დაცულ-დაფარული უშნო შენობებით. მაგრამ თვალს მაინც იზიდავდა პორტის მისადგომებიდან ზღვის ცქერა (ტალღები ხან რომ წამოიქოხრებოდა, ხან კი მშვიდად ელამუნებოდა ნაპირს),ნაპირთან მიბმული,მოქანავე ნავები,რეიდზე მდგარი დიდი გემები, ხოლო ყურს კი სიამოვნებდა თბომავლების საყვირის ხმა, მათი დიზელების ზუზუნი...

ჩემმა შუათანა ძმამ, აკთანდილმა, რომელსაც, როგორც საზღვაო ტექნიკუმის კურსანტს, პორტის სასადილოს უფასო ტალონები ეძლეოდა, კარგად იცოდა, ნახევრად მშიერი რომ ვიყავი, ერთ დღეს წამიყვანა და თავისი ულუფა კატლეტი მაჭამა, თვითონ, ამ დევივით ვაუკაცმა,

რომლის საყელოც კი ჭამდა, მიიკლო და თავისი უმცროსი ძმა დააპურა...

მთელი ცხოერება მტანჯავდა და ახლაც მაწუხებს ამის გახსენება!..

ხორეთი, ომი, ბიძაჩემის დაჭრა, გაჭირვება, შიმშილი

1939 წლიდან მძვინვარე მეორე მსოფლიო ომის ყოველისწამლეკავმა, ნგრევის, სიკვდილის, გლოვის მთესავმა გრიგალმა 1941 წლის 22 ივნისს საბჭოეთსაც უწია და თავს დაატყდა – დაიწყო გერმანია საბჭოთა კავშირის ომი.

ამ დროს მე და ჩემი ბიძაშვილი რომან კვერენჩხილაძე მაშო მამიდასთან ვიყავით სოფელ ჯურუყვეთში. მამიდაჩვენი ასე გვარიგებდა: ილიკო შეიძლება ჯარში გაიწვიონ, ამიტომ ჯობს მისი შვილი მასთან იყოს, გული იჯეროს მისი ყურებით... ანიჩქას დაუჯერეთ, მეეხმარეთ, შესაშინებელი არაფერი არაა, შვილებო, ანიჩქას და მარინეს უთხარით – მაშომ შემოგითვალათ-თქვა: გამაგრდით, ილიკოს ცრემლი არ დაანახეოთ, გულდადებული გაუშვით-თქვა...

...ერთი კვირა იქნებოდა, რაც ილიკო ბიძია მთელ ბრიგადასთან ერთად იყო წასული სუფსის შესართავთან არსებულ საკოლმეურნეო ყანებში, „ქვეით", როგორც ხორეთლები იმ ადგილს ეძახდნენ.

გაგზავნეს მანქანა და ამოიყვანეს სამხედრო კომისარიატის მიერ გამოძახებული ხალხი, მათ შორის ილიკო ბიძია.

მეორე დღეს ყველანი ჯარში გაიწვიეს, მათთან ერთად საკოლმეურნეო ავტომანქანაც...

...მარინე ბებია თავზე შემონაცვლებ ქვას ინახავს ზანდუკში – ასე უვნებლად დამიბრუნდესო ილიკო. მოგვიანებით ამ შელოცვილ ქვას ჩემი ძმების გედესა და ავთოს ქვები დაემატა...

ბათუმში ვიღა გვარჩენდა და მე, არდადეგებზე ხორეთში მყოფი, ჩოჩხათის საშუალო სკოლის მე-6 კლასში დამსვეს.

ასე დავემატე სარჩენად ილიკო ბიძიას მრავალსულიან

ილია (ილიკო)
ქვერენჩხილაძე – ბიძაშვილი

რომან ილიას ძე
ქვერენჩხილაძე

ლამარა ილიას ასული ქვერენჩხილაძე,
შაქრო პილატეს ძე თავართქილაძე

ვახტანგი მიქაბერიძისა ცოლ-შვილი: ელგუჯა, ნინო, ციხანა ოლიას ასული კვერენჩილაძე, უკან – შორა (ლიდა) მიქაბერიძე – ნენე ბიძაშვილი.

შვილიანი (მარი) მიქაბერიძე-კვარაღაველია დეიდაშვილი.

ოჯახს, ბიცოლაჩემ ანას (ჩვენ რომ ანიჩქას ვეძახდით), ჩემს სამ ბიძაშვილს – რომან, ლამარა და ცისანა კვერენჩხილაძეებს. ჩვენთან იყო მარინე ბებიაც...

დაიწყო მძიმე დღეები და მთელი ოთხ წელს გაგრძელდა მომქანცველი შრომა ლუკმა პურის მოსაპოვებლად, აქეთ-იქით სირბილ-წანწალი საკვების, ჩასაცმელ-დასახურავის საშოვნელად, რაშიც გაკეთილების შემდეგ მეც ვლებულობდი მონაწილეობას...

გაზაფხულზე მარინე ბებიას შიმშილმა გარეული ფხალეული გაახსენა და საგირგოლო ღელის გაღმა, შეყენებაზე, შვეულად წამოყუდებული მთის ძირას (რომლის თავზე, პლატოზე გაშენებულია სოფელი კოკათი), ღრანტეებში, ადრიან გაზაფხულზე ფხალს ვკრეფდით. მერე ჩვენი ბოსტნის მწვანილი, კიტრი, პამიდორი, ლობიო და კიდევ რაღაც-რაღაცები შემოგვეშველებოდა...

მაგრამ ეს არ იყო სიმინდი! ჩვენს მანდარინიან ეზოში სიმინდი არ ხარობდა. მანდარინს კი გასაყიდად არაკინ შეგარჩენდა – ბოლშევიკური ხელისუფლება ჯერ კიდევ ყვავილში შეაფასებდა მოსალოდნელ მოსავალს და გეგმას შეგაწერდა (კომუნისტებმა იცოდნენ როგორ ამოეხადათ სული!), შემოდგომაზე ყველაფერს წაიღებდა სახელმწიფო ფასებში, კაცმა რომ თქვას, პუქთად...

ჩაზამთრებაზე ადგილობრივ პარტიულ ბობოლებიან, კომუნისტური ხელისუფლების მიერ „ჭანჭიკებად" მიჩნეული საბჭოთა ხალხისაგან საგანგებოდ შერჩე-ულ-უფლებამინიჭებული მმართველი ჯგუფის წარმომად-გენლებთან ერთად რაიონის ხელმძღვანელებიც ჩამო-ივლიდნენ, მახსოვს უსეში ქრისტეფორე მანწკავა, რაიალმასკომის თავმჯდომარე (თუ რაიკომის მდივანი), აგრეთვე ერთი ქალი, რაიონული მაჩუტაბის ქოფაკი, რომლის გვარი გადამავიწყდა, მაგრამ იმას რა დამა-ვიწყებს, მამაკაცივით რომ იგინებოდა... ყველაფერს ჩხრეკდნენ, იმუქრებოდნენ, არაფერს გვიტოვებდნენ, რომ გაგვეყიდა და სიმინდი გვეშოვა...

სიმინდი კი ჩვენი მთავარი საზრუნაკი იყო. ზოგჯერ სიმინდს სოფოს შეკურეკდით, ეფქვავდით და ჭადად ვაცხობდით. ძნელად გადასაყლაპავი იყო, მაგრამ ამას ვინ

ჩიოდა. ერთ მშვენიერ დღეს აღარც სიმინდის ფქვილი იყო და არც სოიოსი, არცერთი ნამცეცი ჭადისა... მხოლოდ კიტრითა და პამიდორით გადაკიტანეთ ის დღე...

ზაფხულში ჩაის ეკრეფდი, რომ როგორმე მცირედი შრომადღეების გამომუშავებით კოლმეურნეობიდან ორიოდე გროში თუ ცოტა სიმინდი მიგვეღო...

ჩვენი სოფლის ჩაის პლანტაციები სამსრეთით ზეგანზე იყო გაშენებული. ჩაის პატარ-პატარა ნაკვეთებს ზოგან ხრამი ჰყოფდა ერთმანეთისაგან, ზოგან კურკანტელმოდებული ხეები და ქვები, სხვაგან – გზა, რომლის აქეთ – იქით, პლანტაციების განაპირას მაშინ შედარებით ახლადშემოსული, ჯერ კიდევ უცხო ტუნგოს ბრტყელფოთლება ხეები იდგა.

ადგილ-ადგილ პლანტაციები ფერდობებს ჩასდევდა და ხრამის პირამდე ჩადიოდა.

ყველაზე მაღალ ადგილას, „დიდ ფართობთან", როგორც ხორეთლები ეძახდნენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ პლანტაციას, მეჩაიეთა კარავი იდგა. აქ წონიდნენ ჩაის შუადღეზე და საღამოს, ხშირად აქ სადილობდნენ. თუ ახლო-მახლო პლანტაციებში წვიმა მოუსწრებდათ, ამ ფარდულში აფარებდნენ თავს.

მოწმენდილ ამინდში კარვიდან, მართალია ბუნდოვნად, მაგრამ ქალაქები ფოთი და ბათუმიც კი მოჩანდა. უსაზღვროდ გაშლილი შავი ზღვიდან აქ ნიავი აღწევდა და ხორეთლები კურორტად თელიდნენ „ქედს" – ასე ეუწოდებდით სერს, რომლის დავაკებაზე ჩაის პლანტაციები იყო გაშენებული.

ძალიან გვიტაცებდა ქედიდან ქალაქებისკენ ცქერა. ყოველდღე ერთსა და იმავეს ვხედავდით, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით გავყურებდით სივრცეს.

თეთრად, პატარა კოლოფების გროვად მოჩანდა ქალაქები. მხოლოდ ფოთში გამოირჩეოდა ელევატორის მაღალი შენობა და შუქურა, რომელიც განცალკევებით იდგა.

შუქურას დანიშნულება ბათუმიდან ვიცოდი, ხოლო ელევატორის მარტო სახელი გამეგო...

თუ ზღვაში ბათუმიდან ფოთისკენ მიმავალ გემს დავლანდავდით, ეს ჩვენთვის მთელი ამბავი იყო. თვალს არ ვაცილებდით სანამ არ გაუჩინარდებოდა გემი და მისი ბოლი...

ფოთი უფრო დაბლიდანაც, სოფლის ზოგიერთი შემაღ-

ლებული ადგილიდანაც მოჩანდა:

1942 წელს ჰიტლერის არმიები კავკასიონზე გადმოდგნენ (ეს მერე და მერე გავიგე თორემ მაშინ ვინ მეტყოდა, ან გაზეთი სად იყო, ან რადიო...).

ერთ დღეს, არ ვიცი რატომ, მაგრამ კოლხეთის დაბლობს რომ გადაჰყურებს, იმ ბექობზე აღმოვჩნდი, ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის კანტორის შენობის გვერდით.:

უცებ დავინახეთ ფოთის თავზე, შუქურას მხრიდან თეთრ-თეთრ ღრუბლის ქულებად როგორ ფეთქდებოდა საზენიტო ქვემეხთა ჭურვები, მერე ყრუ გრგვინვამაც მოაღწია...

ზოგი ამბობდა – ქალაქს ბომბავენო, ზოგი – მზვერავი თვითმფრინავის ჩამოგდებას ცდილობენო...

აქამდე ომი უპურობითა და უსიმინდობით, უნავთობითა თუ უმარილობით, დაღუპულთა შეცხადებით გვაშფოთებდა და გვაწუხებდა, ახლა დასანახავ და მოსასმენ მანძილზე მოგვიახლოვდა...

იმ ხანებში ხორეთში ხიზნებიც გამოჩნდნენ.

ფოთში განლაგებული ოფიცრები არმიის სატვირთო მანქანებს, „ლენდლიზის“ პროგრამით მიღებულ ამერიკულ „სტუდობეკერებს“ ხშირად აქირავებდნენ ხორეთლებს ფოთში გასაყიდი ხილის გადასაზიდად, ასე რომ, ისინი ჩვენს სოფელს გვარიანად იცნობდნენ. და აი, ფოთში გერმანელთა თვითმფრინავები რომ გამოჩნდა, ერთ-ერთმა რუსმა ოფიცერმა ფრონტს ფოთში გამორიდებული ოჯახი, ახლა ხორეთში ამოიყვანა და ჩვენი ნათესავის, კარის მეზობლის გაბრიელ (გაბო) კვერენჩხილაძის ოჯახში დააბინავა. თუმცა აქ დიდხანს არ უცხოვრიათ – როგორც კი გერმანელებს კავკასიონიდან დაახევინეს, ხიზნები ფოთში დაბრუნდნენ...

ახლა ადრინდელი, ცხადია, დღეს შესწორებულ-შემოკლებულ-რედაქტირებული ჩანაწერის მიხედვით ილიკო ბიძიას შედარებით ადრე დაბრუნებაზე მოგითხრობთ:

ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად გაღვიძებული, როცა ჩამესმა წვიმის წვეთების გამეტებული ტყლაშუნი ოდა-სახლის კედლებზე და ფანჯრის მინებზე.

საბანი სიამოვნებით ჩავიხუტე, გაჭყეტილი თვალები სწრაფად დავხუჭე და ყური მივუგდე წვეთების ყრუ, ძილისმომგვრელ ხმაურს...

რა ტკბილია წვიმიან დილას საწოლი! კიდევ კარგი დღეს კვირა დღეა და შემიძლია დიდხანს ვიწვე, საბანი თავზე წავიფარო და წვიმის ხმაური კიდევ უფრო მიკაკრუო. მე ეს მომწონს, მე ეს ოცნებას მიღვიძებს...

ანიჩქა ბიცოლამ და ბიძაშვილებმა გაიღვიძეს. მარინე ბებიას ბუტბუტიც მესმის: მას არ მოსწონს წვიმა.

მეზობლების ჭაჭანი არ ისმის... მე მინდა მყუდროება, 14 წლისა ვარ და უკვე ორი წელია ომია და განა არ ვიქნები მყუდროებას დანატრებული? განა მრჩება დრო სიმშვიდისათვის?

სკოლის შემდეგ ხომ უამრავი სამუშაო მელოდება – სხვა ვინ მიეხმარება ბიცოლას – ჩემი უფროსი ბიძაშვილი ჩემზე ოთხი წლით უმცროსია, ანიჩქა ბიცოლას კი უამრავი საზრუნავი აქვს, მთავარი ისაა – სანამ გვეყოფა ხუთი ფუთი სიმინდი? ახლის მოყვანამდე მრავალი თვეა... ილიკო ბიძია კი ფრონტზეა, თუმცა ახლა ჰოსპიტალშია...

ძახილმა დაარღვია წვიმის ერთგვაროვანი ხმაური და წვეთებით დანესტიანებულ-დამბალმა ხმამ მოაღწია ჩემამდე... ნეტავ ცუდი რამე არ იყოს...

საწოლში საბანმოხურული წამოვჯექი, ფარდა გადავწიე და წვიმის ცრემლებით დაბრუციანებული ფანჯრის მინის იქით, სამზადი სახლის წინ დაკინახე სასეგაბრწყინებული ბიცოლაჩემი. მას უკვე მოესწრო არყის ბოთლის გამოტანა და სავსე ჭიქას აძალებდა მახარობელს...

– შვილებო, ადექით, მამათქვენი ჩამოსულა!

– სადაა მერე?...

– ლავრენტიმ მითხრა: წუხელ თბილისიდან ერთად ვიმგზავრეთ, ნაჭრილობევი სუსტად არის და მამიდათქვენისას გამოუვლია, დღეს ჩამოვალო...

თავისი ოთახიდან თავი გამოჰყო ბებიამ: ერთხანს გაკვირვებული შეგვყურებს, თან ცდილობს არ შეგვამჩნევიოს, დაინტერესებული რომაა: „რაღაც ძალიან კუნტრუშობენ ეს ბავშვები, არც ანიჩქა უშლის!.. ნეტა რა უხარიათ?..“

* * *

ჟენია მამიდას ბიჭებთან გადაეცემი სათამაშოდ. რაც არ უნდა მკაცრი დრო იყოს, ბავშვი მაინც ნახულობს თამაშის დროს.

გალაქტიონისა და ჯუმბერის მამა და ილიკო ბიძია თითქმის ერთად წავიდნენ ჯარში. ტიტიკოსგან არაფერი ისმოდა, აგერ სამი თვის წინ კი იგი შეიცხადეს: ქერჩის სრუტეზე გადასვლისას გემთან ერთად ჩაძირულა.

ძალზე ჰატარა, ცხვირპაჭუა, თითქმის მუდამ წარბშეჭმუხნილი ჯუმბერი, რომელსაც დედამისმა სიყვარულით „დაგვალული" და „ჩვამა" შეარქვა და რომელთანაც ახლა ვთამაშობ, უცებ ნაღვლიანი ხმით მეკითხება:

– გიხარია?

ჯერ ვერ მივხვდი რაზე მეკითხებოდა. აბა ბავშვმა რა ვიცოდი რა ცეცხლი უტრიალებდა გულში: ომმა და გაჭირვებამ ბავშვები დროზე ადრე დააჭკვიანაო, მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია.

ჟენია მამიდას იმედი ჰქონდა – ტიტიკო ცოცხალი იქნებაო, ამ იმედს თავის ვაჟიშვილებსაც უნერგავდა, არ უნდოდა ბავშვებს გული დაჩაგვროდათ...

ჯუმბერის შეკითხვამ ჩამაფიქრა და მივხვდი, რომ ეს ბავშვი, რომელიც ამ წუთში იცინოდა, თამაშობდა, ამავე დროს გულში ატარებდა ნაღველს, ტკივილს... და მე ერთგვარად დამნაშავედ ვიგრძენი თავი: ილიკო ბიძია ბრუნდება, ჯუმბერის მამა კი არასოდეს დაბრუნდება... მოვინდომე როგორმე მენუგეშებინა ჯუმბერი: – იქნებ მამაშენიც ცოცხალი იყოს. ა?..

ამ დროს ჩვენი ეზოდან გაისმა: მამა ჩამოვიდა!..

– ილიკო ბიძია მოსულა! – წამოვიძახე და გავიქეცი. ვგრძნობდი ჯუმბერიც მორბოდა, დედამისმაც, ჟენია მამიდამ სამზად სახლში ბრაგვანით დააგდო გობი და ფქვილით მოსვრილი უკან გამოგვედევნა...

ილიკო ბიძია ყველას გვეხვეოდა: შვილებს – რომანს, ლამარას, ცისანას, ცოლს – ანიჩქა ბიცოლას, მარინე ბებიას, მე... თვალები დანამული ჰქონდა... ჟენია მამიდამ შორიდან გაშალა მკლავები, აცრემლებული გადაეხვია ბიძაჩემს, თან

ბუტბუტებდა: ღმერთმა შშვიდობით მოგიყვანა, განახვა შენი ცოლშვილი, ძამია, მადლობა უფალს...

ილიკო ბიძიამ ტიტიკოს დაღუპვა მიუსამძიმრა და გალაქტიონი და ჯუმბერი იკითხა.

ჯუმბერი! – ახლა გამახსენდა – სადაა, რატომ არ ჩანს? აკი ერთად მოერბოდით...

იმავე გზით გავიქეცი, რომლითაც მოერბოდით. სამზად სახლს რომ ჩავუარე, მის კედელთან ატუზული ჯუმბერი ხელებაფარებული ტიროდა.

მიეხვდი – აქ ჯუმბერს გულზე სვედა შემოაწვა, მამამისი გაახსენდა: „იგი აღარ დაბრუნდება, აღარასოდეს...“

– ჯუმბერ, ჯუმბერ! ბიჭო რა დაგემართა... წამოდი, ილიკო ბიძია გკითხულობს... – დავაწყნარე და ნელა წამოვიყვანე...

ჟენია მამიდამ ნამტირალევ შვილს შეუტია: შე გლახა, დაგვალულო! რა გატირებს, ბიჭო, ა? ილიკო ბიძია გკითხულობს, მიდი მიულოცე...

განზე გამდგარმა ჟენია მამიდამ ანიჩქა ბიცოლას დაბალი ხმით უთხრა: ეგ საცოდავი, სამზადი სახლის გვერდზე ტიროდა თურმე... შვილო, მამამისი გაახსენდა, აეწვა, შვილო, აეწვა... რომანის მამა მოუვიდა, მე კი აღარ დამიბრუნდებაო... რა ვქნა, რა გიყო...

მართალია, ბიძაჩემი ადრე დაბრუნდა ომიდან, მაგრამ როგორ დაგვიბრუნდა?! ქერჩის ტრაგედიაში, იქ უამრავი ქართველი ჯარისკაცის მომწყვდევასა და გაჟლეტა-დაჭრა-დატყვევების ორომტრიალში ილიკო ბიძიაც მოყვა:

ღამით სანგრიდან მოსაშარდავად ამოსული ნაღმსატყორცნის ჭურვის ნამსხვრევებმა მუცელში დაჭრა. რაღაც სასწაულად გადაარჩინა ქართველმა ექიმმა, მუცელზე 9X 11 სმ–ზე გაჭრეს, უამრავი ნამსხვრევი ამოიღეს, ბუნებრივია ხორცი და კანიც ამოაყოლეს. ამის გამო მუცლის კანი გათხელდა, მუდამ ბანდაჟით ჰქონდა შეკრული – ინვალიდი იყო, არ შეიძლებოდა მძიმე რამე აეწია.

მაგრამ რომ არ ემუშაავა, მის ოჯახს ჯა ამას დამატებულ მის ძმიშვილს ვინ არჩენდა? და, აი, მისი თაოსნობით და სოფლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საკოლმეურნეო

ბოსტანი გამარჯა სოფლის სასაფლაოს გვერდით...

ეჰ, ეს სასაფლაო, განა მოგცემს საშუალებას, იოლად აუარო გვერდი?!.

მაინც რა ახლოსაა ჩვენს სახლთან!.. იმ დღეს ატამთან ვიდექი,არაფერზე არ ვფიქრობდი იმ წუთში,ეზოში ქათმები კრიახობდნენ, ცინდლები ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, სოფელში ძაღლების ყეფა ისმოდა, ვიღაცა ღორს უხმობდა...

უცებ სასაფლაოს მხრიდან მოთქმა მოისმა, გულდათუთქული დედა ხმამაღლა დასტიროდა ახლადდასაფლავებულ შვილს. გულს კუმშავდა, სევდით ბოჭავდა მისი მწარე მოთქმა...

ვიდექი შეშფოთებული... მეზობლებიც ალბათ ჩემსავით მწარედ დაფიქრებულნი უსმენენ დედის გოდებას... მეზობლისას ვიღაცამ ამოიოხრა...

თითქოს ეს არ კმაროდა, საკოლმეურნეო ბოსტანი მთლად სასაფლაოს გვერდით გაშენდა. ილიკო ბიძია სულ იქ ტრიალებდა. გაკვეთილების შემდეგ და ზაფხულში მეც ვეხმარებოდი. იქ მოწეული კიტრი და პამიდორი, სხვა ბოსტნეულ-ბახჩეული გლეხებს უნაწილდებოდათ და თავის გატანაში ეხმარებოდათ.

ილიკო ბიძიას ხშირად გოდრით უწევდა ბოსტნეულის ატანა კოლმეურნეობის საწყობამდე,ნახევარკილომეტრიანი გვარიანი აღმართის ავლა,მაშინ როცა მისი ნაჭრილობევი ამას ვერ აიტანდა. გარდა ამისა ხომ სხვა უამრავი საქმე იყო...

ომის დროს გაჭირვებამ გაგვაიძვინა საუცხოო მასალით აგებული უსარმაზარი სამზადი სახლი და მის ადგილას გავაშენეთ დიდი ბოსტანი.

მე შეძლებისდაგვარად ვეშველებოდი ჩვენი ბოსტნის ბარეაში, გაზაფხულზე პამიდვრის ჩითილების რგვაში, გვარიანად დაშორებული საგირგოლო ღელიდან ბოსტნის სარწყავი წყლის ზიდვაში, ყურძნის კრეფისას გიდელის გამოცვლაში,საწნახელის ავსებასა და ყურძნის დაწნეხაში, ჭაჭითა და ჩამოცვენილი ხილით (პანტა ვაშლი,კარალიოკი, ხურმა...) ჭურების ავსებაში,არყის გამოხდაში (თუ თოელი იდო,მაშინ ეზოში,თუ არადა – ჭაჭა და სხვა საარყე

მასალა საგირგილო ღელეში უნდა ჩაგვეზიდა...). ერთ-ერთი მთავარი საშემოდგომო სამუშაო იყო მანდარინის კრეფა, სამთარში კი, დიდთოვლობისას, ღამე გაგვითენებია ჩვენი ეზოს 500-მდე მანდარინის ხის თოვლით დამძიმებული ტოტების ბერტყვაში...

დრო და დრო ბიძაჩემი, ისევე როგორც სხვა ხორეთლები და კოკათლები, ქირაობდა კოკათელი მიშიკიას სარ-ურემს (ღმერთო, მაპატიე, ცოდვაა ასე აგდებულად მოხსენიება ფეხებდადამბლავებული, ორ ყავარჯენზე ჩამოკონწიალებული კაცისა, მაგრამ სწორედ ასე ეძახდნენ სოფელში. ერთი კია, ეს არც მას და არც დამძახებელს მის შეურაცყოფად არ მიაჩნდათ...).

როგორც ინვალიდს, მას ყოველისმომცველ კოლექტივიზაციის დროშიც კი უფლება ჰქონდა ემუშავა, როგორც კერძო მეურნეს.

დატვირთავდნენ მის ურემს, თავად მიშიკია კოფოზე დაჯდებოდა და დაძრავდა მის ჭკვიან ხარებს.

ერთხელ ილიკო ბიძიამ და მე ამ ურმით ფოთში ხილი წავიღეთ. ნაშუადამეს გრიგოლეთს მივაღწიეთ და სოფლის ბოლოს წაძინება გადავწყვიტეთ ისე, რომ დილით ფოთში შევსულიყავით.

ურმის ქვეშ წამოვწექით. ალბათ რაიმეს დავიგებდით. არც ის მახსოვს წლის რა დრო იყო. პალტო არ მქონდა, რაღაც თბილებში კი ვიქნებოდი ჩაცმული, მაგრამ ძვალსა და რბილში ატანდა ზღვიდან მოსისინე ქარი, დაძინებას არ მანებებდა, ასე ძილ – ღვიძილში გავატარე ერთი თუ ორი საათი... რამდენი რამ დამავიწყდა, მაგრამ იმ ღამის, იმ ქარის სისინის, იმ სიცივის გახსენება ახლაც ტანში მზარავს.

ილიკო ბიძიამ ერთხანს გაუძლო ამ დაძაბულ შრომას, რომელსაც შინსახკომში უფროსი ძმის, რძლის, ხოლო ფრონტზე ორი ძმისშვილის გაუჩინარების დარდი ემატებოდა, 1955 წელს კი, 51 წლისას სისხლი ჩაექცა და მალე კიდეც დაიღუპა. მოკვდა ისე, რომ ვერც მე, ახლად უნივერსიტეტდამთავრებულმა და ვერც მისმა პირმშომ, უნივერსიტეტის სტუდენტმა რომან კვერენჩხილაძემ ვერ მოვასწარით მისი ამაგის გადახდა...

როგორც მე, ისე რომანს არავინ ჰყავდა და არც დაგვჭირვებია ვინმეს დახმარება და წამოშველება

უნივერსიტეტში შესვლისას თუ შემდგომ და შემდგომ...

რომანმა თავისი ჭკუით, სიბეჯითით და გამორჩეული შრომისმოყვარეობით თავად გაიკაფა გზა მეცნიერებაში.

ამ თვისებების გამო ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიიქცია გიორგი გეხტმანის ყურადღება და რომანმა კიდეც გაუმართლა გაწეული მზრუნველობა: გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი გახდა, მრავალ წელს ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მრავალ მეცნიერულ ნაშრომთან ერთად მისი მასწავლებლის, დიდი ქართველი მეცნიერისა და პიროვნების გიორგი გეხტმანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეც შექმნა სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული წიგნი...

დასანანი ისაა, რომ ტრაგიკულმა შემთხვევამ ნაადრევად წაართვა ის მართლაც რომ მშვენიერ ოჯახს და ჩვენც, მის ნათესავებს...

...ჩვენს ოჯახში ზეიმი ისადგურებდა, როცა ძროხა, ჩვენი ლამაზა ხბოს მოიგებდა, რძე, ყველი, სველი (შრატი) გაჩნდებოდა. ამის წამკითხველი დღეს ჩაიცინებს – სველი რა სახსენებელია. საქმე ისაა, რძეს მხოლოდ პატარების დასალევად, უფრო კი ყველის ამოსაღებად იმუტებდნენ, ფაფისათვის კი მხოლოდ სველი რჩებოდა.

სველის ფაფის გემო დღესაც მახსოვს, ისევე როგორც 1943–45 წლებში, სასტიკი ომის დროს, პატრიოტული ლექსების წერის გამო დაპატიმრებულ 22 წლის პოეტ მარი აბრამიშვილს პროტესტის გამოსახატავად მრავალდღიანი შიმშილობის შემდეგ შინსახკომის შინაგანი ციხის წყალწყალა კერძი უგემრიელესად მოეჩვენა („...პოლოს ველარ გავუძელ ცდუნებას, ზურგი შეეაქციე იმ ავადმოსაგონარ სათვალთვალოს, აკიღე აკანკალებული ხელიდ[illegible] პური, წინ დავიდგი ჯამი, მოვიმარჯვე ხის კოვზი და... ამაზე უგემრიელესი არც მანამდე და არც შემდეგ, არაფერი მიჭამია...

რა ესხა იმ ჯამში? მოყავისფრო წყალში ცურავდა რამდენიმე მარცვალი ლობიო, რამდენიმე მარცვალი სიმინდი და კარტოფილის ნათლები.

ღღესაც როცა ლობიოს ვხარშავ, წვენს გადმოვასხამ,

მარილს ვუზამ და ვსვამ – იმ სიამოვნებას ვიგონებ. მაგრამ მთლად ისეთი წვნიანი არა და არ გამოდის!“):

ასე ვარ მეც – სველის ფაფის გახსენება ახლაც სიამოვნებას მგვრის... თუმცა სად იყო სიმინდის ფქვილი ასეთი ფაფისათვის? და მაშინ ფაფას გვიკეთებდნენ ხაპისა და ხაპერის (გოგრა) ან მსხლისაგან.

ზაფხულში ფშალას ვუზიდავდით ძროხას, ზამთარში კი, ჩალა რომ დაგველეოდა, მარადმწვანე და ნოყიერი ძმერხლის საძებნელად მივდიოდით ქედში, დაყივლიდით დაბურულ, მყუდროებადასადგურებულ ხეებს, რომელთა ერთხელ კიდევ ნახვა ძალიან მენატრება.

როცა მოვიზარდე, კოლმეურნეობაში მუშაობაც მომიწია ზაფხულობით. ხორეთის №2 ბრიგადაში ასაკოვან და ამის გამო ჯარში გაწვევას გადარჩენილ ორ მამაკაცთან, ლავრენტი მურვანიძესა და მოსე გრძელიძესთან ერთად რამდენიმე ბავშვი ვირიცხებოდით: ასაკით ჩემზე ცოტა უფროსი ვალოდია თარალეს ძე კვერენჩხილაძე, მისი ძმა, ჩემი თანაკლასელი გენიოსა და მე, აგრეთვე მამაჩემის ბიძაშვილის დიმიტრი კვერენჩხილაძის შვილი ლენტრო (კომუნისტური დროის უკულმართობის ანარეკლი ადამიანის სახელში: ლენინ-ტროცკი – ლენტრო).

,ამ ბრიგადაში ცოდვილობდნენ აგრეთვე ჩვენზე ცოტა უმცროსები: მამაჩემის ბიძაშვილის შვილის შალვა კვერენჩხილაძის უფროსი ვაჟი ჰამლეტი, ჩვენი მეზობელი და ჩვენი გვარის ქალის, ჩვენთვის ძვირფასი ჟენია მამიდას უფროსი ვაჟი გალაქტიონ ჯოჯუა, აგრეთვე, თუ არ ვცდები, კეთილმოსაგონარი ნიკოლოზ გუჯაბიძის ვაჟი შაქრო..

ლავრენტი და მოსე ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენთვის, ბავშვებისათვის შეემსუბუქებინათ შრომის სიმძიმე. მახსოვს ჩვენი თხოვნით როგორ ლამაზად გვიკითხავდა ლავრენტი რუსულ ენაზე მ. ლერმონტოვის ლექსს. თუ არ ვცდები, მას ფოთის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ეტყობოდა იმ დროიდან ახსოვდა ეს ლექსი:

Как-то раз перед толпою
соплеменных гор
У Казбега с шат-горою
Был великий спор
“Берегись! – сказал Казбегу

Седовласый шат –
Покорился человеку
Ты недаром, брат!"

ერთხელ, მაშინ 15 წლის ბიჭი ვიქნებოდი, მდინარე სუფსის ჭალაში სიმინდის ყანას ვთხინიდით. ზაფხულის ცხელი დღე იყო და სადილის შესვენებისას ახალგაზრდები მდინარის შტოში საბანაოდ წავედით.

ქალიშვილები საღღაც თხმელის ხშირი ბუჩქებით დაბურულ მორეკში ბანაობდნენ...

როცა დავბრუნდით, ისიდორე გუჯაბიძის ქალიშვილი მომვარდა: უსინდისო ყოფილხარ, მობანავეებს გვითვალთვალებდიო...

ალბათ ვიღაცას ჩვენი ბიჭებიდან სულმა წასძლია, ან იქნებ სულ სხვა იყო,მაგრამ მე ნამდვილად არ ვყოფილვარ. ბევრი ეუმტკიცე იმ ქალიშვილს, მაგრამ ვერაფრით ვერ დავაჯერე. მერე უმძრახად იყო ჩემთან. მალე გათხოვდა. კარგი ქალიშვილი იყო და კარგ ბედსაც ეწია. მაგრამ მე ის მაწუხებდა, რომ ეგონა მაშინ მე ვუთვალთვალებდი. თუმცა, ვინ იცის, ეს შემთხვევა იქნებ სულაც მიავიწყდა. მე კი ყოველთვის, როცა გამახსენდებოდა, ისევ და ისევ ვწუხდი...

ხორეთის კოლმეურნეობას სუფსის შესართავთანაც ჰქონდა საყანეები. იმ ადგილს, ერთხელაც ეთქვი, ასე ეძახდნენ: „ქვეით". და აი, „ქვეითაც" მომიწია სამუშაოდ წასვლა ღამისთევით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩვენს ბრიგადირს ლავრენტი მურვანიძეს უთხრა: ბიჭებს შენებურად ტკბილად მოექეცი და ხალისიანად იმუშავებენო.

რაც მართალია, მართალია, ამის შეხსენება ლავრენტი მურვანიძეს არ ესაჭიროებოდა.

ორი ურმით გავემგზავრეთ. სადგურ სუფსასთან, რკინიგზის ხიდის გვერდით,მდინარეზე გადავედით და მალე ჭიშკარში შევედით. ყანებში გაკვალულ გზაზე უხმაუროდ მიგორავდა ურემი და მასზე გამობმული ბრიგადის ცხენიც მორჩილად მისდევდა...

მდინარის გაღმა სოფელი გრიგოლეთი და ფოთის გზა ვიცანი...

მიეადექით ნალიას, რომლის ზედა ნაწილს საწოლად

ვიყენებდით, ქვედა, შემოლამყულს კი – სამზარეულოდ.

რომელიღაც ჩვენგანმა ნალიას დათვალიერება მოასწრო – მოსე ბიძია თვვა ძალიან ცოტაოო.

– წაულიათ, ბიძია, თორემ ბევრი დავტოვეთ, ჭილოფა უნდა მოეჭრათ და დაეგოთ...

ველაგდებოდით და საღამოს პირზე გამწარებულ კოლოებს ვიგერიებდით.

მალე ყანიდან თაეიანთი ნალიისაკენ მომავალი პირველბრიგადელები დაეინახეთ, ყიეინით მოგვესალმენ.

ლავრენტიმ მოსეს გადაულაპარაკა: ჩვენი არ იყოს, იქაც ბავშვები არიან უმთავრესადო.

რამდენიმე დღე ვთოხნიდით აქაურ ყანებს. ერთხელ ლავრენტიმ ლენტრო კვერენჩხილაძეს წყაროს წყლის მიტანა დაავალა. ლენტრო საეჭვოდ მალე დაბრუნდა. ჩვენ რას გავუგებდით, ლავრენტი კი უმალ მიხვდა და ჩვენმა ბრიგადირმა გაუბრაზებლად და უმტკივნეულოდ გამოტეხა ეს ბიჭი. თურმე წყარომდე დამდგარი წყალი ყოფილა (რომლის არსებობა ლავრენტის სცოდნია) და ის მოუტანია.

– ბიჭო, რატომ არ იფიქრე, ამდენ სულიერს რაღაც ჭირს რომ შეგვეყრიდი?..

ასეთი გაკვეთილი ბევრჯერ ჩაუტარებია ლავრენტის. ეს კეთილი და სამართალიანი, ჭკვიანი და მხიარული კაცი განგებამ სასტიკად დასაჯა – ერთადერთი ეაეკაცი ომში დაეღუპა...

არასოდეს დამავიწყდება როგორ შეეხვდი ომში დაღუპული მამის, ტიტიკოს შეცხადების შემდეგ ჩვენს ეზოში გადმოსულ დაობლებულ გალაქტიონ და ჯუმბერ ჯოჯუებს...

არც ის უსერხულობა მავიწყდება, როგორ მივუსამძიმრე ჩვენს ჭიშკართან ჩავლილ ლენტროს უფროსი ძმის შამილის ომში დაღუპეა. როგორ შემეძლო არ გამეზიარებინა ძმადაკარგულის მწუხარება იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ოჯახების უფროსები უბრად იყვნენ. რის გამო? მანამდეც იყო რაღაც შამილთან დაკავშირებული, ხოლო როგორც კი ომი დაიწყო და ილიკო ბიძია მეორე–მესამე დღეს ჯარში გაიწვიეს... ზოგიერთმა ნათესავმა და მოგვარემ სწორედ ახლა გაიხსენა და მოითხოვა წილი, ვალი...

მამაჩემის ბიძაშვილებმა დიმიტრი და სინო კვერენჩხილაძეებმა ასეთი უსაფუძვლო მოთხოვნა წამოგვიყენეს: ბესიას და ვაზიკას გაუყოფელი ოჯახი ჰქონდათ, ვაზიკა ისეთივე ბიძა იყო ჩვენი, როგორიც ილიკოსი. ამიტომ ამ უშვილოდ წასული ბიძის ქონებიდან, ძირითადი ოჯახიდან წილი ჩვენც გვეკუთვნისო...

წარმოიდგინეთ ბიცოლაჩემის მდგომარეობა – სარჩენი ყავს სამი შვილი, ამას მიმატებული მე და მარინე ბებია...

ეს ისეთი უანგარიშო მოთხოვნა გახლდათ, ამასთან ისეთ გაჭირვებულ დროს ხდება, თანაც ვაზიკას პირდაპირი მემკვიდრე მარინე ბებია ცოცხალი იყო,– რომ ჩვენი ქენია მამიდას ქმარი, ხორეთში ჩვენს უახლოეს მეზობლად ჩამოსიძებული ტიტიკო ჯოჯუა (რომელიც უთუოდ გაიფიქრებდა: ხვალ-ზეგ მეც წამიყვანენ ჯარში, ხომ შეიძლება ჩემს ცოლ–შვილსაც ასე მოექცნენო) თოფით გამოეკიდა დიმიტრას...

ჩვენმა კარის მეზობელმა ზურბალო კვერენჩხილაძემაც ახლა გაიხსენა – ილიკოს ჩემი ვალი აქვსო და სანაცვლოდ ოდის ქვეშ რომ ხის მასალა გიწყვიათ, ის უნდა მომცეთო...

რა ექნა ანიჩქა ბიცოლას? წაიღო ზურბალომ საუკეთესო ფიცრები...

ისიც ნათლად მახსოვს, როცა ხმა გავარდა: ჯარიდან შალვა კვერენჩხილაძე ბრუნდებაო, სორეთის მთავარ აღმართზე, ჩვენი მარია მურვანიძის ეზოსთან როგორ შეეგებეთ სახეგაბადრულ, თვალებზე ცრემლებმომდგარ შალვა ბიძიას (იგი საერთოდ მუდამ მომღიმარი იყო)...

ბარემ აქვე მოვიხსენიებ იმ ხორეთლებს, რომლებმაც თავი კეთილად დამამახსოვრეს. ესენი იყვნენ:

ჩვენი ნათესავები: მამაჩემის ბიძაშვილის შვილები – ლადიკო და დათიკო კვერენჩხილაძეები, მათი დედა ოლღა; გრიგოლ და ეკეუნა კვერენჩხილაძეები. გრიგოლს, არასასურველი შედეგით დამთავრებული ოპერაციის გამო (როგორც მახსოვს, ამბობდნენ შეცდომით ძარღვი გადაუჭრესო), ფეხები ძნელად ემორჩილებოდა, ჯოხმომარჯვებული მუდამ თავის ეზოში დაბაჩუნობდა რწევა-რწევით, სულ გვესმოდა მისი ამოოხვრასავით ამოძახილი და სტვენა;

მამაჩემის ბიძაშვილები დედის მხრიდან: კოწია გუჯაბიძის

(გლეხი-პოეტი) შვილები მიხაკო,მოსე და ზემოხსენებული მარია (მურვანიძისა);

კვერენჩხილაძეებიდან საქმიანობაში მოხერხებულობით და საერთოდაც ერთ-ერთი გამორჩეული გენო კვერენჩხილაძე;

ძმები პართენ (ჩვენი რომანის ნათლია) და შოთა, აგრეთ-ვე მოსე გრძელიძეები;

სოლომონ და გრამიტო კვერენჩხილაძეების ოჯახები;

დანიელ და იორდანე გუჯაბიძეები, ისიდორე მურვანიძე, სიმონ ფილია;

კოკათელი დომენტი მარშანიშვილის ოჯახი...

კომუნისტებისაგან ყურები მქონდა გამოჭედილი: ნიკოლოზას დროს გლეხები სიღარიბისაგან სულს ღაფავდნენო. ერთხელ მარინე ბებიას ვკითხე: ჩრეთლებს სასმელ-საჭმელი მართლა გაკლდათ-მეთქი? სიმინდი და ლობიო სამყოფადაც გექონდა და გასაყიდადაც... ერთადერთი ღარიბი მილხინა გუდაძე იყო, იმიტომ, რომ ზარმაცი იყო, მუშაობა ეზარებოდაო...

მიუხედავად ლუკმაპურზე ზრუნვისა, რომლის მოსაპოვებლად დროის დიდი ნაწილი იხარჯებოდა, კარგად ესწავლობდი.

მადლიერი ვარ გეოგრაფიის, გერმანულისა და ფიზკულტურის მასწავლებლის ვანო ორაგველიძისა. ეს არამარტო ფიზიკური აღნაგობით, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესითაც სპორტსმენი კაცი იმითაც იძლეოდა კეთილ მაგალითს, რომ 4 კილომეტრის სიშორიდან სუფსა–ჩოჩხათის გზის ორაგველიძეების აღმართიდან ყოველდღე ფეხით დადიოდა სკოლაში.

არათუ მაშინდელ სოფლის სკოლაში, დღესაც კი ქალაქის ბევრ სასწავლებელში არაა ფრენბურთის მოედანი. ჩოჩხათში კი, სასკოლო შენობების უკან მუდამ თამაშობდნენ ფრენბურთს.

ესეც ვანო ორაგველიძის დამსახურება იყო.

მადლიერების გრძნობით ვიხსენებ აგრეთვე რუსულის მასწავლებელს, ყოფილ მღვდელს, ტანმორჩილ ბიქტორ

გურგენიძეს, ურთიერთობაში მეტად თბილ, კეთილ ადამიანს.

ბათუმი რამდენადმე რუსული ქალაქი იყო – ეზოში მეზობლის ბავშვებთან რუსულად მიხდებოდა ტიტინი. ამიტომ, ეტყობა, რუსულში გვარიანად გაცნობიერებული ვიყავი. ამას გრძნობდა ცხონებული ბიქტორი და პატივისცემით მეპყრობოდა. მაგრამ არც მე ვიყავი ის ბავშვი რომ გავყოყოჩებულიყავ. პირიქით, სულ გაკვეთილებს ჩავჩიჩინებდი და თუ მოვიხელთებდი, სხვა წიგნებშიც თავი მქონდა ჩარგული.

არ შეიძლება გულთბილად არ მოვიხსენიო ჩვენი ქიმიის მასწავლებელი თეკლე ტიკარაძე, რომელიც ყველას ერთი ამოჩემებული საალერსო სახელით მოგვმართავდა და ამიტომაც სწორედ ის სახელი – „ოქრო“ შეერქვა მეტსახელად. ვფიქრობ, ბევრწილად ასეთი კეთილი მოსიყვარულე ბუნების ბრალია ის, რომ თეკლე მასწავლებელს ხანგრძლივი სიცოცხლე ერგო.

უნდა ვაღიარო, რომ ეს მასწავლებლები იმაზე მეტად მაფასებდნენ,ვიდრე ღირსი ვიყავი. ეს იყო,რომ სწავლაზე და კითხვაზე გადაყოლილი,მასწავლებელთა გამაღიზიანებელ-შემაწუხებელი არ ვყოფილვარ, არც უზრდელი გახლდით.

კეთილი გრძნობით უნდა მოვიხსენიო აგრეთვე სხვა სოფლიდან ჩამოსული მასწავლებლები უფროსი კლასებისა: ქართული ენისა და ლიტერატურის – ჩიტო მოისწრაფიშვილი და ისტორიკოსი – კარლო ჩხეიძე (თუ სახელი არ მცდება).

ქალბატონმა ჩიტომ ერთხელ წაიკითხა ჩემი ნაცოდვილარი ლექსები (საქართველოში ახალგაზრდობაში ვინ არ წერს ლექსებს!) და ასეთი რჩევა მომცა – ჩანახატები სცადეო. სადღაც, ეტყობა, შეამჩნია, რომ მე უფრო აქეთკენ, ასეთი აზროვნებისაკენ ვიხრებოდი.

ერთხელ, ალბათ მეთერთმეტე კლასში ვიყავი, არ მახსოვს როგორ, ვინმესთან ერთად თუ მარტო, ან ვისთან, ჩავედი ბათუმში. ვიცი, რომ მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარესთან (სტალინის ქუჩაზე), მაშინ ძალზე პოპულარული რომანების „დელი მურადისა“ და „მეველუდის“ ავტორთან პარმენ ლორიასთანაც მივედი ჩემი ლექსებით. თბილად მიმიღო, დამარიგა...

ეტყობა ჩიტო მასწავლებლისა და მწერლის დარიგებამ იმოქმედა, მეც მეყო ჭკუა და უკვე XI კლასში მივატოვე ლექსების წერა.

ვწუხვარ და პატიებას ვითხოვ – სამწუხაროდ ვიღაცები მასწავლებელთაგანაც ვერ შემოინახა მეხსიერებამ და ვერც თანაკლასელთაგან. მაგალითად, დიდი ხანია ვცდილობ და ვერაფრით ვერ გავიხსენე იმ ტანმორჩილი ცქრიალა, კოხტა გოგონას გვარ-სახელი, ან რომელ კლასში ვიყავით ერთად, რომელიც შესანიშნავი გამოთქმით და არტისტულობით ზეპირად ამბობდა გალაკტიონ ტაბიძის საკმაოდ მოზრდილ ლექსს „მესაფლავე". იმ დროისათვის ეს, ვფიქრობ, გასაკვირი იყო, ეტყობა, მშობლები მასწავლებლები, ან პოეზიის მოყვარული სხვა სფეროს ინტელიგენტები ჰყავდა, რომელთაც მაშინ სახლში ჰქონდათ გალაკტიონის წიგნები...

ასევე ვერ ვიხსენებ, მგონი საჯავახოდან ჩოჩხათის სკოლის უკანასკნელ კლასებში გადმოსული ბიძაშვილების(?) – ორი მშვენიერი გოგონას გვარსა და სახელს.

მრავალი წლის წინ, სადღაც ქუჩაში ერთი ლამაზი მანდილოსანი ღიმილით მომაჩერდა, მეც გავუღიმე... როგორც ქალს. რას მიღიმი, ვერ მიცანიო. მე რაღაც ჩავიბურტყუნე უხერხულობაში ჩავარდნილმა და გავეცალე... ვფიქრობ იმ ორი გოგონადან ერთ-ერთის უფროსი და იყო, ან იქნებ თვით ჩემი თანაკლასელი?..

კეთილად დამამახსოვრდა ჩემი ჯგუფელები, ჩვენი უახლოესი მეზობელი და მოგვარე მერი ზურაბის (ზურბალოს) ასული კვერენჩხილაძე და ჩოჩხათელი ნინა ხუტულაშვილი. ეს უკანასკნელი და მე კარგა ხანს ერთმანეთს ვესიმპატიურებოდით და შემდეგ მის წინაშე რაღაც დანაშაულს ვგრძნობდი. დასანანია, ორივე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

უფროსკლასელებიდან ვიხსენებ გულიანელებს: კარლო ბლაგიძესა და აკაკი ჩხარტიშვილს. ორივე ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანი გახდა, კარლო ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, დროდადრო ვხვდები, ხოლო მის სახელს პრესაში რომ

ვნახავ, ან რადიო-ტელევიზიით გავიგონებ, მიხარია და მეამაყება.

ესთეტიკის მკვლევარი აკაკი ჩხარტიშვილი, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა.

მახსენდება კიდევ ერთი ხორეთელი, მურვანიძის გოგონა – ეთერი.

გენიოსაზე უკვე მოგახსენეთ.

მეგობრობა მაკავშირებდა ვახტანგ მშვიდობაძესა და გივი ანდღულაძესთან (შემდეგში რომ კეთილად მოსაგონარი კოკაითელი ლამარა მარშანიშვილის მეუღლე გახდა. აქვე მაგონდება შეხვედრები და გულითადი საუბრები თბილისში ლამარასუმცროს გულკეთილ ძმასთან, ზელიმხანთან).

ომის დროს სად იყო გაზეთი, ხანდახან მინახავს უხეშ რუხ ქაღალდზე დაბეჭდილი „კომუნისტი". სოფსაბჭოს შენობასთან რადიოს თეფში რომ ხრინწიანი ხმით რაღაცას მაინც ამბობდა, იმასაც ხმა ჩაუწყდა. არ იშოვებოდა სახელმძღვანელოები, მასწავლებელი რომ გაკვეთილს აგვიხსნიდა, ვიმახსოვრებდი და ასე ვამზადებდი გაკვეთილებს.

მგონი ვახსენე – კითხვა მიყვარდა. სახელდობრ ვერ ვიხსენებ, მაგრამ აუცილებლად ვსარგებლობდი სკოლის ბიბლიოთეკით. მაგრამ ძირითადად, რამაც მე ჩვენს ოჯახთან, ილიკო ბიძიას, ანიჩქა ბიცოლასა და მარინე ბებიას ცხოვრებისა და შრომის კულტურასთან, სკოლასა და ჩემს კარგ მასწავლებლებთან ერთად კაცი გამხადა, ჩვენს სახლში, სასტუმრო ოთახში („ზალაში") ფანჯარასთან მდგარ პატარა „ეტაჟერკაზე" დალაგებული ოციოდე წიგნი იყო, რაც ძირითადად, უდაოდ, ჩემი უფროსი ძმის გახლდათ. ეს იყო ეგნატე ნინოშვილის რომანი „ჯანყი გურიაში" (1935 წ.), 1937 წელს გამოცემული ვასილ ბარნოვის „სამი რომანი" („სახიფათო სიყვარული", „ნათელმოსილნი", „ტრფობა წამებული"), XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მშვენივრად წარმომჩენი „მოგონებანი" იაკობ მანსვეტაშვილისა (1936 წ.) ლევან ასათიანის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. მარტო ამ შენიშვნების გაცნობა უნივერსიტეტის ერთი კურსის გავლას უდრიდა...

აქ იყო 1929 წელს გამოცემული სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ციცინო ბურიელი“, არისტო ჭუმბაძის მიერ თარგმნილი რუსი მწერლის სალტიკოვ-შჩედრინის რომანი „პომპადურები“ (1937წ.)... ვინ იცის რამდენჯერ მაქვს წაკითხულ-გადაკითხული ეს წიგნები!

იოსებ გრიშაშვილის ლექსი „გენაცვალე“ არ ვიცი მისი პაწაწკინტელა წიგნიდან „ექვსი ლექსი“ დამამახსოვრდა თუ უფრო ჩვენი პატეფონით მოსმენილი იმ ფირფიტიდან, რომელიც იუწყებოდა: სიტყვები – ი.გრიშაშვილისა, მუსიკა – ჯიოვანიოლისაო (თუ გვარი არ მეშლება). საქმე ისაა, რომ ქართველი პოეტის სიტყვები: „რომ არ მწყალობ, ცოდო არ ვარ, რად არ გალობ, არ გიყვარვარ?..“ მისადაგებული იყო იტალიელი კომპოზიტორის რომელიღაც სიმღერის მუსიკაზე.

ქართული ხალხური სიმღერების სიყვარულის ჩანერგვაშიც ამ პატეფონს და 10 – 15 ფირფიტას ვუმადლი – ვატრიალებდით და ვატრიალებდით ამ ფირფიტებს, ვუსმენდი „კუჩხიბედინერს“, „რაშოვდას“ სიტყვებს: „რაშოვდა ერთი, ორი მეც მომარტყეს, რაშოვდა“... ანდა სხვა სიმღერიდან: „ზემოთიდან მოვდიოდით მე და ჩემი ტრიფონ ბერი...“

ბიცოლაჩემსაც ვეხვეწებოდი – სიმღერები მასწავლე–მეთქი...

ჩემი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი ხორეთის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკიდან გამოტანილმა ინგლისელი ასტრონომის ჯეიმს ჯინსის საინტერესო წიგნმა „სამყაროთა მოძრაობა“.

იყო კიდევ ერთი შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი რუსულ ენაზე, ძველებური გამოცემა “Современный Париж”, რომელშიც ყველა ილუსტრაციას პაპიროსის თხელი ქაღალდი ფარავდა და უხვად დასურათებული ცალ-ცალკე თაკები ეძღვნებოდა პარიზის ეკლესია-მონასტრებსა და სკოლებს, თეატრებსა და კაფე-შანტანებს, სასტუმროებსა და ბანკებს, ფოსტა-ტელეგრაფსა და ტრანსპორტს, ხიდებსა და სპორტულ ნაგებობებს და ბოლოს – მიწისქვეშა პარიზს...

ძალიან მენანება, რომ ეს წიგნი ვერ შევინარჩუნეთ. სულ მაქვს სურვილი – ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოვიძიო, გადაეფურცლო (ისე, როგორც ამას ვაკეთებდი ხორეთში,

განსაკუთრებით წვიმიან ამინდში, როცა საქმეებისაგან მოცლილი ვიყავი), ვათვალიერო და დავტკბე...

წიგნებიდან ერთი-ორი მეც შევიძინე ჩოჩხათის მაღაზიაში თუ სანდახან, მაგალითად, კომკავშირში მიღებასთან დაკავშირებით, ლანჩხუთში რომ მომიწია წასვლა და იქაურ, ბაღლინჯოებით საკვე სასტუმროში ღამის გათევა.

ბიძაჩემმა, რომელსაც, კომუნისტებმა ოჯახი ბევრჯერ გაუმწარეს, განკულაკებაც მოუნდომეს, საყვარელი უფროსი ძმა, იმედი და კედელი, დაუღუპეს, რძალი გადაუსახლეს, ძმიშვილები გაუწვალეს და ბოლოს ისინიც დაუკარგეს, რბილად მისაყვადურა: კომუნისტურ კავშირში თუ შედიოდი ჩემთვის არ უნდა გეკითხაო?

მართალი იყო, რა უნდა მეპასუხა... მაგრამ მე თვითონ განა მკითხეს – კომკავშირში შესვლა გინდაო? რომც ეკითხათ, უარს გაუბედავდი? ან როგორ მიმიღეს ხალხის მტრის შვილი?..

...ალბათ 1945 წელი იყო, მე–10 კლასში ვიქნებოდი, მოდიოდა ჯარში გაწვევის ასაკი და ჩოჩხათის სოფლამ ერთგვარი სამხედრო-საველე წვრთნა ჩაატარა – ხის თოფებით (ზოგიერთებს რომ ავტომატის კაკანის ხმის გამომცემი რაღაც ჰქონდა მოწყობილი) შეიარაღებულ მოსწავლეებს გვასწავლიდნენ ელემენტარულ სამხედრო ჩვევებს: მოწინააღმდეგესთან გარემოსთან შეხამებით შეუმჩნეველად, ხოხვით თუ მოკლე გადარბენებით მიახლოებას და იერიშზე გადასვლას. მახსოვს ძალზე აქტიურობდა მასწავლებელი ეორეიკა ეასაძე...

ამის შემდეგ ასეთივე, მაგრამ ხარისხობრივად უფრო აღმატებული წვრთნისათვის, სამხედრო საქმის მასწავლებლებისა და თვით სამხედროების ხელმძღვანელობით ჩატარებული მომზადებისთვის რაიონული შეკრება გაიმართა, მგონი ჩიბათის სოფლაში ვიყავით დაბანაკებული (სამანქანო ტრასის ახლოს). ცხადდებოდა ღამის განგაშები – რამდენიმე წუთში უნდა მოგესწრო ჩაცმა, ეზოში კისრიტეხით გავარდნა და მწკრივში ჩადგომა. ერთხელ, ასეთი განგაშის დროს, წამოვხტი, ჩავიცვი და ეზოში გავრბიყარ, მაგრამ შარვალს ვერაფრით ვერ ვიკრავ. აღმოჩნდა, რომ უკუღმა ჩამიცვამს...

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ომი დამთავრდა, თორემ ჩვენ

ყველას ფრონტი არ აგვცდებოდა და ჟორჟიკა ვასაძის გენერლობით ჩატარებული ჩვენი ნაცოდვილარი მომზადება დიდად ყურაფერს გვიშველიდა.

მადლობა ღმერთს–მეთქი, მაგრამ რაღა მადლობა, როცა რვა წლის გადასახლების შემდეგ (1937 – 1945) დაბრუნებულ დედას მარტო მე დავხვდი ჩვენი ოჯახიდან, რომელიც არ მახსოვს, ვინმეს მოწიწებით არ ეხსენებინა, როცა მკითხავდნენ – ვისი შვილი ხარო.

სტალინის ხელმძღვანელობით 1937 წელს ჩატარებულმა სასტიკმა წითელმა ტერორმა და მასთან ერთად მეორე მანიაკის, ჰიტლერის მიერ გაჩაღებულმა წყეულმა ომმა ასე წამართვა დედ-მამა და ძმები, ჩემი ცხოვრებაც და მომავალიც სასტიკად გაამრუდა –ასპირანტურაში დატოვებაზეც უთუოდ უარყოფითად იმოქმედა „ხალხის მტრის“ შვილობამ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, არც სკოლაში, არც მეზობლობაში, უნივერსიტეტშიც არავის უგრძნობინებია რაიმე, მაგრამ ანკეტაში ყველაფერი იყო აღნუსხული.

ზემოთ ვთქვი – ჩვენ რა გვებადა, დედაჩემისთვის რომ გაგვეგზავნა. ამიტომ როგორ არ გავიხსენო ღვთისნიერი ხალხი, ვისაც ჩვენთვის დახმარება გაუწევია.

არ შეიძლება არ ვთქვა იმ სიკეთეზე, რაც ჩვენთვის გაუკეთებია ხელამპრე ანთაძის ოჯახს.

ხალამპრე – ეს დევივით დიდი, უსაზღვროდ კეთილი კაცი ხარაზად მუშაობდა ჩოჩხათში. დედა მეტყოდა: ჩასიძებული კაცი ხალამპრეზე ბედნიერი არ მინახავსო.

აი, ეს ხალამპრე და მისი სათნო მეუღლე ბაბი, როცა დედაჩემისათვის გადასახლებაში ამანათის გაგზავნის ნებადართული დრო მოაწევდა, ყოველთვის გვაძლევდა დამარილებული ღორის ხორცის დიდ ნაჭერს (ლორს).

მოწყალების გაღება ხომ დიდი მადლია, მაგრამ არანაკლებ დასაფასებელია, რომ მათ არ ეშინოდათ „სამშობლოს მოღალატედ“, „ტროცკისტად“, „მავნებლად“ მონათლულის მეუღლისათვის თანაგრძნობისა და ლუკმის გამეტება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს კეთილი ცოლ-ქმარი ბაბი და ხალამპრე ანთაძეები. მათი სიკეთე მინდა იცოდეს მათმა შთამომავლებმაც, სამეზობლომაც და ჩემი მშობლიური

ჩოჩხათის საშუალო სკოლის მოსწავლეებმაც, რათა მათ ისწავლონ სიკეთის ქმნა.

ახლა შეადარეთ ამათ ჩვენი შორეული ნათესავი, ხორეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელთანაც, სკოლიდან მომავალს, სოფსაბჭოში დამავალეს – გადაეცი, ამა და ამ დროს პარტორგანიზაციის კრებااو.

მეც, ხორეთში რომ ავედი, კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ვნახე ეს თავმჯდომარე, ორ კაცთან საუბრობდა. ვუთხარი: დამაბარეს – რაღაც პარტორგანიზაციის კრება არისო.

როგორ თუ რაღაც კრებااو!

რა თქმა უნდა, მე იმ კრების დამცირება აზრად არ მომსვლია„„რაღაც“ მხოლოდ სიტყვის მასალა იყო (ღმერთმა დამიფარა, ზოგიერთებივით არ დამჩემდა სიტყვის მასალად წამდაუწუმ გამეორება: „ესე იგი“, „მაშასადამე“, „გესმის“, „გაიგე“ და ა.შ.). მაგრამ კომუნისტ თავმჯდომარეში პარტიული სიფხიზლე თრგუნავდა ყველაფერს... ესეცაა, შიშისათვის ვერ გაამტყუნებ – სასტიკი და დაუნდობელი დრო იყო!

ჩოჩხათის სკოლა კი დავამთავრე 1947 წელს მაშინ პირველად შემოღებული მე–11 კლასით (ბოლო კლასებში ვიჯექი სკოლის უძველეს, ქვით ნაგებ ერთსართულიან ორკლასიან შენობაში, რომელშიც ოდესღაც ასწავლიდა მწერალი ეგნატე ნინოშვილი).

ჩემს ღელეაზე უფრო მახსოვს ჩემი მასწავლებლების წუხილი – როგორმე ოქრის მედალი მიმეღო...

ამ ამბავს გადასახლებიდან დედაჩემის დაბრუნებაზე საუბრის შემდეგ გავაგრძელებ.

დედა ბრუნდება. სამეგრელო

სკოლის დამთავრებამდე ორი წლით ადრე, 1945 წელს დაბრუნდა დედა.

ჩვენ არ ვიცოდით რამდენი წელი ჰქონდა მისჯილი. მასაც არ მოუწერია. პირიქით, ყოველ წერილში (რამდენის მოწერის უფლებაც ეძლეოდა თვეში) გვამხნევებდა იმედის რამდენიმე სიტყვით: ახლო მომავალში დავბრუნდებიო.

და ასე მიდიოდა წლები...

ერთი კოკათელი ქალი მარიამი მკითხაობდა. დროდადრო ბებიაჩემ-ბიცოლაჩემი მოიწვევდნენ მას და ისიც ასე გვაიმედებდა: მარგალიტა აუცილებლად დაბრუნდებაო, თანაც მეტი დამაჯერებლობისათვის დააყოლებდა: ჭაკი ცხენი დამიძახეთ თუ ეს ასე არ მოხდესო...

1945 წელს დედაჩემს გადასახლებაში მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია. ემადლიერებოდა რუს ებრაელ ექიმ ქალს, რომელმაც გადამარჩინაო. ხალამპრე ანთაძის წყალობით მისთვის გაგზავნილი ლორის ნაჭრები დედას თურმე რამდენიმეჯერ იმ ექიმისთვის უწილადებია...

იმ ექიმის დასკენამაც შეუწყო ხელი იმას, რომ დედაჩემს სამშობლოში გამომგზავრების ნება დართეს. განა ცოტა იყო შემთხვევა, როდესაც ადგილზევე „თავისუფლად" დასასახლებლად ტოვებდნენ?

გათავისუფლებისას ხდებოდა დაბრუნების ადგილის შერჩევა. იმ ქალაქში, სადაც დააპატიმრეს, არავის უშვებ-დნენ. თბილისი, სადაც დედას თავისი და ეგულებოდა, სარეჟიმო ქალაქი იყო და აქ ვინ გააჭაჭანებდა. დედაჩემმა სამეგრელოში დაბრუნება არჩია – უფიქრია, თუ რამეს შეეძლებ, ისევ და ისევ ჩემს მშობლიურ კუთხეს მოეახმარო.

ასე ითხოვა წალენჯიხაში გაგზავნა და არც შემცდარა. გურია თავს ერჩია, მაგრამ იქ რომ ჩასულიყო, ვიღაც უთუოდ დაასმენდა და ხელმეორედ გადაასახლებდნენ. თავად განსაჯეთ – როცა დედას ილიკო ბიძიამ და მე, ჯარიდან ახალდაბრუნებული ჩემი მამიდაშვილის შაქრო გაბეჩავასაგან ნათხოვარ ფარაჯაში გამოწყობილმა, გურიიდან ზამთარში სამეგრელოში ჩავაკითხეთ და მერე დედა გურიაში, ხორეთში ჩამოვიდა, – მას რომ არ შეფეთებოდა და გამარჯობა არ ეთქვა, შარაგზის მეორე მხარეს გადავიდა ის კაცი, რომელსაც ჩვენს ოჯახში ბევრჯერ უქეიფია...

(ამავე დროს, ისევ უნდა ეთქვა, ისიც ფაქტია, არ მახსოვს ვინმეს, მასწავლებელს თუ მოსწავლეს, ან სოფლელს ჩემ-თვის ეგრძნობინოს ტროცკისტის შვილი ხარო. ერთადერთ სინჯად ჩამრჩა ზემოთ ნახსენები კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნათქვამი – როგორ თუ „რაღაც" პარტიული კრებაო).

ხოლო სამეგრელოში... ტყუილად კი არ ამბობენ მეგრელებმა ერთმანეთის გატანა იციანო.

წალენჯიხაში ჩასული დედა სასტუმროში დაბინავდა. მისი ომში დაკარგული ძმის აქვსენტი მიქავას ცოლი და შვილები სულ ახლოს, სოფელ ობუჯში ცხოვრობდნენ, მაგრამ დედას არ უნდოდა დაბეჩავებულ-დაკნინებული ჩვენებოდა მათ. გარდა ამისა ის ხშირად შინსახკომში უნდა გამოცხადებულიყო!..

შიმშილითა და ბანაკის მძიმე ცხოვრებით იმდენად გამოფიტული იყო საწყალი დედაჩემი, რომ სასტუმროდან გამოსულს ხშირად მხარი აქცევია, უკან დასაბრუნებელ გზას ვერ ვაგნებდიო.

შინსახკომის რაიონული განყოფილების უფროსმა რომ მოუსმინა და გაიგო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, უთხრა: ქალბატონო მარგალიტა, სამხედრო კომისარიატში რუსული ენის მცოდნე ესაჭიროებათ. იქ მოგაწყობთ, ამ შიმშილიანობის დროს კარგი ულუფაც გექნებათო.

დედამ დიდი მადლობა გადაუხადა, მაგრამ მე ისე ვარ გამოფიტული, ახალი საქმის ათვისება გამიჭირდება, ძველი მესსიერებით ისევ და ისევ მასწავლებლობას თუ შეეძლებო.

შინსახკომის უფროსმა იმ წუთშივე დაურეკა რაიონის განათლების განყოფილების გამგეს: გიგზავნით კარგ სპეციალისტს, გაკვეთილებითაც დატვირთეთ და ბინითაც უზრუნველყავითო.

ხელადვე (1946. 20. VIII) მოაწყვეს წალენჯიხის ჩაის მეურნეობის სკოლაში. თურმე დედას დღესაც კეთილად იხსენებს იქაური ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელენე ჭეიშვილი.

შემდეგ, ცოტა სული რომ მოითქვა, დედა გადავიდა მშობლიური სოფლის ობუჯის სკოლაში, სადაც ასევე პატივისცემით იყო გარემოსილი. იქ 1947 წლის 20 აგვისიტოდან 1950/51 სასწავლო წლის დასასრულამდე მუშაობდა.

უფრო საოცარი ისაა, რომ მასწავლებელთა თუ სოფლელთა მიერ გამართულ პურმარილზე,რაზეც ხშირად

რაიონის ხელმძღვანელებსაც იწვევდნენ,უამრავი ხალხის გასაგონად შინსახკომის განყოფილების უფროსს თუ განათლების განყოფილების გამგეს ასე უდღეგრძელებიათ დედაჩემი:

„ქალბატონო მარგალიტა, თქვენ რომ გაგეხარდებათ, ისე დაგბრუნებოდეთ თქვენი ქმარი და შვილებიო...

ამ დროს ეს ქმარი „ხალხის მოღალატედ“„ტროცკისტად“ ითვლებოდა, შვილები კი ამ „მოღალატის“ შვილები იყვნენ...

ვწუხვარ, მეხსიერებამ ამ კეთილი ხალხის გვარები მთლად მყარად ვერ შემომინახა. ამიტომ დასაზუსტებლად ჩემს ბიძაშვილებს შურა (ცაცი) და შურგული მიქავებს (სამწუხაროდ, დღეს არცერთი აღარაა ცოცხალი, აღარც ნათელა, აღარც ვახუშტი) ვთხოვე ობუჯში ეკითხათ იმათთვის, ვისაც დედა ახსოვდა. აქ მომყავს ადგილები ბატონ არველოდი ლაგვილავას წერილიდან, საიდანაც ჩანს ვინ იყვნენ ის კეთილი ადამიანები, ვინც გადასახლების მძიმე ცხოვრებაგადატანილ, ქმრისა და ორი ვაჟკაცის დამკარგავ დედაჩემს სიცოცხლეს უმსუბუქებდა:

„ბატონო რეზო. რაც შემეძლო მოვინდომე, წალენჯიხაში წავედი და გავიგე იმ პერიოდში ვინ იყვნენ შინსახკომში, განათლებაში და ა.შ.

1945-51 წლებში წალენჯიხის რაიონში შინსახკომის უფროსი ყოფილა დათიკო ბოჯგუა (სენაკის რაიონიდან), ხოლო მილიციის უფროსი – ჯერ ლავრენტი (ლაუ) კალანდია, მერე – იანე შონია. განათლების განყოფილების გამგე ვანო კაკაჩია, შემდეგ – ვარლამ ბელქანია.

რაც შეეხება სკოლაში დედათქვენთან კეთილ-განწყობილებს, მის მიმართ ყველა კეთილად იყო განწყობილი. ქალბატონი მარგალიტა ყველას მიმართ თბილი და კეთილი იყო, ყველას დამრიგებელი და მრჩეველი. მას ვერაკინ აკადრებდა აუგს, თვით დირექტორებიც კი განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ყველაფერში უყვარდა დისციპლინა და წესრიგი, ყველა-ფერში პასუხისმგებლური დამოკიდებულება. მისი საუბარი იყო დამაჯერებლური. ხშირად იგონებდა გადასახლების წლებს, იმ გადატანილ მძიმე ცხოვრებას, ყვებოდა

თავისი ქმრის კასიანეს შესახებ. მაგრამ არასოდეს აძაგებდა სტალინს. არ ვიცი, ეს შიშით იყო გამოწვეული თუ ნამდვილად ასე ჰქონდა გულში. თავის ოჯახურ უბედურებაში ადანაშაულებდა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებას.

სკოლაში სხვებზე მეტად იყო დაახლოებული ფუფუული და ფოთო ლაგვილავებთან. ფოთო გამორჩევით უყვარდა. მათ შორის დამოკიდებულება იყო ნამდვილად დედაშვილური. ზაფხულის არდადეგების დროს გურიაშიც კი დაყავდა იგი. კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მასწავლებლებთან: გრიშა ფიფიასთან, ალექსანდრე სონგულიასთან, ვერა ჯალაღონიასთან, ვერა, ლენა და გოგოლა სონგულიებთან და საერთოდ ყველასთან, მაგრამ ჩამოთვლილებთან უფრო შინაურული, გულახდილი, თავისუფალი იყო. მათთან თავს ისე გრძნობდა, როგორც ნათესავთან და ახლობელთან, მეგობრებთან იგრძნობს კაცი.

მეტი რა მოგწეროთ. მარგალიტა იყო სამაგალითო ყველასათვის, ქართველი ქალის, ქართველი დედის განსახიერება. მას ამჟამადაც დიდი პატივისცემით იხსენიებენ, როგორც კოლეგები, ასევე ყოფილი მოსწავლეები.

პატივისცემით არველოდი ლაგვილავა 17.1.2000წ.

მინაწერი: „ობუჯის საშუალო სკოლის დირექტორები იმ დროს ყოფილან ნიკო კვარაცხელია და კუჭუჭი ნაჭყებია. მარგალიტას დედაშვილურ დამოკიდებულებას გრძნობდნენო არა მარტო მასწავლებლები, არამედ მისი მოსწავლეებიც მარგო ფონიავა, ვაჟა შენგელია, ჩექი მესხია, გენო სონგულია, როინ მესხია, ვასო ლომაია, ხუშუტი კაკაჩია...“

დიდი მადლობა ბატონ არველოდის და მის წერილში მოხსენიებულ ყველა ობუჯელს, წალენჯიხელს... მათი ადამიანობისათვის, კეთილი გულისათვის. ცხადია, ბატონი არველოდი ყველას ვერ ჩამოთვლიდა, ვინც დედაჩემს სითბო აგრძნობინა, მე მინდა ყველას მადლობა ვუთხრა. მათ შორის ბატონ ნაპოლეონ ლემონჯავას...

არც დედას მოსწავლის კარლო კაკაჩიას და დედამისის გაუსსენებლობა იყარგებს – დედა ხომ ქალბატონ ოლღას მდგმური იყო. ამ ოჯახის სითბო მეც განვიცადე, როდესაც სტუდენტობისას ზამთრის არდადეგები იქ გავატარე...

სხვათა შორის, ობუჯის სკოლის ხელმძღვანელობას დედაჩემისთვის შეუთავაზებია – თქვენი ვაჟი ჩვენს სკოლაში გადმოიყვანოთო, თქმა არ უნდა, დედას ენდომებოდა შვილის გვერდზე ყოლა, მაგრამ ჩოჩხათის სკოლამ უარი თქვა: წარმატებულ მოსწავლეს ვერ დავიმობიოო...

ძმების დაკარგვა ომში

ადრე ვთქვი: ჩემი მასწავლებლები. ჩემზე უფრო ღელავდნენ, უნდოდათ ახლადდაწესებული ოქროს მედალი მიმეღო. მართლაც მივიღე... ვერცხლის მედალი. ეს ჩემი ცოდნის ნამდვილი შეფასება იყო.

ეს ვერცხლის მედალი მაშინ იძლეოდა უფლებას უგამოცდოთ ჩავრიცხულიყავი უმაღლეს სასწავლებელში. მეც გამოვიყენე ეს უფლება და 1947 წელსვე ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე – ამ არჩევანს ხელი იმან შეუწყო, რომ ბავშვობაში „ჭრელ-ჭრელ ზღაპრებს" მიყვებოდა მარინე ბებია, იმთავითვე მიყვარდა კითხვა, მხატვრული ლიტერატურა, ხორეთში ჩვენს ოჯახში ზემოხსენებულ თაროზე ელაგა სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშები, ქართული ენისა და მწერლობის შეყვარება-შეტკბობაში დიდად შემიწყო ხელი მაშინდელმა სკოლამ საზოგადოდ და კერძოდ ჩემმა ჩოჩხათელმა მასწავლებლებმა, ბოლოს მქონდა ჩემი უფროსი ძმის მაგალითი.

ჩემამდე ამ უნივერსიტეტის ეს ფაკულტეტი კავკასიურ-აღმოსავლური ენების სპეციალობით 1941 წელს ასევე წარჩინებით ჩემმა უფროსმა ძმამ გედევან კვერენჩხილაძემაც დაამთავრა. ისიც ცდილა ასპირანტურაში შესვლას, მის საბუთებსა და ჩანაწერებს სათუთად ვინახავ. მათი გადაფურცვლისას გულზე ცეცხლი მედება. გედევანისაგან რაღაც მაინც დაგვრჩა, ესაა დიპლომი (№365122. 1941 წ.), საენათმეცნიერო მივლინებათა დროს გურიაში, ზემო იმერეთსა და სვანეთში ჩაწერილი ლექსიკური მასალა, კონსპექტური ჩანაწერები „ლიტერატურულ საქართველოში" დასაბეჭდად ტრიფონ რუხაძის ვიზირებული წერილი „რუსთაველი და გურამიშვილი", სტუდენტთა სამეცნიერო

კონფერენციებზე წაკითხული სამი მოხსენების თეზისები (მათ შორის, „კაუზატიკის წარმოებისათვის გურულში“), რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბლანკზე 1942 წლის 28 სექტემბერს დაწერილი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის რეკომენდაცია: „გედეონ კვერენჩხილაძეს მე ვიცნობდი როგორც ნიჭიერს, მუყაითს და წესიერ სტუდენტს. ამისათვის ვშუამდგომლობ – ნება მიეცეს მას ჩააბაროს ასპირანტურაში ჩასარიცხი გამოცდები“.

ცდილა, მაგრამ, ალბათ მშობლების დაპატიმრებამაც შეუშალა ხელი და არმიაში გაწვევამაც, საიდანაც გამოგზავნილი ღია და სამკუთხა ბარათები ჩემი ძმის მოსაგონებელი კიდევ ერთი ძვირფასი სახსოვარია!..

ავთანდილისგან მხოლოდ ომის დაწყების დღეს გაცემული ატესტატი №53 დაგვრჩა...

ომი რომ დაიწყო, გედეონი თბილისში, ავთანდილი კი ბათუმში (მანაც 1941 წელს დაამთავრა საზღვაო ტექნიკუმი საზღვაო ფლოტის ტექნიკოსის კვალიფიკაციით მექანიზაციის სპეციალობით) გამოიძახეს სამხედრო კომისარიატში, მაგრამ როცა გაიგეს „სამშობლოს მოღალატის“ შვილები არიანო, უკან გამოუშვეს.

ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. შემდეგ ისინი ერთხანს გასაწვევთა უწყებების დასარიგებლად გამოიყენეს, ხოლო როცა ჰიტლერის არმიები კავკასიონს მოადგნენ და ზოგან კიდეც გადმოაბიჯეს, ვისღა ახსოვდა „ხალხის მტრის“ შვილობა, ვიღაცისგან ალბათ ფული აიღეს და მათ მაგვირად ჩემი ძმები გაიწვიეს: ავთო 1942 წლის 15 ოქტომბერს, გედე კი – 1943 წლის დასაწყისში და ორივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა (პირველი – 1944, მეორე – 1943 წელს, ოქტომბერში)...

...სად არ წერდა, ვის არ ევედრებოდა საწყალი დედა, ეგებ ჩემი შვილების, ქმრის ამბავი გავიგოო, ებღაუჭებოდა იმედს – იქნებ ცოცხალი იყვნენო...

ვიღაც ჩელიაბინსკელი ქალი გამოეხმაურა, თქვენი ქმრის კვალი აღმოვაჩინეო... გაიმართა მიმოწერა, დედამ ის ქალი თბილისშიც კი მოიპატიჟა, მას ქმარი ჩამოჰყვა (შემდეგ გაირკვა – საყვარელი ყოფილა). ვუმასპინძლეთ,

თბილისის შემოგარენიც დაკათალიერებინეთ... რა თქმა უნდა, ის ქალი ვერაკითარ კვალს ვერ იპოვიდა, რადგან მამა თბილისს არ გასცილებია, აქ მოუღეს ბოლო. მაგრამ დედა რაღაცა იმედებს ეჭიდებოდა...

ასევე ველოდით ჩვენი ბიჭების გამოჩენას, ვფიქრობდით ეგებ ტყვედ ჩავარდნენ და სადმე დასავლეთში არიანო (აკი კომუნისტებისაგან გამწარებულ გედეს ნათქვამი ჰქონდა – თუ მოვახერხე, იმათ მხარეს გადავალო!).

იმასაც ვფიქრობდი, იქნებ თავიანთ იქ ყოფნას იმიტომ არ გვაგებინებენ, ვაი თუ ჩვენებს ზიანი მივაყენოთო...

აგერ ახლა აღმოვაჩინე ასლი, დედას ბულგარელი ნათელმხილველი ვანგასთვისაც კი მიუწერია: იწამე ღმერთი, ჩემი ქმარ-შვილის კვალი მაპოვნინეო...

ვის შეუძლია გაიგოს, რა საკირე ენთო საცოდავი, შესაბრალისი დედაჩემის გულში!

ანდა მე ვინ მიმიხვდება როგორ მეწვის გულ-ღვიძლი, როცა წარმოვიდგენ რა დღეში ჩააგდეს მამა დაკითხვების დროს, რა გაუელვა თავში, როცა დასახვრეტად მიჰყავდათ... როდესაც ვიხსენებ როგორ ათრიეს და აწოწიალეს დედა პოტმისა, სეგეუისა და ყაზახეთის ბანაკებში, აშიმშილეს, არაქათი გამოაცალეს და გამოფიტეს...

ვინ ჩაწვდება ჩემს წვასა და დაგვას, როცა ომში გაუჩინარებულ ჩემს გაუხარელ ძმებს, საუკეთესო ბიჭებს ვიხსენებ... უახლესი ადამიანებიც კი ვერ მიმიხვდებიან რა მტკივა და როგორ ვიტანჯები, ეს უბედურება კი, ოი, რა ხშირად მახსენებს თავს... ეაიმე, შე უბედური მამაჩემო, ვაიმე, გაუხარელო დედა, ვაი ჩემო უფროსო ძმებო, ჩემო გედეევან და ჩემო ავთანდილ!..

ჩემი ძმის ბედი მე ხომ მაწუხებდა და მადარდებდა. მისმა ბათუმელმა თანაკლასელმა, დრამატურგმა ვალერიან კანდელაკმაც დანანებით გაიხსენა მოგონებებით გაჯერებულ მოთხრობაში „კბილის ექიმი“ („ლს“ 26.02.1982წ. №9): სკოლაში რაღაც უეშმაკიათ, ბუხრის თავზე ნიეთები შეუყრიათ: „...ბუხარი კი არა, უნიფერმაღიაო – ჰყვირის გედეონ კვერენჩხილაძე, ჩვენი კლასის მომავალი ენათმეცნიერი, სანთლისფერი ბიჭი, ღამენათევი. ომს შეეწირა... ოო, გედეონა, რა ჭკვიანად ყვიროდა მაშინ“.

ომს შეეწირაო, დანანებამ და ტკივილმა ათქმევინა თანაკლასელ'ხე. ეს დანანება გამოსჭვიოდა განსვენებული ვალერიანის ხმაში მაშინაც, როცა მითხრა შენი ძმა გავიხსენეო...

ზემოთ ვახსენე მარინე ბებია, რომელიც „ჭრელ-ჭრელ ზღაპრებს" მიყვებოდა და რომელიც მოესწრო ჩემს გასტუდენტებას.

ბედნიერი არიან ის ბებიები, რომლებიც თავიანთი შვილიშვილების გაზრდას, დაქალება-დავაუკაცებას დაინახავენ.

ბედნიერი არიან ის შვილიშვილები, რომლებიც ბებიებს იმ ასაკში დაჰკარგავენ, როდიდანაც მათი სიყვარულისა და ღვაწლის დამახსოვრებას, მით უმეტეს, თუ ამ ამაგის რაიმეთი გადახდას შესძლებენ.

მე, სამწუხაროდ, მამაჩემის დედა არ მახსოვს, დედაჩემის დედასთან ბათუმიდან სამეგრელოში ჩაყვანას იმ დასაქცევმა 1937 წელმა შეუშალა ხელი – მამა დააპატიმრეს (მერე კიდეც დახვრიტეს), ორიოდე თვეში კი დედა 8 წლით გადაასახლეს.

სამაგიეროდ დამამახსოვრდა ჩემი აღმზრდელი ბებია მარინე – ბაბუაჩემის, ბესარიონ კვერენჩხილაძის უშვილო (და ამიტომ მასთან ერთად გაუყოფელ ოჯახში მცხოვრები) ძმის ვაზიკას მეუღლე. ესაა რომ მისი ამაგის გადახდა ვერ შევძელი...

დედა თბილისში; ხელმეორე დაპატიმრების შიში; 1956წ. 9 მარტი; 1989წ. 9 აპრილი

ვუბრუნდები ქმრისა და შვილების დამკარგავ საცოდავ დედას.

ამდენ ტანჯვაგამოვლილ დედას ასთმა დაეძართა, დასაელეთ საქართველოს ნესტიანი ჰავა წყენდა. 1951 წელს ობუჯში მუშაობას თავი დაანება. ამ დროისათვის უკვე წელთა დამსახურების გამო (ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე 23 წლის სტაჟი ჰქონდა) გვარიანი პენსია ეძლეოდა. თანაც ბოლოს და ბოლოს თავის ერთადერთ შვილთან ყოფნა, ცხოვრება ხომ უნდოდა? და საცხოვრებლად თბილისში,

თავის დასთან (მეც ხომ იქ ვეგულებოდი) მელანია (მერი) მიქავა-კვარაცხელიასთან გადმოვიდა – სხვაგან სად გვქონდა ბინა!

სტუდენტობის დროსაც არ მქონდა დალხინებული ცხოვრება. ამის გამო იყო, რომ გვარიანი გამოფიტული ვიყავი, მეხსიერებაც ხშირად მებინდებოდა, პირველ-მეორე კურსიდან ბევრი რამ ბუნდოვნად მახსოვს, შემდეგაც ხშირად მერეოდა ავადმყოფობა...

იმ ხანებში დედაჩემმა თავისი პენსიით მოინდომა შედარებით გაძლიერებულ კვებაზე გადავეყვანე, კარაქითა და თაფლით მოვემაგრებინე... მე კი მაშინ ჩვენთან მცხოვრებ პირველ კურსელ ჩემს ბიძაშვილს რომანს რომ ასევე ვერ ვკვებავდით, ლუკმა ყელზე მადგა, შემდეგშიც, მთელი ცხოვრება სინდისი მქეჯნიდა...

დედაჩემი ერთხანს თბილისშიც მუშაობდა საღამოს სკოლებში...

1951 წელს გაჩნდა საშიშროება ხელახალი გადასახლებისა – აკი ვიღაცამ დააბეზღა ელენე (ლოლია) თათარიშვილი – გერმანელიაო (სინამდვილეში, მგონი, ბაბუა ჰყავდა შვედი) და ეს საცოდავი ქალი ხელახლა გადაასახლეს. მართალია, დიდხანს არ გაგრძელდა „მეგრელების საქმისა“ თუ სხვა მიზეზით ჩატარებული ეს განმეორებითი დევნა-დაპატიმრებები და ლოლია თათარიშვილიც გამოუშვეს, მაგრამ ყველაფერმა ამან უკვალოდ არ ჩაიარა – დაბრმავებული დაბრუნდა...

დედაც შეშინდა, იფიქრა იქნებ შინსახკომს გზა-კვალი აეურიოო და პეტრიაშვილის ქუჩაზე ნახევრად სარდაფიანი ბინა ვიქირავეთ...

არ ვიცი, მართლაც შეეძელით შინსახკომის გაცურება თუ დაპატიმრება-გადასახლებათა ტალღის შედარებით ადრე ჩაცხრომამ გადაგვარჩინა. ერთი კია, მალე ისევ ღეიდასთან დავბრუნდით...

1956 წლის 9 მარტს დედამ რეაბილიტაციის საბუთი მიიღო. რაღა დროს, მას შემდეგ, რაც სსრკ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სისხლის სამართლის

კოდექსის 58/12 მუხლით – განუცხადებლობა. ე.ი. ქმარი რატომ არ დაასმინეო! (საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ცნობა 1998. 16. IX. 16/16 – 457), მისი ცხოვრების 1937 – 1945 წლები რომ საბჭოურ პოლიტპატიმართა ბანაკის მძიმე ცხოვრებამ, გაუსაძლისმა შრომამ, უჭმელ-უსმელობამ შელახა და წაართვა? მეუღლე რომ დაუღუპეს და მერე ციინიკურად გაამართლეს? შვილები რომ ომში დაუკარგეს, ამის შემდეგ?...

იმავე 1956 წელს, სწორედ მარტში, ნ. ხრუშჩოვმა და მისმა დამქაშებმა, სტალინის სიძულვილი რომ ქართველ ხალხზე გადაიტანეს და ამან ჩვენი ხალხის აზვირთება გამოიწვია, მე ვფიქრობდი – ამას რას მოვესწარი, კომუნისტებს საპროტესტო გამოსვლებს უმართავენ-მეთქი და ყველა მიტინგს თვალს ვადევნებდი, ვესწრებოდი.

9 მარტსაც მტკვრის სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ვიყავი. იქ ხალხმა რომ იხუვლა – კავშირგაბმულობასთან ჩვენებს დეპეშის გაგზავნას არ ანებებენ, ღუპატიმრებიათო – მეც იქით გავწიე.

ხალხის ნაკადმა კავშირგაბმულობის სახლის წინ მიმაგდო, შესასვლელთან ახლოს. როცა ახალგაზრდობა კარებს მიეძალა და მიეძალა, ცოტაც და კარებს შეანგრევდნენ, ზედა სართულებიდან ავტომატის ცეცხლი გახსნეს.

არ ვიცი როგორ ვისკუპე და შუა ქუჩაზე გართხმული აღმოვჩნდი. თავში ელავდა: ცოცხალი ვარ თუ არა, ცოცხალი ვარ თუ არა... და ამ წამებში, საოცარია, იმანაც შემაწუხა, რომ ვიღაცა ზევიდან მაწვა...

ავტომატების ჯერი შეწყდა, თვალი გავახილე და დავინახე ვიღაცის თავთან სისხლი მოჟონავდა... ამასთან ერთად უკვე ფეხზე ვიყავი და გავრბოდი. ალექსანდრეს (კიმუნარების) ბაღის რკინის ღობესთან რომ მივვარდი და ჯორჯიაშვილის ქუჩით ქვევით დაეშვი, ავტომატების ჯერის აკაკანებასთან ერთად თავზარდამცემი ფიქრიც მეცა: ყაიმე, სადაა ახლა ჩემი ბიძაშვილი რომანი, ის ხომ მე მყავს მობარებული, რატომ არ გავაფრთხილე – მიტინგებზე არ წასულიყო...

ეს ფიქრი საბურთალოზე დეიდის ბინაში მისვლამდე მტანჯავდა, ტვინს მიბურღავდა და რომანი რომ სახლში დამხვდა, თავისუფლად ამოვისუნთქე. მხოლოდ მაშინ

შევნიშნე, რომ მამის ნაქონი, ჩემთვის გადაკეთებული პალტოს სახელო თუ კალთა (ეს უკვე აღარ მახსოვს) ანასხლეტ და დაღლილ ტყვიას გაეხვრიტა...

ამ პალტოს საწყალი დედა დიდხანს ვერ ელეოდა. ბოლოს, როცა ახლის ყიდვის საშუალება არა და არ მოგვეცა,თანაც, ეტყობა, დედამ თანდათან დაჰკარგა მამაჩემის გამოჩენის იმედი, ჩემთვის გადაეკეთებინა...

ბარემ აქვე მინდოდა 1989 წლის აპრილში ჩვენს გადარჩენაზე მომეთხრო, მაგრამ საწყალი დედაჩემის ამ ბოლო იმედის დაკარგვის გახსენებამ სინიდისი შემიშფოთა — ქმარ-შვილის დამკარგავს,ჩემს ამარა დარჩენილს რატომ დავუგვიანე დაცოლშვილება?

ვიმიზეზებდი ბინის სიავიწროვეს — ჩვენ ხომ ერთ ოთახში ვცხოვრობდით...

ბოლოს,1967 წელს იმავე საბინაო პირობებში მოვაგვარე ეს საკითხი — ზაირა (ანა) პაქსაშვილზე დავქორწინდი, დედა 6 თვე ჩვენიკვე სადარბაზოში ნაქირავებ ბინაში ვაცხოვრე...

დედა მალე, 1969 წელს გარდაიცვალა გაუსარელი. ესაა რომ შვილიშვილის, ჩემი პირმშოს დაბადებას მოესწრო — საბრალობელს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ჩემი შვილიშვილი ლევანი, ჩემი სიყვარული დაიბადა 1968 წლის 2 ნოემბერს 3 საათზე და 30 წუთზე. ბედნიერი იყოს მისი გაჩენა! ჩემი ლევანი დღეგრძელი და ჯანმრელი იყოს“.

ახლა კი შემიძლია 1989 წლის აპრილის დღეებზე გიამბოთ.

იმ დღეს, ისევე როგორც წინა დღეებში, მე და ჩემი ცოლი ზაირა მთელი დღე მიტინგებზე ვიყავით. ღამის 12 საათისთვის, დაღლილ-დაქანცულები უნივერსიტეტის ეზოში მოვედით, ვიცოდით — სტუდენტები, მათ შორის, ჩვენი ვაჟი ლევან კვერენჩხილაძე, მთავრობის სახლისაკენ დაიძრებოდნენ. ჩვენ გვინდოდა მასთან ვყოფილიყავით. ლევანთან ერთად მოდიოდნენ თანაკურსელი ბიჭი, თუ არ ვცდები, ირაკლი კენჭოშვილის ვაჟი და ორი გოგონა.

უნივერსიტეტელები კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ განლაგდნენ (თურმე წინასწარ იყო გადაწყვეტილი, სად უნდა დამდგარიყვნენ). მთელი დღის ნაშიმშილარი

ვიყაკით, მე და ზაირა ერთიანს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მახლობლად ქართული პურის საცხობთან რიგში ვიდექით. დაბრუნებისას ცოტა კიდეც წამოწვიმა...

კინოთეატრთან მისულმა ვიგრძენი მდგომარეობა იძაბებოდა. გამახსენდა 1956 წლის მარტის ამბები, ავტომატის ჯერის ქვეშ მოყოლა. ნელ-ნელა ტანში შიში გამიჯდა. ჩემს ვაჟს ვთხოვე: კინოთეატრის კუთხეში, ფურცელაძის ქუჩის დასაწყისთან გავჩერდეთ, რაიმე რომ მოხდეს, თავქვე დავეშვებით-მეთქი. არ ქნა...

ცოტა იმან დამამშვიდა,რომ კინოთეატრის სალაროებთან შესასვლელი კარი ღია იყო. შემდეგ ფოიეში შესასვლელიც გაიღო, ხანშესული დამლაგებელი, კაფანდარა რუსის ქალი გამოვიდა, იქაურობის დაგვა დაიწყო...

მოედანზე რომ ტანკების ხმა გაისმა, ცოლს ვთხოვე: ახლა შენ შეეხვეწე ლევანსა და მის ამხანაგებს – კინოთეატრის შენობის კუთხესთან გადაინაცვლონ. ისევ იუარა ლევანმა.

შემდეგ,მოედნიდან ჯარისკაცების რაზმი რომ წამოვიდა და ერთი ათეული ფურცელაძის ქუჩის ჩასაკეტად ჩადგა, ცხადი გახდა – საფანგში გვამწყედეედნენ და თავზარი დამეცა... ჩვენს წინ ტროტუარის კიდეში ჯარისკაცები რომ ჩამწკრივდნენ და მათ გაყინულ თვალებს შეეხედე, მიკვდი – დანდობა არ იქნებოდა. მრავალ მომიტინგესაც ეს შეგრძნება ექნებოდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ფეხს არავინ იცვლიდა და აწი ვერც მოიცვლიდა, რადგან უკვე ყველა ქუჩა ჩაირაზა.

ტანკები რომ მომიტინგეებისაკენ დაიძრა, გაშეშებულ-გამოთაყვანებული თვალებიანი ჯარისკაცები მოგვაწვნენ და კინოთეატრის სვეტებს მიგვაჭყლიტეს. გამიკვირდა, ეს ისე ორგანიზებულად მოხდა, თითქოს ბრძანება გასცესო. თურმე ყურებში ჰქონდათ გაჩრილი მოსასმენი აპარატები.

ცოტაც და კინოთეატრის სალაროების დარბაზში დაიწყეს ხალხის შეტენვა. ჩემს ცოლს ლევანის ქამარზე ეკიდა ხელი, ორივე შემოვაბრუნე, წინ დავიყენე და კინოთეატრის შესასვლელისაკენ ვუბიძგე. ასე ჭყლეტაში გავიარეთ სალაროების დარბაზი და ჩაბნეულებულ ფოიეში აღმოვჩნდით. როგორც კი თავი ერთგვარად სამშვიდობოზე გასულად ჩავთვალე, ლევანის ამხანაგებს მოვუხმე...

ზოგიერთებმა ქაშუეთში ხა�di სახთლები აახთეს, ვიღაცამ ხმამაღლა ითხოვა: სპირტი ან ოდეკოლონი ხომ არ გაქვთო. სანთლების შუქზე რამდენიმე თავისისხლიანი დავინახეთ...

ვიღაცამ გაზი ახსენა, მიეხვდი მთავრობის სასახლის წინ რაღაც საშინელება ხდებოდა, ავეარდი მეორე სართულზე და შუშის კედელთან მიმდგარ ახალგაზრდებს ვურჩიე: მოსცილდით მაქაურობას, ქვევიდან არ ისროლონ–მეთქი. თავად თვალი მოედნისკენ გავაპარე. იქ უკვე ყველაფერი მომთავრებულიყო. მხოლოდ ის შევნიშნე, ოთხ კაცს კუთხეებში ჩაეჭიდა ხელი და მიპქონდათ ე.წ. „პლაშჩ-პალატკა“, რომელზეც რაღაც თუ ვიღაც მოკუნტული ეგდო, მთავრობის სახლის კიბეების თავზე კი 5–6 სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი, ალბათ ხელისუფლების წარმომადგენელი, იდგა...

ეფიქრობდი: გაზი თუ გაუშვეს, აქ რატომ არ შემოაღწია?..

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ფურცელაძის ქუჩაზე გასასვლელი კარები გაგვიღეს. გავედით თუ არა, მეზობელი სახლის დაბალი ფანჯრიდან კეთილი მობინადრე შეგვეხმიანა – დარეკვა ხომ არ გნებავთო...

ძნელაძის ქუჩით სახლისაკენ გავწიეთ, ოპერის უკან ატყდა ყვირილი: არიქა სასწრაფოო, ვიღაცას გულის შეტევა მოსვლოდა; „ივერიასთან“ კი ვიღაც კეთილმა კაცმა მანქანა გაგვიჩერა, სახლში წაყვანა შეგვთავაზა. „კომუნისტის“ რედაქციასთან დავინახეთ თავშესვეული ლაშა თაბუკაშვილი, მოედნისაკენ მიემართებოდა. შემდეგ გავიგე – შვილს, რეზიკოს ეძებდაო.

აი, ასე გადავრჩით. მაგრამ მე ვთვლი, რომ რუსების ხელით ჩვენ იმ ღამეს მოკლულები ვართ.

დასასრულ, ისევ გაზის შესახებ. 10–15 დღის შემდეგ ჩემმა ცოლისდამ ზილფა (თეა) პაქსაშვილმა თქვა: წავიდეთ თქვენს გადამრჩენ კინოთეატრში, ნუგზარსაც ვნახავ და ამბავსაც გავიგებო.

კინოთეატრის დირექტორი ცნობილი სპორტსმენი, მოფარიკაველ ნუგზარ ასათიანი თეას სკოლის ამხანაგი გახლდათ. იმას ეთქვა: „რუსთაველში“ ოპერაციის

ჩატარების შემდეგ, გაფრენამდე სპეცრაზმელებს უნდა დაესვენათ და ამიტომ იყო ღია, გაზის ბალონებიც ამიტომ არ შემოაგდესო...

მამის ბედი; საგირგოლო ღელე

ახლა ისევ უკან უნდა დაებრუნდეთ:

1957 წელს მამას ცნობაც მივიღეთ – რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგო. მაგრამ იმას კი არავინ მიუთითებდა როდის მოკვდა ან ბუნებრივი სიკვდილით დაიღუპა თუ დახვრიტესო. ამას დიდხანს მალავდნენ...

საბჭოეთის დამხობის შემდეგ, 1998 წლის 16 სექტემბერს მოცემულ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივის ცნობაში №16/16-457 მითითებულია: „გასამართლებული იყო საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1937 წლის 19 სექტემბერს სისხლის სამართლის 58/10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას) და 58/11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლებით და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა (დახვრეტა)“.

აგერ ახლა საზოგადოება „მემორიალის“ ერთ-ერთმა მესვეურმა, მწერალ ნიკოლო მიწიშვილის ვაჟმა ილამაზ მიწიშვილმა გადმომცა მის მიერ ინტერნეტში მოძიებული, საბჭოთა კომპარტიის პოლიტბიუროში 1937–38 წლებში უმეტესწილად სტალინის მიერ დამტკიცებულ დასახვრეტთა სიებიდან ერთ–ერთში (29-ე სიაში №162) ნაპოვნი მამაჩემის გვარ-სახელი...

აქ უნდა ჩავურთო: ჩვენი გვარიდან მამასავით გააქრეს ისაკ მოსეს ძე კვერენჩხილაძე, ხოლო სანდრო იოსების ძე კვერენჩხილაძე მრავალწლიანი გადასახლებიდან კი დაბრუნდა, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას! ახლაც თვალწინ მიდგას: საგირგოლო ღელიდან აღმართი ამოათავა „ტელოგრეიკაში“ ჩაცმულმა მობუზულმა, დაჩაჩანაკებულმა მოხუცმა სანდრომ, ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია...

ეს ჩვენი საგირგოლო ღელე, საიდანაც ახლა პატარა ადმართი ამოიარა სანდრო კვერენჩხილაძემ (ვინ იცის, რამდენჯერ გახსენებია ეს ღელე და ეს ადმართი შორეულ და ცივ ციმბირში!), ეს სუფთა, ანკარა წყალი, ღელისათვის დამახასიათებელი მოკრძალებული ხმაურით არც ისე შორი სათავიდან მოედინება.

მოკრძალებული ხმაურით–მეთქი. მაგრამ მახსოვს ერთხელ ისე ადიდდა,რომ უზარმაზარ ლოდებს ნაფოტივით ისროდა, გზაზე რაც კი შეხვდა, ხე და მიწა, ყველაფერი ჩამოიტანა და ჩამოზიდა...

ხშირად ავყოლილვარ მორაკრაკე წყლის ნაპირს, დიდ თუ პატარა ლოდებზე ხტუნვა-ხტუნვით, ზოგან მცირე სიმაღლის ჩანჩქერების გვერდის ავლით თანდათან შევიწროებული სეობის (თუ ხმამაღლა ნათქვამი არ არის) დასაწყისისაკენ, სადაც მთის წიაღში იბადება ღელე, რომელიც ჩამოივლის ჩვენს საცივს (საიდანაც, თუმცა ცოტა მოშორებით იყო, მაინც ვამჯობინებდით სასმელი წყლის ზიდვას, მიუხედავად იმისა, რომ ღელის წყალიც სუფთა იყო – ჩვენს ზევით არავინ ცხოვრობდა და არ აბინძურებდა ღელეს), შემდეგ ღელე გვერდს აუვლიდა ჩვენს გაუქმებულ წისქვილს (რომელსაც ჩემს მახსოვრობაში არ უმუშავია – საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე კერძოს ვერ ითმენდა, დიდ დაბრკოლებას უქმნიდა!), მერე ანთიმოზ კვერენჩხილაძის ზურბალოს წისქვილს აფქვეევინებდა სიმინდს, უფრო ქვევით ნეტარსახსენებელი ბაბი და ხალამპრე ანთაძეების, კიდევ უფრო დაბლა ხუციშვილების წისქვილების ქვებს აბზრიალებდა და ეს ჩვენი დალოცვილი საგირგოლო ღელე სასოფლო საბჭოს ცენტრის, სოფელ ჩიჩხათის საზღვარზე მდინარე შუთს უერთდებოდა, შუთი კი, თავის მხრივ, არც ისე შორს გურიის ყველაზე დიდ მდინარეს სუფსას შეემატებოდა.

ჩვენს წისქვილთან წამოყუდებული კორტოხიდან წისქვილს წიფლის თუ ცხემლას (ასე ეძახიან გურიაში რცხილას) დიდი ხე დაჭყურებდა. ერთხელ, უშეშობამ რომ შეაწუხა, ჟენია მამიდამ იმ ხის მოჭრა დიმიტრი კვერენჩხილაძეს თხოვა (ომის დროს მამაკაცები თითო-ოროლა თუ იყო ჩვენს კუთხეში), მაგრამ შეეეედრა: რამენაირად ილიკოს წისქვილი არ დაუზიანოო. არ უნდოდა

თანამგრძნობელი მეგობრებთან: ვალერ მეფიშვილი, მე-თოლან (ოქრა) დალაქიშვილი, ოთარ ძაღლიშვილი, ალიგრენი (ალიკი). ქუთ. 1951 წ. ოთხთაგი – ფოტო ფარი ქუჩა თასა

დალაქიშვილის მეგობრებისა და ოჯახის წევრებისა. ფოტოზე: ალექსანდრა ბალანჩივაძე, ალექსანდრა ბალანჩივაძე, ალექსანდრა ბალანჩივაძე,

ა. ინაგანი ხიკაძის, ბეგლარ ალიევისა და თეიმურაზ ბაბუაშვილი, ბაკურიანი, 1954 წ.

ბეგლარ ალიევი

დავთო ხუციშვილთან, რეჟისორ კვირიკაძესთან, მწერალთა სახლში. 1972წ.



რეჟისორ კვირიკაძესთან ერთად ფოთში ქეჟერაძესთან. ხიხანში 1976წ. დეკემბერი

ლეან და ალექსანდრე-გიდეან კვერენჩხილაძეები

ხელის მოწერისას: ლეო ქაჯაია (თანაკურსელი მეგობარი, მეჯვარე, ნათლია) რეჟისორ კეკრესხილაძე, ზაირა (ანა) ჰაქსაშვილი, ლეილა გოშაძე (ზაირას მეგობარი, მეჯვარე), თეა (ხიდეფა) ჰაქსაშვილი (ზაირას და), (ანეი მიქავა (ნენმი ბიძაშვილი) 1967წ.

1 თაბარ წიგნიაძე (ხიდეფრი), ზაირა, თეა; II რიგი: ლეონ, მე, მაია. 1981წ.

ნიკო ჯავახიშვილი ანკ. ხალიტა ალექსიშვილთან ერთად. 1967 ოქტომბერი

აურამ გეგეჭკორი, მე, ბონდო არველაძე
მწერალთა შემოქმედებითი სახლი „ქეთშხეთი“. 1977. აგვისტო.

რევაზ კვერენჩხილაძე („კაპიტანი კლოხი“) ქეთშხეთი. 1977წ. აგვისტო.

[illegible]

[illegible]

ამბიციური ბიბლიოგრაფიული ეროვნული „ბიბლიოთეკისა“ ხიბლიანი 1990 წ

ეკლესია „ოცდაერთი მეგობრის“ ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის (დღევანდელ) ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტში. ხიდი. ხიბერეთი, 1972 წ.

ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის მეგობრებისა ბაკურიანში „ტალიანოს“ 1975 წ. ოქტომბერი

ჩვენს ოჯახებს შორის არსებული მომდურაობა რაიმეს კიდევ უფრო გაემწვავებინა. მაგრამ, თითქოს განგებო, მოჭრილი ხე პირდაპირ ჩვენს წისქვილს დაეცა. საშინლად შეწუხდა ენინა მამიდა, კინაღამ გადაყვა ამის დარდს...

ასე წამლაგდა ცხოვრებას მომდურაობა. ახლაც უბრალდ იყვნენ ერთმანეთთან ძმების შალვა და გაბო კვერენჩხილაძეების ოჯახები, გენო კვერენჩხილაძე და ჯოჯუები...

აქ ჩვენი გვარის გავრცელებაზეც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა:

მკვლევარ იაკობ ახუაშვილის ცნობით (გაზ. „მეოთხე". 1999. 12–19 თებერვ.) 1995 წლის თებერვლისათვის საქართველოში იყო 179 კვერენჩხილაძე. აქედან ლანჩხუთში – 90, თბილისში – 50, ბათუმში – 26. ცხოვრობდნენ, აგრეთვე, სუფსაში, ქობულეთში... ისე კი, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, ისინი ან მათი წინაპრები სოფელ ხორეთის ერთი უბნიდან არიან გამოსულნი.

უნივერსიტეტი; მწერალთა კავშირი

1952 წელს აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რექტორობისას, ე.წ. წითელი დიპლომით დავამთავრე თსუ. იქაც არავის უგრძნობინებია ჩემთვის, პოლიტპატიმართა შვილი რომ ვიყავი, მაგრამ ანკეტას არაფერი ავიწყდებოდა. აკი ვთქვი, ამან შემიშალა ხელი ასპირანტურაში დარჩენაზე.

გავიდა დრო. ერთხელ, ის იყო მწერალთა სასახლეში უნდა შევსულიყავი, ეროფილი ენგელსის ქუჩის მხრიდან მომავალი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე და პროფესორი ოთარ ბაქანიძე შევნიშნე. შეხვედრის უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შორიდან მივესალმე და კარებში შევედი. ეტყობა ფეხს აუჩქარეს და ხელად ისინიც შემოვიდნენ. ბატონმა ალექსანდრემ ხელი ჩამომართვა და მითხრა: თქვენ ასპირანტურაში ჩარიცხვა გინდოდათ... გაკვირვებასთან ერთად (როგორ ახსოვს? ოთარიც, ალბათ, ჩემზე ზრუნავს, ახსენებს...) უხერხულობა უფრო გამიძლიერდა და ჩავიბურტყუნე: მე უკვე... ალბათ აღარ... – მეთქი.

ასე ვ'სჯელობდი: ასპირანტურაში შემსვლელ ახლად უნივერსიტეტდამთავრებულ რამდენ ნიჭიერ, მცოდნე ახალგაზრდას უნდა გაეუწიო კონკურენცია, იმათ აგერ ახლა გაიარეს საგნები, მე კი უნდა ვიხსენო და ვიხსენო წყეული პარტისტორია, ისტორიული და დიალექტიკური მატერიალი'ზმი, მარქსიზმი... რაღა დროსია!.. ცხადია, ამანაც მიბიძგა რაღაც მომეჩმახა...

ბატონმა ალექსანდრემ ერთი კი გაიკვირა და დამემშვიდობა, აბა ხომ არ ვადამყვებოდა... მისი მადლობელი ვარ ასეთი ზრუნვისათვის, ღმერთმა აცხონოს!..

რაც შეეხება ოთარ ბაქანიძეს, მან ხომ კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობანი: ის, რომან მიმინოშვილი, ლეო ქაჯაია, რევაზ დოლონაძე და მე ერთად ვემზადებოდით სესიებისთვის რომანის კაბინეტში – ის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო და პატარა კაბინეტი ჰქონდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულის მარჯვენა კიბის თავზე. ჩავიკეტებოდით და 45 წუთი შესაშური გულმოდგინებითა და სერიოზულობით ვმეცადინეობდით, შემდეგ 15 წუთს ვისვენებდით – ვგიჟობდით, ერთმანეთს დაჭმუჭნილ ქაღალდებს ვესროდით, შინ წასვლისას კი უნივერსიტეტის წინ სასმელი წყლის სვეტზე მიპირებდნენ დასმას...

ოთარ ბაქანიძესა და ლეო ქაჯაიასთან (ჩემი მეჯვარე და ვაჟის – ლევანის ნათლია) დღემდე ვმეგობრობ. და კიდევ ალექსი ბოლქვაძე მაკითხავს დროდადრო მწერალთა კავშირში, სადაც უნივერსიტეტის დამთავრებსთანავე დავიწყე მუშაობა. როგორ მოვსვდი იქ? მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის დიპლომის მიღებისას გაუნაწილებელი აღმოვჩნდი. გავემგზავრე მშობლიურ ხორეთში. ვინ იცის სად გადამისროდა ცხოვრება – სექტემბერში მოვიდა უწყება – მასწავლებლად დანიშნული ვიყავი თებერდაში (კავკასიონის ჩრდ. კალთაზე განლაგებული ეს საკურორტო დაბა მაშინ საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული), მაგრამ მანამდე, ისე რომ მე არაფერი ვიცოდი, ჩემი ბედის შემობრუნებისათვის იზრუნეს ჩემმა უნივერსიტეტელმა მეგობრებმა იოსებ (იუზა) ლორთქიფანიძემ და ვაჟა მებუკემ: ისინი მისულან ჩვენს ლექტორთან, შეთავსებით მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად ახლადარჩეულ (1951 წ.)

სერგი ჭილაიასთან და უთქვამთ: ჩვენი მეგობარი, თქვენი სტუდენტი რევაზ კვერენჩხილაძე არ არის დასაკარგავი კაცია. ბატონმა სერგიმ – მოიყვანეთ, სწორედ ახლა თავისუფლდება მწერალთა სასახლის დირექტორის ადგილი (იყო მაშინ ასეთი თანამდებობა), სოფელში მივიდე იუზასა და ვაჟას დეპეშა (ღმერთმა ორივე გაანათლოს!) და უკვე 18 აგვისტოდან მწერალთა კავშირის აპარატის შტატში ჩავირიცხე.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ აქ, მწერალთა სასახლეში, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს. გავატარებდი!

1960 წლიდან დღემდე ვარ მწერალთა ბიბლიოთეკის გამგე. შეთავსებით ვიყავი მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი, ლიტერატურის კონსულტანტი, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან – საოქმო განყოფილების გამგეც, 1974 – 1984 წლებში შეთავსებით მთელი სეზონის განმავლობაში (იელის – აგვისტო) მწერალთა შემოქმედებითი სახლის „ქვიშხეთის" კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგე, კულტმუშაკი, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მომწყობი, აღმზრდელი – ბავშვებისათვის დილის ვარჯიშების, შეჯიბრებათა (ფეხბურთი, სირბილი, ხტომები და სხვ.) ტელეგადაცემათა თაე-თავის დროზე ჩვენების, შუადღის წყნარი საათისა და საღამოს დროზე დაძინების შემომღები (ერთხელ წამომცდა –„წვრილფეხობა იძინებს!" და ეს ბავშვებს ისე მოეწონა, რომ ამის გამოუცხადებლად დედებს დასაძინებლად არ მიეყვებოდნენ), მათი ცელქობისა და ეშმაკობათა კალაპოტში ჩამყენებელი (ბავშვებმა ვერავითარი ეშმაკობა, ზოგჯერ მავნე ოინებიც, ვერ გამომაპარეს და ამის გამო იმ დროს პოპულარული კინოფილმის გმირის სახელი „კლოსი" შემარქვეს, ჯერ „ობერლეიტენანტი კლოსი", შემდეგ ჩინი მომამატეს და „კაპიტანი კლოსი" მიწოდეს).

ბედნიერი ვარ, რომ მათი პატივისცემა დავიმსახურე და დღესაც სიყვარულით მიხსენიებენ.

არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო პოეტი შარლოტა კვანტალიანი – „ძველი ქვიშხეთელი", რომელმაც როცა ქვიშხეთში ადრინდელი დამსვენებლები უკვე შვილიშვილებით, ხოლო „კლოსის ლაშქრის" წევრები – შვილებით დავდიოდით, თავის სალაღობო ანდერძში (მცირე ანდერძი ქვიშხეთში დარჩენილებს ვიიონ-წერედიანის ხმაზე,

„მწერლური ცხოვრება“ 2005 №5) შეტანისა და „კლოსის“ ჩინის მომატების ღირსი გამხადა:

კვერენჩხილაძე რეზოს ვახლავარ!
უნდა მივართვა დიდი „ფახლავა“,
აჭამოს ნიკას, ლევანს და სანდროს,
კიდევ ზაირას – მეუღლეს სანდოს.

გამჭოლი ბზერით კლოსს მოგვაგონებს,
ლაშქრავს მთაწმინდას, ველებს და გორებს,
ვუტოვებ „რუგზაკს“ ჩრჩილისგან დახრულს
და პოლკოვნიკი ბიძის პაგონებს.

ლიტერატურული მუშაობა

1954 წლიდან დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ ლიტერატურული წერილების ბეჭდვას. ამის გარდა მწერალთა შემოქმედებით ოჯახში მრავალწლიანმა მუშაობამ შთამაგონა მისი ისტორიის კვლევა. ამის შედეგად 1983 წელს გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა ჩემი წიგნი – გამოკვლევა „საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982წწ.“

ამ წიგნის შავად ნაწერი პირველი ნახევარი (1917-1932წწ.) ნიკა აგიაშვილმა წაიკითხა 1976 (თუ 1977) წელს ქვიშხეთში. ბოდიშით შევბედე ხელნაწერს თუ გაარჩევთ–მეთქი. რედაქციებსა და გამომცემლობაში (მაშინ „მერანში“ მუშაობდა) ხელნაწერების მეტი რა მიქექიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკამ მითხრა: როცა „მკვდარ საათს“ გამოაცხადებ, შენს ბიბლიოთეკაში ჩავიკეტოთ და ვისაუბროთო. გადმომცა პატარა ფურცლებზე ჩაწიკწიკებული შენიშვნები, სურვილები (ეს საბუთი ჩემი არქივის ერთ-ერთი ძვირფასი შენაძენია), თან მითხრა: მეგონა მწერალთა კავშირზე ყველაფერი ვიცოდი, თურმე რამდენი რამ ელოდება გამომზეურებას. ეს ისეთი ჯოჯოხეთური სამუშაოა, ისეთი დაწერილებითი ჩრეკა და ძიება უნდა, შენს მეტი ვერავინ შესძლებს. შემდეგ, თუ ისურვებ, რედაქტორობას გაგიწევო.

ეს მართლაც ასე მოხდა. რეცენზიაც უძღვნა ამ წიგნს („ლს", 1984. 2. III. №10) - ათი წლის მანძილ'ზე წერდაო. ამის დედანიც ჩემს არქივ'ში ინახება.

მაგრამ იყო ხალხი, ვინც ამ წიგნის გამოცემას შიშნარევი მოლოდინით შეჰყურებდა, საგამოცემო გეგმაში შეტანას არ ჩქარობდა.

ერთხელ მწერალთა კავშირში რაღაც კენჭისყრა უნდა ჩატარებულიყო. აკადემიკოსობის გამო რომელიღაც მწერალთან პატარა საარჩევნო ყუთით გამიყოლეს გიორგი ციციშვილმა და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. მანქანაში გიორგიმ მკითხა: როგორაა შენი წიგნის საქმეო? გამომცემლობამ – წასაკითხად ვინმეს უნდა გადასცეს – მეთქი. კონსტანტინეზე უფრო ვინ იცის ის ეპოქაო, თუკი ბატონი კონსტანტინე დროს დაკარგავს და წაიკითხავს, ამაზე უკეთესი რა იქნება-მეთქი. კონსტანტინეს, თანხმობის შემდეგ, ორი საქაღალდე მივართვი.

ერო თვეზე მეტი გაკიდა. დავურეკე. სახლში მიმიწვია, დიდი ამბით მიმიღო, მაქო და მადიდა – კარგი წიგნი დაგიწერიაო, მართალია, მხოლოდ პირველი საქაღალდე წაეიკითხე, მაგრამ მეორეს წაკითხვა საჭირო აღარაა. ეს წიგნი უნდა გამოვიდესო... შეებედე: იქნებ რასაც ამბობთ, დაწეროთ, „მერანი" აჭიანურებს გეგმაში შეტანას, თქვენს დასკვნას დიდი მნიშვნელობა ექნება–მეთქი. დაწერას არ აჯობებს, დღესვე შევიღლი „მერანში" და იმათ მოვახსენებ ჩემს ა'ხრსო...

ვიღაცებს რომ ვუამბე, ცივი წყალი გადამასხეს: როგორ დაიჯერე, რომ „მერანში" მივა (მართლაც ხმა არ დაუძრავს), რა გულუბრყვილო ხარ, იმიტომ დაინტერესდა, რომ გაეგო, მასზე, პროლეტარულ მწერლებზე რაიმე მამხილებელს ხომ არ წერო... მეორე საქაღალდით სწორედ ამიტომ არ დაინტერესდა – იქ პროლეტარულ მწერლებზე არაფერი ეგულებოდაო.

ეს მართლაც ასე გამოდგა. ისე იმ დროს ვინ დამანებებდა სააშკარაოზე გამომეტანა პროლეტმწერალთა „საგმირო" საქმეები: ჩვენი კალსიკოსების აბუჩად აგდება. თანამოკალმეთა ნერვების წეწვა-გლეჯა, პროლეტმწერ-

ლური უნიჭოების მწერლობის მიღწევად გამოცხადება... მაგრამ ტეუილად დამშვიდდა მაშინ კონსტანტინე სტენოგრაფებს შემონახული ჰქონდა ბევრი რამ და აკი მერე და მერე ყველაფერს თავისი სახელი დავარქვი...

წიგნის გეგმაში შეტანა რომ ჭიანურდებოდა, ამან მის, განსაკუთრებით მეორე ნაწილის დახვეწაზე გული ამაყრევინა. ეს ჩემი მიუტევებელი შეცდომა იყო, მაგრამ ასე კი მოხდა...

აქ აუცილებლად უნდა გიამბოთ მწერალთა კავშირის იმდროინდელი თავმჯდომარის ნოდარ დუმბაძის წვლილზე ამ წიგნის გამოცემის საქმეში. მას ჩემმა თანამშრომლებმა, ბიბლიოთეკარებმა დოდო (ელენე) ჩიკვაიძემ და ლაურა დათიაშვილმა გააგებინეს ასეთი წიგნი არსებობსო. ნოდარი ასე მსჯელობდა: ჩვენი ორგანიზაციის წარსული ხომ უნდა ვიცოდეთ? ჩემამდე თავმჯდომარე იყო გრიგოლ აბაშიძე, იმის წინ ირაკლი, უფრო ადრე – სიმონ ჩიქოვანი... სხვა?.. მთელი სურათი ხომ უნდა გვქონდესო...

წიგნის გამოცემას საშველი რომ არ დაადგაგაბრაზებულს მაგიდაზე ხელი დაურტყამს და 1983 წელს, სექტემბერში, ქვიშხეთიდან ჩამოსულს 15 დღე მომცეს წიგნის სასტამბოდ მოსამზადებლოად...

ბოლოს, როგორც იქნა გამოვიდა ეს წიგნი. გამოვიდა და ოთარ ჩხეიძის მწვავე კრიტიკაც მოჰყვა: ჩემი რომანების გაკრიტიკებაში სიზუსტე არაა დაცული, საერთოდ წიგნი მოვლენების მშრალი ჩამოთვლა არისო...

ეს სწორია წიგნის მეორე ნახევრის მიმართ, მაგრამ ეპოქაც მშრალი იყო, თანაც რაც მთავარია, ნახევარი სიმართლის გარდა არაფერს გათქმევინებდნენ. აი, თუნდაც ეს: „ქართველ მწერალთა კავშირის“ დამფუძნებელმა ყრილობამ (1917წ.) აირჩია თერთმეტკაციანი საბჭო. წიგნში ჩამოთვლილია ათი წევრი. მეთერთმეტეს, გრიგოლ რობაქიძეს არავინ გახსენებინებს, ასეთი რამეები უკეთესი დროისთვის შემოინახეო – ადრევე მირჩია ნიკა აგიაშვილმა.

ბატონ ოთარ ჩხეიძეს ოდნავ მიმტევებლობა რომ გამოეჩინა, შეიძლებოდა ისიც აღენიშნა, წიგნის პირველ ნახევარში ზოგი რამ მნიშვნელოვანიც არის გამორკვეულიო.

ამის დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან:

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ათ ტომში ვერ ნახავთ სტატიას „საქართველოს მწერალთა კავშირი“, მხოლოდ 1981 წელს გამოცემულ „ქსე“-ს საგანგებო ტომში „საქართველოს სსრ“ პუტიტით აწყობილ თავში „საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კავშირები“ (გვ. 344) სტატიაში (ი. ქავეარაძე) „საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი“ ნათქვამია: ეს კავშირი 1932 წელს შეიქმნაო (გვ. 34).

ეს გამეორდა 1984 წელს გამოცემულ „ქსე“-ს მეშვიდე ტომში (გვ. 262).

ეს მართალია, „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“ მართლაც 1932 წელს შეიქმნა.მაგრამ მანამდე რომ 1917-1926 წლებში კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით „საქართველოს მწერალთა კავშირი“ არსებობდა, ეთქვათ, ეს არ ეხატათ გულზე.მაგრამ შემდეგ გასაბჭოების გზაზე დაყენებული, საბჭოთა ფუნქციონერის, პროლეტარულ მწერალთა ერთ-ერთი ლიდერის სილიბისტრო თოდრიას თავმჯდომარეობით არსებული, ჯერ „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“ (1926-1928 წწ.), შემდეგ კი „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“ (1928-1932 წწ.) რაღამ დაავიწყათ?

საოცარია, ამ ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ხომ პოეტი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად ორჯერ ნამოღვაწარი (1939-1944წწ. და 1953-1967წწ.) ირაკლი აბაშიძე იყო!..

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ თანამდებობის პირნი განსაკუთრებით განიცდიდნენ კომუნისტური რეჟიმის წნეხისა და კარნახის დაწოლას, ამ შემთხვევაში სწორედ იმ თავისუფალი „საქართველოს მწერალთა კავშირის“ (1917-1926წწ.) ხსენების მოსპობა უნდოდათ.

მართალია, 1983 წელს გამოცემულ „ქსე“-ს მეექვსე ტომში ც. ეიფშიძის სტატიაში კოტე მაყაშვილზე (გვ. 507) წაიკითხავთ: „იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე (1926-მდე)“, მაგრამ აქ მითითებული არაა

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ დაარსების წელი თანაც დაშვებულია უზუსტობანი – კოტე მაყაშვილი იყო თავმჯდომარე „ქართველ მწერალთა კავშირისა“ (1920 წლიდან – „საქართველოს მწერალთა კავშირი“), ხოლო „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“ შეიქმნა 1926 წელს, კ.მაყაშვილის მწერალთა კავშირის გაუქმების შემდეგ. „სრულიადს“ კი იმიტომ გაუსვეს ხაზი, რომ ამ კავშირში პროლეტმწერლებიც შეიყვანეს და მემარცხენე ფრონტელებად ქცეული ფუტურისტებიც.

და კიდევ: არსებობდა „ხელოვანთა კავშირი“, რომლის „მთავარი კომიტეტის“ (და არა „ხელოვანთა სასახლის“) თავმჯდომარე იყო კოტე მაყაშვილი 1921 – 1927 წლებში („საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარეობასთან ერთად).

ამ წიგნზე კიდევ რამდენიმე გამოხმაურებას გაგაცნობთ. ამ გამოხმაურებებში ზოგჯერ გადაჭარბებულ ქებასაც შეხვდებით. არ იფიქროთ ისინი თავის გამოსაჩენად მომყავს. არა, უბრალოდ არ მინდა სიკეთის დაუნახაობა გამოვიჩინო, მსურს მადლიერება გამოვხატო, მადლობის სიტყვით მოვიხსენიო გამოხმაურებათა ავტორები:

ჯანსულ ჩარკვიანი – თუ ისურვებ, ამ წიგნით დისერტაციას დაგაცვევინებო... (სხვა საქმეა, რომ მე ეს ვერ ვქენი);

ირაკლი აბაშიძე – ერთხელ ვახტანგ ბერიძეს წარუდგინა ჩემი თავი: არ იცნობ? მწერალთა კავშირზე მშვენიერი წიგნი დაწერაო;

წარმოიდგინეთ, იმავე მშრალ მეორე ნახევარს, თუმცა დიდი პრეტენზია არა აქვს, მაინც შეუძლია რაღაც დახმარების გაწევა. აკაკი გაწერელიამ ორჯერ მითხრა: შენი წიგნი მოგონებების წერისას თარიღების დადგენაში მეხმარებაო;

ედუარდ ელიგულაშვილი – „ეს-ესაა გამოქვეყნდა რ. კვერენჩხილაძის წიგნი საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიაზე მისი დაარსებიდან 1917 წელს დღევანდლამდე. დროთა – წარსულის, აწმყოსი და მომავლის – კავშირს, ეროვნული ცხოვრებისა და ლიტერატურის უწყვეტელობის

ტრადიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ა'ხრი მსჭვალავს მთელ ამ წიგნს" („ლიტერატურნაია გაზეტა", 1984წ. №31):

1996 წელს მიხეილ ქურდიანმა, რომელმაც წიგნ'ხე მუშაობის დროსაც ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა, შემახსენა: მომავალ წელს მწერალთა კავშირის შექმნის ოთხმოცი წელი სრულდება, იქნებ მოამ'ზადოთ კავშირის ისტორიის მთავარ მოვლენათა ქრონიკაო. უკვე თითქმის მზად მაქვს–მეთქი – ღიმილით ეუპასუხე.

როგორც კი საბჭოთა კავშირში საჯაროობა და გარდაქმნა გამოცხადდა,დავიწყე მწერალთა კავშირის დიდი ისტორიის შევსება-გადამუშავება, საბჭოური პერიოდის საქმიანობის როგორც შემეძლო, ისეთი პირუთვნელობით შეფასება.

ყველაფერი ეს აისახა მწერალთა კავშირის დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ „მნათობში" მთავარი რედაქტორის ცხონებული არჩილ სულაკაურისა და განყოფილების გამგის აკაკი მინდიაშვილის სრული მხარდაჭერით 1997 წლიდან დაბეჭდილ და თამაზ ჭილაძის მთავარი რედაქტორობისას 1999 წელს დასრულებულ, ამჯერად სიმართლის შეძლებისდაგვარად ბოლომდე თქმით, მასალის გადამუშავება-შევსებით, გარანდვა-დახვეწითაც, საბჭოური მწერლობის შეფასებაში კორექტივების შეტანითაც გაუმჯობესებულ „საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიის მთავარ მოვლენათა ქრონიკაში".

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია სამი გამოხმაურება საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიის კვლევაზე:

ლალი ავალიანი – როდესაც 1917 წლის შემდეგ (6. IV. გაზ. „საქართველო") პირველად 1993 წელს მოვახდინე მწერლებისადმი მიმართული ტიციან ტაბიძის „ღია ბარათის" პუბლიკაცია, ეს ამბავი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქალბატონმა ლალიმ ჩათვალა ყურადღების ღირსად და წერილში „საზოგადო ბედისწერა" („ლს", 1993წ. 2. VII) ხაზი გაუსვა იმ დროისათვის ტიციანის ძალისხმევას – ხალხს გაერთიანების მაგალითი მწერლებმა ერთ შემოქმედებით კავშირში გაერთიანებით მივცეთო;

ისევ ლალი ავალიანი, რომელიც წერილში „მწერლობისათვის“ („ლს“. 2001წ. 8-14. VI. №23), ეხება რა გასული საუკუნის 90-იანი წლებში ფასეულობათა გადამფასებლების სიმცირეს, თეიმურაზ მაღლაფერიძის ღვაწლთან ერთად ესეც აღნიშნა: „მწერალთა კავშირის პირველი მემატიანის რევაზ კვერენჩხილაძის უზარმაზარი სამუშაო, იმავე წლებში, მავანმა თავისი ულირსი მიზნებისათვის და ზოგიერთი რეპრესირებული მწერლის სახელის შელახვისათვის გამოიყენა, რამაც კონფრონტაციის ახალი ტალღა ააგორა“;

ლალი ავალიანივით გადაჭარბებულად შეაფასა ჩემი შრომა ანზორ აბულაშვილმა, როცა საუბრობდა საბჭოური პერიოდის ქართული მწერლობის დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების შესწავლაზე: „ამ საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდო მწერალმა რევაზ კვერენჩხილაძემ და არავის აწყენდა ხანდახან მაინც ჩაეხედა წვრილად და ძირისძირამდე მოჩხრეკილ უტყუარ ანალებში“ („ლს“. 1999წ. №44).

მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის ისტორიის კვლევასთან ერთად, მე როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილმა, გულთან ახლო მივიტანე ჩემი მშობლების ბედის თანაზიარი მწერლების მწარე ხვედრი. ეს საქართველოსა და ღმერთის წინაშე მართალი ჩემი მშობლების ხსოვნისათვისაც გავაკეთე.

მწერალთა კავშირის ისტორიაზე მუშაობისას ცალკე ვინახავდი მასალებს მწერალთა რეპრესირებაზე. როცა ზემოხსენებული საჯაროობა და გარდაქმნა გამოცხადდა, უფრო გაბედულად შევუდექი ძიებას.

ამავე დროს აღრე, 1989 წელს, პოეტობასთან ერთად საყოველთაოდ აღიარებული გაზეთ „მამულის“ მთავარი რედაქტორობითაც სახელგანთქმულმა ტარიელ ჭანტურიამ შემომთავაზა: რეპრესირებულ მწერალთა სიები დავბეჭდოთო. ასეთი სია მართლაც გამოქვეყნდა („მამული“.. 1989წ. №8).

მხოლოდ ამ სიის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყეს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლ მწერლებზე ბეჭდვა.

მანამდე მხოლოდ ლადო სულაბერიძემ გამოაქვეყნა ორი პატარა შენიშვნა თავის მეგობარ გიორგი ძიგვაშვილზე („ლს“, 1987წ. 6. III და 1988წ. 25. XI), მაგრამ იქ სიტყვაც არ იყო დაძრული მის დახვრეტაზე (ვინ დაუბეჭდავდა!), ლადო მხოლოდ ლექსებისა და თარგამანების თხელი წიგნის დასტამბვას იხვეწებოდა.

აი, როგორ გამომეხმაურა (1990წ. 12. IX) წყალტუბოდან ცნობილი ექიმი-კურორტოლოგი ოთარ შავიანიძე, 1941 წლის შეთქმულებისათვის დახვრეტილი შალვა შავიანიძის ძმა: „ბატონო რევაზ! საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ დახვრეტილ და რეპრესირებულ ადამიანთა (მოღვაწეთა, მწერალთა, მეცნიერთა) სიების გამოქვეყნებით“.

ჩემს ნარკვევებს განსაკუთრებული ღირებულება შესძინა ლიტერატურულ მუზეუმში მისი დირექტორის პოეტ იზა ორჯონიკიძის დაჟინებული მცდელობით გადატანილი (სამწუხაროდ, მალე წართმეული) შინსახკომის საგამომძიებლო საქმეების 50-მდე ტომის დამუშავებამ მისივე სრული ნდობის გამოცხადებითა და ხელშეწყობით 1991 წლის იკლის-აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში.

გულისხმიერი მომსახურებისათვის მადლიერებას გამოუხატავ აგრეთვე მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მაშინდელი გამგის ციალა გაგნიძის მიმართ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მწერლებმაც, მათ შორის რეპრესიაგადატანილმა მწერლებმა, ნელ-ნელა ამოიდგეს ენა. ბევრჯერ მისაუბრია და ბევრ მეტად საგულისხმო ამბებს მიმხელდნენ ისინი (იხ. დამატება).

1990 წლიდან დავიწყე ნარკვევების ბეჭდვა სხვადასხვა გაზეთებში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში საქართველოს რადიოს პირველი არხით პროგრამა „დროება“ (თამაზ ხმალაძის განყოფილება, წაიყვანი – ზინაიდა მჭედლური) ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში ყოველ ოთხშაბათს გადასცემდა ჩემს საუბრებს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ისტორიისა და საბჭოურ-კომუნისტური პოლიტიკური დაუნდობელი რეპრესიების შესახებ.

ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩა საზოგადოებას. აქ გაგაცნობთ სამ გამოხმაურებას:

1995 წლის მაისში გამართულ საქართველოს მწერალთა XII (XIX) ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ელგუჯა მაღრაძემ თანამოხსენებაში განაცხადა:

„ძალზე საგულისხმო გამოკვლევით წარსდგა მკითხველის წინაშე რევაზ კვერენჩხილაძე. ამ სტატიების სერიალს ეწოდა „რეპრესირებული მწერლები". გამოკვლევა აქამომდე ხელმიუწვდომელ არქივებსა და კერძო პირებთან დაცულ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობ მასალებზეა დაფუძნებული.

სასურველია, მეტიც, აუცილებელია, რომ რევაზ კვერენჩხილაძემ ამ სერიალზე მუშაობა გააგრძელოს და ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ „რეპრესირებული მწერლები" წიგნად დაისტამბოს" („ლს", 1995წ. №24).

1996 წელს გაზ. „სრულიად არასაიდუმლოში" (№4 და 5) მისმა რედაქტორმა მწერალმა გიორგი სანადირაძემ დაბეჭდა ჩემი ერცელი ნარკვევი, გაამდიდრა რა რეპრესირებულ მწერალთა სურათებით. ამას გაზეთის შემდეგ ნომერში (№6) გამოესმაურა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, პოეტი იზა ორჯონიკიძე („ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი"): „რევაზ კვერენჩხილაძე, წესიერი და დინჯი ადამიანი, მწერალთა კავშირის თხოვნით დავუშვი რეპრესირებულთა პერსონალურ საქმეებზე სამუშაოდ.

მე ყოველთვის ვენდობოდი ამ ფუტკარივით მშრომელ და მწერლობაზე შეყვარებულ ადამიანს, ისიც ვიცოდი, რომ ბატონ რეზოს მოქალაქეობრივი ტაქტი არ უღალატებდა... სწორედაც ასე მოხდა, თორემ ისიც არ შემოგვრჩებოდა, რაც რევაზ კვერენჩხილაძის მონდომებისა და შრომის შედეგად გადარჩა"

გურამ გეერდწითელი: „რეპრესირებულთა თემას ამაგი დასდო რევაზ კვერენჩხილაძემ, მაგრამ უკვე სულ სხვა საშუალებით, გამოკვლევების სახით. პირდაპირ შესაშურია ის გულმოდგინება და მეცადინეობა, რომლითაც აქვს

მას მოპოველი მასალები თავისი ნარკვევებისათვის „გვემული მწერლები და მწერლობის მეგობარნი“ (№1-2), „კვლავ უნივერსიტეტელებს თრგუნავენ“ (№3-4), „არც იანიჩრებს ინდობდნენ, არც თავისი ერის ერთგულებს“ (№5-6), „ემიგრაციაში ყოფნისათვის დასჯილნი“ (№9-10), სადაც განსაცვიფრებელი ამბებია მოთხრობილი ჩვენს კოლეგებზე. მწერლებზე და ლიტერატურის მკვლევარებზე: ერეკლე ტატიშვილზე, მიხეილ ზანდუკელზე, მოსე გოგიბერიძეზე, იოსებ მეგრელიძეზე, გიორგი გაჩეჩილაძეზე, ოტია პაჭკორიაზე, გიორგი მაღულარიაზე, თენგიზ ზალდასტანიშვილზე, ოთარ ჩიჯავაძეზე, ლევან ხაინდრავაზე და სხვებზე, რომლებიც თავიანთი პატიოსანი სახელისა და ეროვნული კულტურის სამსახურის გამო არაადამიანურად ეწამნენ ბოლშევიკი ჯალათების მიერ. კითხულობ რევაზ კვერენჩხილაძის ამ ნარკვევებს და გული სიამაყით გევსება, ეს რა შვილები ყოლია საქართველოს, ეს რა მასწავლებლები გვყოლია მათი სახით, ეს რა მეგობრები ყოფილან ჩვენს გვერდით. კი ვიცოდით, მაგრამ არა ასე დეტალურად და ასე დოკუმენტურად, როგორც რევაზ კვერენჩხილაძემ გაგვაცნო“ (მარო მაყაშვილის მაგალითი, „მნათობი“, 1997წ. №7, გვ. 94).

ამასობაში, როგორც იქნა, რედაქტირებიდან ოთხი წლის შემდეგ, 1999 წელს გამომცემლობა „მერანმა“ (რომელიც მწერალთა კავშირისა იყო და აღარც იყო) გამოსცა წიგნი „წამების გზა“ (წ. I).

ამ წიგნის გამოსვლას გამოეხმაურნენ:

როსტომ ჩხეიძე – დადებითად მოიხსენია თავის სატელევიზიო მიმოხილვაში;

ნინო ჩხიკვიშვილი – დაბეჭდა კეთილგანწყობილი რეცენზია „წიგნი წამებულთა შესახებ ანუ „პარტიულებმა ყველაფერი უნდა თქვან!“ („ახალი საქართველო“, 1999წ. 22. IV – 5. V);

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რეზო ჭეიშვილის თაოსნობით მწერალთა სასახლეში გაიმართა ამ წიგნის განხილვა (ზაალ ბოტკოველის ინფორმაცია,

„ლს“, 1999წ. №23);

XX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილმა მკვლევარმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ციციშვილმა თავის წიგნში „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (თსუ გამომც. 2003 წ.) რამდენიმეჯერ დაიმოწმა (გვ. 25, 50, 64, 125, 326) „წამების გზა“ (წ. I) და, ვფიქრობ, გადაჭარბებული ფასი დასდო, მოგაწვდით ამონარიდს ამ შეფასებიდან (გვ. 27-29):

„ჩვენი აზრით, ლიტერატორ-კრიტიკოსების იმ ნაწარმოებებიდან, რომლებშიც შედარებით ფართოდ და ზოგადპრინციპული თვალსაზრისით სწორად აისახა მ. ჯავახიშვილის (და არა მარტო მისი, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა მის მდგომარეობაში მყოფი მწერლის) 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრება და შემდგომი ცხოვრებისეული პერიპეტიები, უაღრესად საყურადღებოა რევაზ კვერენჩხილაძის გამოკვლევა – „წამების გზა“. ავტორმა მოცემული წიგნის სპეციალურ თავში „ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გავხევდი“, წინამორბედი ლიტერატორებისა და ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მეტი ყურადღება დაუთმო მ.ჯავახიშვილის 1921 – 1923 წლების პოლიტიკური ცხოვრების ამოუცნობი და ავად გაგებული საკითხების გააზრებას...“

„ერის ინტერესებისათვის ლეგალური ბრძოლის ისტორია კარგად არის გაშუქებული ქართველი ლიტერატორების დ. თევზაძის, ბ. არველაძის, რ.ხეიძის, ს. სიგუას, რ. კვერენჩხილაძის და სხვა მრავალთა შრომებში“ (გვ. 140).

გრძელდებოდა ნარკვევების ბეჭდვა...

რეპრესირებულ მწერლებზე საუბრებით გამოვდიოდი საზოგადოება „მემორიალში“ (რომლის გამგეობისა და მისი ასეთივე სახელწოდების გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი ვარ), დროდადრო ტელევიზიის სხვადასხვა პროგრამით (აქ მადლობით უნდა მოვიხსენიო ნინო ხოფერია), საპატრიარქოს რადიოთი (წამყვანი –

მსახიობი თამუნა გეგეჭკორი), 2001 წლის აპრილიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირში ჩემს მიერ შემოღებულ და ტრადიციადქცეულ „ლიტერატურული ორშაბათობის“ სალამოებზე ასევე გრძელდებოდა გამოხმაურებანი (ჯუმბერ თითმერია: „შარშან საქართველოს მწერალთა კავშირში ორშაბათობით რევაზ კვერენჩხილაძე ძალზე საინტერესო ლექციების ციკლს კითხულობდა სხვადასხვა დროს დაპატიმრებულ მწერალთა კავშირის წევრებზე“ – „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002წ. 27. I. №22); მამუკა ცეცხლაძე: „აი, ამ ჯოჯოხეთის ამბებს ჰყვება სწორედ, ეს მერამდენე წელიწადია უკვე, ბატონი რევაზ კვერენჩხილაძე ყოველ ორშაბათ დღეს მწერალთა კავშირის კლუბში“ – „ლს“. 2004წ. №6).

ზემოხსენებულთან ერთად განსაკუთრებით უნდა გამოვყო ერთი გამოხმაურება რეპრესირებულ მწერალთა მწარე ხვედრის კვლევაზე:

ჭაბუა ამირეჯიბი (მწერალთა კავშირი. 22 ივლისი, 2003 წელი, „ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღის“ აღნიშვნისას წაკითხული ბარათიდან, „ლს“, 2003. №31):

„უწინარეს ყოვლისა, უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონებს თამაზ წიკლაურს, რეზო ჭეიშვილს, რევაზ კვერენჩხილაძეს, რომელთა ძალისხმევითაც დაწესდა „ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე“, 22 ივლისი, რაც სამშობლოსათვის თავგანწირულთა სადიდებელ დღეს ნიშნავს, რადგან ყოველმა მათგანმა იცოდა რისთვის იბრძოდა და სთელიდა, რომ მათ ბრძოლას სიკვდილი მოჰყვებოდა“.

მას შემდეგ, რაც 200 ეგზემპლარად დაბეჭდილი „წამების გზის“ პირველი წიგნის 90 ცალი მე გავასაჩუქრე (სხვათა შორის, მეორე წიგნიც 80), ხოლო 110 ექვს თვეში გაიყიდა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ წიკლაურს მივმართე: იქნებ მეორე წიგნიც გამოსცენ-მეთქი: ბატონმა თამაზმა ხელადვე მისწერა „მერანის“ ხელმძღვანელობას: გაითვალისწინეთ ამ წიგნის შინაარსი და მწერალთა

კავშირის კუთვნილი დივიდენდების ანგარიშში გამოეცალა.

მაგრამ, დაპირებებს იქით საქმე არ მიდიოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ბატონმა გივი ალხაზიშვილმა მითხრა: მაგ წერილს 18 ასეთი მომართვა მოაყოლა, შენ კი დიდმა მწერლებმა გაჯობესო.

მაშინ თავი შევიკავე, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა: ღმერთმა გვიმრავლოს დიდი მწერლები! მე კი მაჯობეს, მაგრამ „წამების გზაში“ რომ ქართველების საუკეთესო მწერლების აჩრდილები და სული ტრიალებს, იმათ თუ აჯობეს? ანდა რომელი ნამდვილად დიდი მწერალი იკადრებდა ეთქვა: „წამების გზა“ არ გამოსცეთ, ჩემი წიგნი დაბეჭდეთო.

არ უნდა ეთქვა ეს გივის!

ბატონი გივი – ჯობდა ისევე სამართლიანად მოქცეულიყო, როგორც „წამების გზის“ პირველ წიგნთან დაკავშირებით გაისარჯა. რა სჯობს კარგი საქმის კეთებას! აკი ამის გამო მადლობით მოვიხსენიე მეორე წიგნში.

სამაგიეროდ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა თავმჯდომარეობამდეც იზრუნა ამ წიგნის გამოსაცემად და შემდეგაც. ასევე ვემადლიერები პოეტ შარლოტა კვანტალიანს.

მადლიერებით აღვნიშნავ, რომ „წამების გზის“ მეორე წიგნის რედაქტორობის პატივი დამდო ქართული ეროვნული მოძრაობისა და საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების აღიარებულმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ციციშვილმა.

ალბათ ყველაზე ნაღდი შემფასებლები არიან რეპრესიაგამოელილნი – ასეთ ხალხს სიყალბესა და ზერელობას ვერ გამოაპარებ. ერთ-ერთმა მათგანმა, პოეტმა შალვა მჭედლიშვილმა ახალ წიგნზე გამოაქვეყნა რეცენზია „მწერალთა კავშირის მემატიანის ახალი წიგნი „წამების გზა“ („მწერლური ცხოვრება“, 2005 №5), მეორემ, პოეტმა მარი აბრამიშვილმა ლექსად გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები:

რევაზ ჯორჯანიძისადმი — ავტორის წიგნისა — „წამების გზა“

წამებულია ისტორია
ასის შენი „წამების გზა“,—
ეს რამდენი გიშრიმია,
ეს რამდენი მწარე გისვამს!

ავივლია, ჩავივლია,
მაგრამ ჯარს ვინ შეკიდავდა,
ციხე ჯალმით ავიღია,
ზნელ საკნებში შეგიხვდავს.

დაგილანძავს გზები შირი,
ვირაკეტა თუ ყარაგანდა
ლა სიმართლე შენი შრომით
დადიოდა ჯარდა. ჯარ და...

დაფანტულ ჯვალს ამდენ გმირის
ფინც მიაგნო, სწორედ ის ცარ,
სიმნელეში ჩაკეტილი.
ყველა გარეთ გამოვისხამს.

ვისაც ზედმა ამ სიცოცხლის
სატანჯველი ან აკმარა,
ცარ შემკერილი მათი ძმების,—
ზარიქალა, ზარიქალა!

მარი აბრამიშვილი

ვერ ვიტყვი, ეს შრომა არ დამიფასდა. პირიქით, დაბადების 75-ე წლისთავისათვის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 2003წლის 2 მარტის განკარგულებით ღირსების ორდენით დავჯილდოვდი (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2003წ. 5. III), გაზ. „ლიტერატურული საქართველოთი" (2003წ. №40 და 41) მომესალმნენ: საქართველოს მწერალთა კავშირი, ემზარ კვიტაიშვილი, აკაკი გეწაძე და ევგენი აქუბარდია; საზოგადოება „მემორიალის" მესვეურები; გაზეთი „კალმასობა" (რედ. – შარლოტა კვანტალიანი), სიმონ არველაძე (სიტყვა მეგობარს, გაზ. „ქუთაისი" 2004წ. 9-16 დეკ.), ვლადიმერ ასლამაზიშვილი (ხმა ქიზიყიდან, გაზ. „ქიზიყი", 2003წ. №14).

ბევრმა სხვამაც მომილოცა და გულთბილი, გულწრფელი, მაგრამ ცოტა გადაჭარბებული სიტყვები მითხრა.

ყველას – უღრმესი მადლობა!

* * *

ვემადლიერები პოეტებს რევაზ ართილაევასა და ჯემალ ცერცვაძეს ამ წიგნის ხელნაწერში წაკითხვა-სწორებისა და რჩევების მოცემისათვის.

შვილები; შვილიშვილები

ასე მოაღწია დღემდე ჩვენი დიდი სახლეულობის ერთმა ნალეწმა – ჩემმა ოჯახმა, ასე მოვედით დღემდე მე და ჩემი მეუღლე ანა (ზაირა) პაქსაშვილი, ჩვენი შვილები: მაკა, ფილოლოგი, ჩემი სამი შვილიშვილის – ლევანის, ტეუპების სანდროსა და ნიკას დედა და ჩემი ნანატრი ამერიკელი შვილიშვილის, გვარის გამგრძელებელი ალექსანდრე-გედევანის მამა ლევანი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურების ფაკულტეტის (ინგლისურის განხრით) მეოთხე კურსი, გაცვლითი პროგრამით, პირველმა კანადაში, ვიქტორიის უნივერსიტეტში გაიარა, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშია.



ჯაჯი ეგრისელი, ხალ ბოტკოველი, მე, თამაზ წიკვინაძე, დავით ტაქიძე, ნათან ბაბხოვი. მწერალთა სახახლე. 75 წლის თავზე. 2003წ.

ეფგენი აქუბარდია, ფანსულ ჩარკვიანი (თამადა), მე, გურამ ვეერდწითელი, თთარ ბაქანიძე. მწერალთა სახახლე.

ალექს. რაჭველიშვილი, მეგ. მისაია
ხალვაში, ფ. ხერხ. ბ. ბერხალაძე, მწერალთა სახახლე.

ელენიაშვილი, გელა კიკოლაშვილი, ზაალ ბოტკოველი,
ანზორ ხანაშვილი, მიხეილ ქურდიანი. მწერალთა სახახლე.

ლევან და მაკა ალერქანიძილაძეები

შეილი შეილები: სანდრო, ლევან, ნიკა მაღრაძეები ჩიკაგო,
პირველი დღე საზაფხულო სკოლაში 2004 წლის 08 აგვისტო

გიგოშიძე. ალექსანდრე-გედევან და ლევან კვერენჩხილაძეები

სალაპარაკო ინგლისური დღეს აღარაა გასაკვირი,თორემ ლევანმა მანამდეც მართლაც კარგად იცოდა, ინგლისური ენის კათედრის რეკომენდაციით საქართველოს საგარეო სამინისტროში მიღებული, ვიქტორიის უნივერსიტეტის ასპირანტურაში წასვლამდე, მიუხედავად იმისა, რომ სინქრონული თარგმანის არაერთი კურსები არ გაუვლია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან თარჯიმნობას თავს კარგად ართმევდა.

დიახ,ასე მოვედი დღემდე. ჩემი დიდი ოჯახის დამაქცევარი კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის დაშლა–განკითხვის დღესაც მოვესწარი,მათი სისასტიკისა და დანაშაულობათა მხილებით,სიფერაგისა და სიგლახის ჩვენებით გული ეიჯერე, ჩემი წამებული დედ-მამის, უღმერთოდ დაკარგული ძმების სახსოვრად ეს წიგნიც გავასრულე და ცოტათი გულზე მომეშვა და მომეფონა.

მაგრამ ამ ტკივილს ბოლომდე რა გაანელებს!..

დამატება

I

ნარკვევებისა და წიგნებისათვის ცნობების მოღოდება; გამოხმაურებანი

მწერალთა კავშირისა და მწერლების რეპრესირებათა ისტორიების კვლევისას, გარდა იმისა, რომ დამუშავებულია მწერალთა კავშირისა და სხვა არქივების, მუზეუმების მრავალი მასალა, სტენოგრამები, 'მინსახკომის' 50–მდე საგამომძიებლო ტომი, წაკითხულია უამრავი წიგნი, საჟურნალო თუ საგაზეთო წერილი, – დიდ დასმარებას მიწევდნენ, საგულისხმო ცნობებს მაწვდიდნენ, მეხმაურებოდნენ მწერლები, მათ შორის გადასახლებიდან დაბრუნებულნი, რეპრესირებულ მწერლებთან ერთად

გასამართლებული სხვა პროფესიის ადამიანები, მწერლების (მ.შ. რეპრესირებულთა) ახლობლები, არქივების, მუზეუმების, სხვადასხვა საზოგადოებათა, ჟურნალ-გაზეთების რედაქ-ციათა მუშაკები, მკითხველები...

მათი ნაწილი ამ წიგნის ძირითად ტექსტ'ში მადლიერების გრძნობით მოვიხსენიე. სხვებს დამატებაში მინდა მადლობა გადავუხადო.

1. ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის ისტორიის შექმნა – წიგნი „საქართველოს მწერალთა კავშირი" 1917-1982წწ. (1983 წ.)

ა) ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ლხცსა) დაცულ მწერალთა კავშირის საარქივო ფონდზე მუშაობისას გულისხმიერად მეხმარებოდნენ ჩემდამი კეთილად განწყობილი საარქივო საქმის სპეციალისტები, არქივის დირექტორი, ქართული საქმის მგზნებარე და მუხლჩაუხრელი მუშაკი ვახტანგ გურგენიძე (რომელმაც ჩვენი ფონდის საიდუმლო ნაწილის გახსნის კომისიაში მწერალთა კავშირიდან სწორედ მე შემიყვანა) და ჩვენი ფონდის უშუალო მოამაგე და ჩინებული მცოდნე ნანა ქიქოძე;

ბ) ვემადლიერები იმათ,ვინც ამ წიგნის შექმნისას ცნობებს მაწვდიდა, მიზუსტებდა, მამხნევებდა, მაქებებდა. ესენი იყვნენ:

მწერლები – ლადო აქალიანი, სიმონ არველაძე, ამირან გაბესკირია, გიორგი გეგეჭკორი, კლავდია დეკდარიანი, იონა ვაკელი, მამია ვარშანიძე, ილია კაკაბაგი, კარლო კალაძე, გია მარგველაშვილი, კაპიტონ რუსიძე, ლადო სულაბერიძე, ელიზბარ უბილავა, შალვა ფორჩხიძე, მორის ფოცხიშვილი, ირეოდიონ ქავეარაძე, ერემია ქარელიშვილი, ალექსანდრე შანიძე, დემნა შენგელაია, ილია ხოშტარია, ჯემალ ჯაყელი;

მწერლის მეუღლეები: – მერი ქუთათელი; ანიკო ვაჩნაძე;

ლეო ქიაჩელის რძალი ეთერ შენგელაია;

მწერალთა კავშირის უერთგულესი თანამშრომლები – არქივის გამგე – ნინო კლდიაშვილი, დამლაგებელი – ანეტა ჯინჭარაძე;

არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა იმათ:

ა) ვინც თავის ნაშრომში მოიხსენია ჩემი კონსულტაციები, წიგნი და ლიტერატურული წერილები. ესენი იყვნენ (ქრონოლოგიის მიხედვით):

ნ.მშვილდაძე, სიყვარულით ნათქვამი (მითითებულია, რომ გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ ანთოლოგიას „ქართული პოეზია რეა საუკუნის მანძილზე" (მთარგმნელები ადოლფ ენდერი და რაინერ კირში, ნელი ამაშუკელის პწკარედებიდან) თან ახლავს ჩემს მიერ შედგენილი პოეტების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. „კომუნისტი". 1973. 20. I;

ავთანდილ ცოტნიაშვილი, რეცენზია „ერთიან ოჯახში", „საბჭოთა ოსეთი", 1985წ. 13. VII. №155;

კიტა ბუაჩიძე, ნამდვილი ამბავი („ჩემ მადლცხებულ, გათოშილ მეგობარში, გრიპისაგან მისუსტებულ, ჯერ კიდევ სიცხიან ავადმყოფში" მე ვიგულისხმები), „სოფლის ცხოვრება". 1993წ. 16. I;

ლალი მიქელაძე, ღვაწლი კაცისა (მრეწველ და მეცენატ აკაკი ხოშტარიასა და მწერალთა სასახლეზე საუბრისას), „საქართველოს რესპუბლიკა". 1993წ. 26. I;

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ორი ქართველოლოგი:

ჰაინც ფეინრიხი, ცნობარი „ქართველი მწერლები", გერმანულ ენაზე, აახენი, 1993წ. შესავალში – მომიხსენია ცნობების მიწოდება–დაზუსტებისათვის;

დონალდ რეიფილდი (ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი), საქართველოს ლიტერატურის ისტორია, ინგლისურ ენაზე, ლონდონი, ოქსფორდი, 1994წ. შესავალში–

გვ. XI; შენიშვნებში – გვ. 341;

მიხეილ ალავიძე, გაზეთ „სიტყვა და საქმის“ სიახლენი, „განთიადი“, 1994. №1;

ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობის ლიტერატურული ნარკვევები, I, ქუთაისი, 1994წ. გვ. 30;

მალხაზ ჩოხარიძე, ლიტერატურული წერილები, ბათუმი, 1997 წ. გვ. 27, 47;

რეზი თვარაძე, ნაგვიანები ბოდიში, „ლს“, 1999 წ. №22;

სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, ტ. 3, 2003;

ნათან ბააზოვი, XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია, რუსულ ენაზე, 2003 წ. მთარგმნელის წინასიტყვაობაში.

ბ) ვინც პირადი ბარათებით გამოეხმაურა ჩემს წერილებს:

შუშანა ლასხიშვილი, 1980 წ. – ფსევდონიმ „ვარამ გაგელის“ (ტიციან ტაბიძე) შესახებ („ლს“, 1980 წ. №52);

ხათუნა ზუმბაძე, კონსტანტინე გვიშიანი, ალიოშა მიმინოშვილი (1993-1994 წწ.) – მწერალთა ფოტოსურათის პუბლიკაციას „ოსტატები და შეგირდები“ („ლს“, 1993 წ. 11. VI);

ნანი (ჭუჭულა) მიხაკოს ასული გუჯაბიძე, ჩემი ნათესავი, 1996 წ. 3. XI – მისი მეუღლის კარლო ჩხაიძის ნაშრომის სხვის მიერ მითვისებაზე („ლს“, 1996 წ. №50);

ლევან მილორავა – ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის ისტორიაზე ჩემი ნაშრომის ხელნაწერს, 2000 წ. 09. VI.

ფრიდონ ხალვაში (1984 წ. 02. 01) და დომენტი ახობაძე (1984 წ. 16. VII), ცოტა განაწყენებული პოეტები;

მიხეილ ვადაჭკორია, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი (სოფ. ჩანჩეთი, ლანჩხუთის რაიონი);

ავთანდილ ანთაძე, ჩემი მამიდაშვილი, ქეთევან და მიმოზა ბარამიძეები, ჩემი მამიდაშვილის დავით ბარამიძის მეუღლე და ქალიშვილი (სოფ. ჯურუყვეთი, ლანჩხუთის

რაიონი);

ალექსი ბოლქვაძე – ჩემი თანაკურსელი მეგობარი, 1986წ.

2. ნარკვევები და წიგნი რეპრესირებულ ქართველ მწერლებზე („წამების გზა", წ. I – 1999წ. II – 2005წ.)

გამოხმაურება რეპრესირებულ მწერალთა სიაზე:

„რეპრესირებული პოეტი, იურისტი შალვა იოსების ძე ციბელი –ციბაძე" – აცხადებს გაზეთი „მამული". მუხლმოხრილი გიხდით მადლობას ჩემი საყვარელი მამის მოგონებისათვის... ჩემს სიხარულს და გულისტკივილს საზღვარი არა აქვს – ლია შალვას ასული ციბაძე – არსენიძისა, 1989 წ. 8 დეკემბერი".

კომუნისტური რეჟიმის დროს პოლიტიკურ ნიადაგზე რეპრესირებულ შემოქმედთა ბედზე ბევრ რამეს მიამბობდნენ:

ა) რეპრესირებული მწერლები:

მარი აბრამიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ალექსანდრე ბეგაშვილი, იური ბიბილეიშვილი, კიტა ბუაჩიძე, გურამ დოჩანაშვილი, გიორგი კალანდაძე, ოთარ კანდელაკი, რამაზ კობიძე, გოგი მაისურაძე, გივი მაღულარია, შალვა მჭედლიშვილი, დავით ნავროზაშვილი, ალექსანდრე სიგუა, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, ლადო სულაბერიძე, ლევან ხაინდრავა.

ამათგან რამდენიმესთან (რ.კობიძე, ალ. სიგუა) აგრეთვე სოლომონ (ცუგრი) თევზაძესთან ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი ვიდეოფირზე აღბეჭდეს რეპრესირებულთა ბედით დაინტერესებულმა ტელევიზიის მუშაკებმა ჯარჯი აქიმიძემ და კახა მელითაურმა. იმედია, ეს მასალა შემონახულია.

ბ) მწერლებთან ერთად ციხეებსა და ბანაკებში ნამყოფი სხვა პროფესიის ადამიანები:

გივი აბრამიშვილი, აკთანდილ გელაძე, თინათინ

თუშმალიშვილი, ლევან კვაჭაძე, იოსებ მეგრელიძე, დავით ნიკოლაძე, გივი ცინცაძე.

გ) რეპრესირებული მწერლების (და ზოგიერთ სხვათა) მეუღლეები:

ლადო ბალიაურისა – ქეთევან ჭელიძე, დიმიტრი ბურდიაშვილისა – საშა, თენგიზ ზალდასტანიშვილისა – ნატა გულოვანი, ალექსანდრე კალანდაძისა – ნუნუ ხომერიკი, დავით კოპალისა (კოპალეიშვილი) –ნინო, შალვა ღლონტისა – მაყვალა, კოტე ხიმშიაშვილისა – ნუნუ ქადეიშვილი;

შვილები

ბიძინა აბულაძისა – ლია და გურამი, მირიან აბულაძისა – დავითი, გერცელ ბააზოვისა – ნათანი, რომან ბატიაშვილისა – ომარი, ლევან ბეზარაშვილისა – ნინო, ვლადიმერ ბერაძე – „ხოზიკასი“ – მერაბი, დავით თურდოსპირელი – ჩხეიძისა – ლამსირა და მზია, რაუდენ კალაძისა – კარლო, დავით კვიტაიშვილისა – ემზარი, გიორგი კიკნაძისა – ზურაბი, დავით კოპალისა – ნელი, შალვა ლანდიასი – მერაბი, იოსებ მეგრელიძისა – გუბაზი, ნიკოლო მიწიშვილისა – ილამაზი, იოსებ მჭედლიშვილისა – ჯუნა, დავით ონიაშვილისა – ეთერი, ევა ოჟილაურისა – ლევანი, ტიციან ტაბიძისა – ნიტა, კალისტრატე ფირცხალაიშვილისა – ნოდარი, დია ჩიანელი – ჩხეიძისა – რეზო ჩხეიძე, შალვა ციბელისა – ლია ციბაძე – არსენიძე, სიო ჭანტურიშვილისა – ლევანი, მიხეილ ჯავახიშვილისა – ქეთევანი და რუსუდანი; არჩილ ჯაჯანაშვილისა – ნანა;

დები

გიორგი ახობაძისა – ქსენია, მიხეილ საბაშვილისა – თალიკო, ვანო ხალიფაშვილისა – ნინო კუპრაშვილი, კოტე ხიმშიაშვილისა – დოდო ხიმშიაშვილი – ვადაჭკორია;

ძმები

ბენიტო ბუაჩიძისა – კიტა, ლექსო პაპუაშვილისა – გიორგი, ვასო ჩაჩიბაიასი – არჩილი, კოტე ჯოგლიძისა – ტარიელი;

შვილიშვილები

„იასამანისა" – ბაბუას სრული სეხნია მიხეილ კინწურაშვილი, ვარლამ მალაქიაშვილი–ხუროძისა – რამაზ და თეიმურაზ ხუროძეები;

დისშვილები

მიხეილ იმერლიშვილისა – თეიმურაზ ჟურული, მიხეილ კაციტაძისა – დალი; მიხეილ საბაშვილისა – თალიკო;

ძმისშვილი

დავით მეჩონგურისა – ციალა ქარცივაძე;

რძალი

კოკი აბაშიძისა – თინა აბაშიძე.

დ) მე-20 საუკუნის 30-იანი და შემდგომი წლების პოლიტიკური რეპრესიების მომსწრე თუ უფრო ახალგაზრდა თაობის მწერლები: ლადო ავალიანი, ეკგენი აქუბარდია, გივი გეგეჭკორი, ნინო თოფჩიშვილი... აგრეთვე ალიოშა კოკაია.

ე) მოგვიანებით მასალების მოპოვებაში ხელი შემიწყვეს საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული) არქივის დირექტორმა ივანე შენგელაიამ და მისმა მოადგილემ ვაჟა ებანოიძემ.

ჩემს ნარკვევებს რეპრესირებულ მწერლებზე იმოწმებდნენ, იხსენიებდნენ, ეხმაურებოდნენ:

ა) ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში

ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, 1991, გვ. 18;

შალვა მჭედლიშვილი, ერთ-ერთ ლექსს („ორი ნუგეში", „ცისკარი", 1993. №4) წაუმძღვარა შემდეგი სიტყვები: „ეს ლექსი შესანიშნავმა მწერალმა და მკვლევარმა რევაზ კვერენჩხილაძემ მოიძია „სუკის" არქივში" (ამ „შესანიშნავმა მწერალმა" ძალიან უხერხულობაში ჩამაგდო და შემაწუხა);

ნანა ღვინეფაძე, მახსოვს ცისფერი საღამოები, „საქართველოს რესპუბლიკა", 1995. 12. VIII;

დავით ნაგებაია – (ნათან ბააზოვი), Тема научной конференции – Репресии на Кавказе, Вечерный Тбилиси", 2002. 29 – 30. X, №124;

ნინო ჯიქია, ლექსით მებრძოლნი, შესვედრა მარი აბრამიშვილთან და შალვა მჭედლიშვილთან, მომხსენებელი – რევაზ კვერენჩხილაძე, „თბილისი", 2003. 11 – 12. VII;

ასევე ვაფასებ ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის, ქართველოლოგ დონალდ რეიფილდის გამოხმაურებას (დაგეგმილი ტრაგედია. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობაზე. „კრიმინალური ქრონიკა", 1995, ივლისი): „ვემადლიერები რევაზ კვერენჩხილაძეს ამ წერილის ადრინდელი ვერსიის გასწორებისათვის";

ბ) პირადი ბარათით

ქსენია ახობაძე – გელოვანი: „გადაუხდელია თქვენი უანგარო ამაგი 1941 წლის შეთქმულების მონაწილეთა და მათ ჭირისუფალთა მიმართ. ნამდვილად დიდი ეროვნული გრძნობით ანთებულ ადამიანს შეეძლო ამდენი დროის და ენერგიის დაუზოგავი ხარჯვით წარმოეჩინა ნახევარი საუკუნით მივიწყებული, სამშობლოსათვის თავგანწირულ ნიჭიერ ახალგაზრდათა ჩანაფიქრი შეთქმულება, რითაც შეგიძლიათ იამაყოთ, რაზედაც

დიდ მადლობას გიხდით... ეს ჩანაწერები წიგნად უნდა გამოქვეყნდეს".

3. მწერალთა კავშირის ისტორია და რეპრესირებულ მწერალთა მწარე ხვედრის კვლევა

იმისათვის, რომ ბევრი ვეცადე და ვიღონე, რათა შემექმნა:

ა) ერთი მხრივ, საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის (მ.შ. ხშირად სამარცხვინო და საშინელ დადგენილებათა ცხოვრებასა და მწერლობაში გამტარებელი, მაგრამ მაინც უფრო მეტი ქართული ეროვნული საქმის მკეთებელი საბჭოთა მწერლების კავშირის) მართალი ისტორია;

ბ) მეორე მხრივ, საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დახვრეტილ თუ ციხეებსა და „გულაგის" ბანაკებში ნაწამებ, ცხოვრებისა და ბიოგრაფიის გასაფუჭებლად, მისაჩუმათებლად და დასავიწყებლად განწირულ ქართველ მწერალთა 120–კაციანი ჯგუფის ნამდვილი, დაუმახინჯებელი, დაუმსახურებელ ბრალდებათა ლაქების მომხსნელი ისტორია;

გ) ბოლოს, საკადრისი მიმეზღო მწერალთა ორგანიზაციასა და მწერლობაში თუ ტოტალიტარული რეჟიმის სამსახურში შავი საქმეების მკეთებელთათვის, –

ბევრ კეთილ სიტყვებს მეუბნებოდნენ:

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები – გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ელგუჯა მაღრაძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ცოცოშვილი, თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი;

ჩემი ამ საქმიანობის ხელშემწყობნი გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციიდან: ვანო ამირხანაშვილი, დავით კახაბერი, უჩა შერაზადიშვილი, მურმან ჩარუა;..

ეურნ. „განთიადის" რედაქციის კოლექტივი – ავთანდილ ყურაშვილი, თემურ ამყოლაძე;

მარიკა ბარათაშვილი, ანა კალანდაძე, ოტია იოსელიანი,

აკაკი გეწაძე;

ბონდო არველაძე, ხაალ ბოტკოველი, ჯემალ ინჯია, კარლო კობერიძე;

ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფ. ნინო მახათაძე;

საზოგადოება „მემორიალის“ მესვეურები: რეპრესირებულთა შვილები – აკადემიკოსები მინდია სალუქვაძე და ბაადურ რაჭველიშვილი, ზურაბ რცხილაძე, ილამაზ მიწიშვილი, გურამ სოსელია, ნიკა ჩიქოვანი, ევგენი (კუკური) დევდარიანი, ზურაბ ბაბუნაშვილი;

„ლიტერატურულ ორშაბათობათა“ საღამოების მონაწილე მწერლები: რევაზ მიშველაძე (გახსნა, შესავალი სიტყვა...), ავთანდილ ადეიშვილი, რევაზ ართილაყვა, ნათან ბააზოვი, ნოდარ ბაქრაძე, გიორგი გიგაური, ალი გუგუციძე, ვაჟა ეგრისელი, ჯუმბერ თითმერია, იური კახნიაშვილი, ჯანსუღ კორძაია, რაფიელ მამულაშვილი, ვალერიან მოსაშვილი, ლადო მრელაშვილი, თამარ პაპიაშვილი, აპოლონ ჟორდანია, შალვა საბაშვილი, თენგიზ სვანიძე, გუგული ტოგონიძე, შოთა ქავთარაძე, რევაზ ჩხარტიშვილი, ჯემალ ცერცვაძე, ქეთევან ჭილაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ტარიელ ხავთასი;

„ლიტერატურულ ორშაბათობათა სხვა მუდმივი მონაწილენი: ეთერ ციციშვილი, ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე ჯიბო ლომაშვილი; მკვლევარები – პაველ თოფურია, გელა საითიძე, ოთარ ჯანელიძე; აფხაზეთის მწერალთა კავშირის თანამშრომელი ციცო (ნათელა) გიგიტაშვილი, ციალა ბრეგვაძე;

ნინო ეღენტი: „საქართველოს მწერალთა კავშირში ტრადიციულ „ორშაბათობებს“ მართავს ხოლმე ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი რევაზ კვერენჩხილაძე. იგი საუბრობს რეპრესირებულ მწერლებზე, მათ ბედკრულობაზე, ხშირად არ ერიდება იმათ დასახელებასაც, ვინც ეს ხალხი ნებსით თუ უნებლიეთ გასწირა. არასოდეს, ამ საუბრებში ბესო ეღენტის სახელი უარყოფითად არ გაეღერებულა“ („საქართველოს რესპუბლიკა“. 2003. №138).

სოხუმიდან დევნილმა მწერალმა, აფხაზეთში უგზოუკვლოდ დაკარგული შვილის, ახალგაზრდა მწერლის გიჩა აქუბარდიას მამამ, ევგენი აქუბარდიამ „ლიტერატურული ორშაბათობის“ საღამოებზე კომუნისტური პოლიტიკური რეპრესიებით სვეგამწარებულ საქვეყნოდ

სახელგანთქმული თუ ნაკლებად ცნობილი მწერლების ბედზე საუბრების შესახებ თქვა: „რეპრესირებულთა მწარე ხვედრზე წუხილი, მათი ტკივილების გაზიარება, მათი არდაკარგვა მეც მიოხებს გულს, ჩემი ტკივილებისა და საწუხარის გაზიარებადაც მიმაჩნია, ჩემდამი, ჩემი სადარდებლისადმი გამოჩენილ ყურადღებადაც ვთვლი და მალამოდ ედება შვილის გაუჩინარებით დამძიმებულ და ნატკენ ჩემს გულს...“

ისევე როგორც აქ ჩამოთვლილმა ადამიანებმა, ორმა პოეტმაც გადაჭარბებით შეაფასა ჩემი საქმიანობა:

რევაზ კვერენჩხილაძეს

ხალხს ამ უბრალო ექსპრომტით,
მსურს შენი თავი ვუჩვენო:
ბევრი რამ დააკლდებოდა
მწერალთა კავშირს უშენოდ.
ისე უხდები მწერლების
ამ უსაყვარლეს სასახლეს.
არათუ თავმჯდომარენი, –
მიქელაც არ გაგასახლებს...
კარგები აქვ, ადიდე,
ცუდები – მწარედ დასახრე.
ზარმაცი თანამშრომელი,
კვლავ შენებურად დასაქმე!..
ხალხს ამ უბრალო ექსპრომტით,
მსურს შენი თავიც ვუჩვენო:
ბევრი რამ დააკლდებოდა,
მწერალთა კავშირს უშენოდ!

აეთანდილ მეგრელიშვილი
1994წ.

ბრძენ და ნაცადი დასტაქარივით
მამულის წყლულებს თავს დასტრიალებ,
დიდწამებული ქართველ მწერლების
სწორუპოვარი მემატიანე

ხან მეჩვენება, წიგნს კი არ წერდი,
ერს უშუშებდი მწვავე იარებს
და სანამ ბოლო დასვამდი წერტილს
შენც წამების გზა გამოიარე.

ამირან მიქაუტაძე
საახალწლო სალაღობო
სტრიქონები, „ლს", 2004წ. №4

აგერ ახლა, 2005 წელს, ჩემმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა ალექსი ბოლქვაძემაც ლექსად გამოხატა თავისი მადლიერება ჩემს მიერ ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის და კომუნისტური პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დაღუპულ-დახვრეტილ თუ ციხეებსა და გადასახლებაში წამებულ მწერალთა ისტორიის შექმნის ცდისათვის:

რევაზ კვერენჩხილაძეს

საბჭოურმა წყობილებამ
ოჯახითაც არ დაგინდო,
შენ კი წიგნი დაუწერე
ქართველ მწერლებს სამაგიდო.
შენ მწერალთა ისტორია
დაგვიწერე საკუთ, სრული,
ჩააქსოვე მთელი შენი
ცოდნა, ნიჭი, გული, სული.
დაგვანახე გულაგების
ჭეშმარიტი არსიც, ხედიც,
ისტორიის ჯურღმულებში
ასე ნათლად ჩაგვახედე.
გმადლობთ, ასე რომ ახსენებ
წამებული მწერლის სახელს.
და აჩვენებ კაცისმკვლელთა,
ბარბაროსთა ნამდვილ სახეს.
უხმაურო ფუტკარივით
მოფუსფუსე კაცი გახდი,

იმედი მაქვს, კომუნისტია
ბევრ დაფარულს ფარდას ახდი.
გყოფნის ძალა, ცოდნა, ნიჭი,
გაუსწორო დრო-ჟამს თვალი,
ეგებ შეძლო გაისტუმრო
თუნდაც ოდნავ მშობელთ ვალი.
მამა გაქრა... დედამ ნახა
საბჭოური სუსხის გემო,
მათი სულის სახსენებლად
შენ იცოცხლე, რევაზ ჩემო.

ალექსი ბოლქვაძე

II.

ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი ლიტერატურული წერილები; ნარკვევები რეპრესიებზე

1. ლიტერატურული წერილები, რეცენზიები:

„ლიტერატურული გაზეთი“

შენიშვნები ახალგაზრდა მწერლებზე – 1954წ. №6

„ბალადა მიწის გაცოცხლებისა“ (თ. ჯანგულაშვილზე) – 1954წ.№25

აჭარის ლიტერატურული ალმანახი – 1955წ. №29

მძაფრი და დახლართული სიუჟეტების ძიებაში (ალ. ჯიქიას რომანის „დაკარგული სამაჯურის“ შესახებ) – 1955წ. 2. IX

მეგობრობის სიმღერები – შ. ამისულაშვილზე – 1956წ. №34

მეგობრის თვალით (ნ. გურეშიძეზე) – 1957წ. №19

მესხეთის ბუხრები (შ. ლომსაძეზე) – 1958წ. №14

ახლის ძიებაში (შ. ამისულაშვილზე) – 1959წ. №13

პოემა აშულ მგოსანზე – ნ. გურეშიძისა და ნ. წულეისკირის თარგმანზე –1959წ. №21. VIII

ზღვის მუშაკნი და ქართული მწერლობა (ა. ლომიძეზე) – 1962წ. 20. VII

„ლიტერატურული საქართველო“

ოსტატები და შეგირდები (ძველი ფოტო) – 1993წ. 11. VI

ამბად მაინც ვოქვათ – 1994წ. №4

პოეტის (შ. მჭედლიშვილის) საიუბილეო საღამო – 1994წ.29. IV

სირცხვილი! (გერმანულ ენაზე ჰ. ფენრიხმა ცნობარი „ქართველი მწერლები“ ოპერატიულად შეადგინა და გამოსცა, ქართულად კი, ისე გაუქმდა მთარგმნელობითი

კოლეგია, XX ს. ქართველ მწერალთა ცნობარ-ლექსიკონის გამოცემა არ გეადირსა) – 1994წ. 17. VI

ო. კანდელაკის საღამო (ხელმოუწერელია) – 1994წ. №30

ქართულ სიტყვაზე მლოცველი (დ. მეჩონგურე – ქარცივაძე) – 1994წ. 26. VIII

ტრადიციების სიმდიდრე და სიმძიმე – 1995წ. №6

შერისხული ლექსების საღამო (ხელმოუწერელია) – 1995წ. 15–22. XII

მცირე რეპლიკა (აჭარული პლაგიატი) – 1996წ. №50

ჯურღმულებში დატყვევებული სულის გოდება (ე. აიდარაშვილის წიგნზეა – 1999წ. 30. VII

საქართველოს მწერალთა კავშირი (ენციკლოპედიისათვის) – 1999წ. №40

აღდგენილი ფურცლები („ახალ საქართველოში" გამოტოვებული) – 1999წ. 3-10. XII

საუკუნის სინდისი (კ. ბუაჩიძე; მეც ვაწერ ხელს) – 2000წ. №8

რატომ დაუკრა ანდრია ბალანჩივაძემ... ჭორების მოყვარულთათვის (მწერალთა კავშირზე გავრცელებული ჭორების წინააღმდეგ) – 2000წ. №16

პასუხი არის (თ. კვაჭანტირაძის დასაცავად) – 2000წ. 19-25. V

მწერლის ანდერძი აღსრულდა (ლ. ავალიანზე) – 2000წ. 19-25.V

ყოველ ჯგუფობრიობაზე მაღლა მდგარი (ისევ მწერალთა კავშირის დიდი მიზნისა და იდეალისათვის შექმნის თაობაზე) – 2000წ. №42

ვინ აჩუქა სასახლე მწერლებს? – 2000წ. №43-44

ღია წერილი ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს – 2000წ. №17

სადაურსა სად წაიყვან... –წყალტუბოელ ტაჯიკ მხატვარზე – 2001წ. №20 (გადაბეჭდა „წყალტუბომ" – 2001წ. 13. IX. №31)

გეშინოდეთ ისტორიის! – რ. მიშველაძეზე – 2002წ. №20

ერთი უსუსტობის გამო (გ. შარაძის წერილის ცნობაზე – გრიგოლ რობაქიძე საქართველოს მწერალთა კავშირის თაემჯდომარე იყოო – „ლს", 2002წ. №19) – 2002წ. №23

შუა უზის დიდი ზღვარი (რევაზ მიშველაძეზე) – 2002წ. №25

მეგობართა თანაკარსკვლავედი (სიმონ არველაძის წიგნზე „უცხოელი თავისიანები“) – 2003წ. №26

„არკა“ თუ „თაღი“ – 2004წ. 23 – 29. VII

ინფორმაციები „ლიტერატურულ ორშაბათობათა“ გამართვაზე – 2001-2004წწ.

თანაგრძნობის ბარათი – პოეტს (ჯარჯი ფხოველს) 2006წ. №2

„მნათობი“

სიუჟეტი და მხატვრული სახე – 1957წ. №4

თანამედროვე ქართული პოემა – 1958წ. №11

ზოგი რამ პროლეტმწერალთა ათწლიანი ბატონობის ისტორიიდან – 1992წ. №4

საქართველოს მწერალთა კავშირი. მთავარ მოვლენათა ქრონიკა (კავშირის დაარსების 80 წლისთავი) 1997წ. №7 – 12; 1998წ. №1 – 12; 1999წ. №7-8

„ცისკარი“

მხატვრული სახე და პოეტური ოსტატობა – 1958წ. №8

ოოლი გზა – 1959წ. №7

„ახალგაზრდა კომუნისტი“

გულწრფელი სტრიქონები (ზ. ლორთქიფანიძეზე) 1958წ. №48

მოთხრობები ახალგაზრდობაზე (გ. სანადირაძეზე) – 1967წ. №7

პირველი წიგნის მიღწევები და ნაკლი (მ. ხერგიანზე) – 1967წ. №33

„საქართველოს ბუნება“

მწერალი, მონადირე (ა.ლომიძეზე) – 1967წ. №4

„სოფლის ცხოვრება“

მშობლიური ბუნების მომღერალი (ა. ლომიძეზე) – 1967წ. 10.VII

„საბჭოთა აჭარა“

ცხოვრებისეული მოთხრობები (ნ. მოდებაძეზე) – 1969წ. 7. VI

გულწრფელი ლირიკული პოემები (ზ. გორგილაძეზე) – 1969წ. 23. VIII.

„ექსპრესი ტბილისი“

მშობლიური სოფლიდან – ლიტერატურაში (ბ. ხოსიტაშვილზე) – 1974წ. 8. XII

„საქართველოს აგიტატორი“

მხატვრული სიტყვის შთამაგონებელი ძალა – 1976წ. №6

„კრიტიკა“

სიმღერა ჩემი ვალია (ო. ჭელიძეზე) – 1977წ. №1

ლიტერატურული პაროდიები ანუ ფუნაგორიები – 1992წ. №2-3

„სიმართლე“

კიდევ ერთხელ სიზუსტის შესახებ (მწერალთა სასახლესა და „პოეზიის დღეზე“) – 1990წ. №4

„ალგეთი“

1937 ანუ რას გვიამბობენ სტენოგრამები – 1992წ. №1; 1993წ. №1-2 (ვერ დასრულდა ალმანახის გაუქმების გამო)

„საქართველოს რესპუბლიკა“

სანამ უნდა გაგრძელდეს უდოკუმენტოდ რაიმეს მტკიცება („პოეზიის დღესა“ და მწერალთა სასახლეზე)– 1992წ. 28. VII

„მამული“

გზის არჩევა (ი. გედეონიშვილსა და ვ. ტუქსიშვილ-ჩოხელაშვილზე) - 1993წ. საიუბილეო.

„თბილისი“

თენგიზ ბუაჩიძის ნეკროლოგი(ხელმოუწერელია) – 1994წ. 29.V

„პოეზიის დღე“

აღდგენილი ტრადიცია („პოეზიის დღის“ შესახებ)– 1995წ. 15.X

„რეზიკონი“

ლიტერატურული პაროდიები ანუ ფუნაგორიები – 1887წ. №68

„მესამე ნაპირი“

ღმერთო, გვაშორე ასეთი „კეთილმოსურნეების“ დაბრუნება – 1999წ. №28

„ახალი საქართველო“

...და გაჩნდა წყალტუბოში ხელოვნების ქუჩა – (ო. იოსელიანის ლიტ. პორტრეტი) 1999წ. №32, 33

ქართველი მწერლები კომუნისტური წნეხის ქვეშ – 1999წ. №36, 37, 38.

ქართველი მწერლები წნეხიდან თავის დაღწევის შემდეგ – 1999წ. №39, 40

„ორბეთი"

„საქართველოს მწერალთა კავშირი – 1937წ. – 2000წ. №3-4

საქართველოს კომპარტიის, ჩეკასა და ცენზურის ზოგიერთი საბუთი –2001წ. №1-2

გამოხმაურება რუბრიკაში „ჩვენი ორბეთი" –2001წ. №1-2

„ქიმერიონი"

ჩემო ძველო მეგობარო (ს. არველაძე – 80) – 2001წ. მარტი

(აგრეთვე წიგნში „ვარდისფერი უღელი", ქუთაისი, 2001წ. გვ. 166-168)

„განთიადი"

მეოცე საუკუნის ქუთაისის სამწერლო ჯგუფები და ორგანიზაციები – 2002წ. №1-2, №3-4, №5-6; 2003წ. – №1-2, 3-4, №5-6; 2004წ. – №1-2, 3-4, 5-6, 7-12.

„მწერლური ცხოვრება"

2005წ. №8 – ყალბი დიდებით მოსილთა გამკილავი ფუნაგორიები.

2. ნარკვევები და ინტერვიუები რეპრესირებულ მწერლებზე

„მამული"

1989წ. №8 – რეპრესირებული მწერლების სია
1990წ. №4 – – " – – " – – " –

„ზარია ეოსტოკა“, 1990წ.

28. III – პროროსლა სკეოს გოდი პრავდა (ი. გრიშაშვილზე)
15. IV – ონ ნაზეალ სებია „მეჩონგურე“ (დ. ქარცივაძესე)
13. VII – იხ უდალოს სპასტი (დ. თურდოსპირელი-ჩხეიძე, „იასამანი“ – მ. კინწურაშვილი, ა. ფაღავა).
რუბრიკაში: „სჩიტატ რეაბილიტიროვანნიმი“

„ერი“

1991წ,
21. VIII - პროსპექტი

1992წ.
24. I რეპრესირებული მწერლები (შესავალი)
1. II – თავისუფლებისათვის თავგანწირულთა დამტირებელი (ი. მჭედლიშვილი)
28. II – თავგანწირული („მეჩონგურე“ – დავით ქარცივაძე)

„სიმართლე“, 1992წ.

№14 – ჯერ აწამეს, მერე გაამართლეს (ლ. ძიმისტარიშვილი – ლაშა ტბაური...)
№18, 19 – 1941 წლის შეთქმულება (კ. ხიმშიაშვილი, გ. ძიგვაშვილი, გ. ქადაგიძე, კ. ბუაჩიძე, გ. კალანდაძე...)
დეკემბ. – იძულებითი განმარტება

„ლიტერატურული საქართველო“

1992წ.
№37 – ი. გრიშაშვილი
№38 – 1924 წლის განუკითხაობა
№39 – ლ. გოთუა

№40 – ხანჯალშემართული ჩოხოსანი (კ. გამსახურდია)
№41 – ა) პროლეტმწერალთა თავეკაცი (ბ. ბუაჩიძე)
ბ) რეცენზენტი-გამომძიებელი (გ. შატბერაშვილი)
№44 – ა) მოკლული შთაგონება (ტ. ტაბიძე)
ბ) არ დაუხვრეტიათ, მაგრამ მაინც რეპრესიების მსხვერპლია (პ. იაშვილი)
№46 – ა) „ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გაეხეედი" (მ. ჯავახიშვილი)
ბ) ერთ-ერთი შავჩოხოსანი (ვ. კოტეტიშვილი)
№50 – ა) ბედით თანაზიარნი (შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვუკ. ბერიძე)
ბ) ორნი შინსახკომის სალტეში (გ. ბააზოვი, პ.სამსონიძე)

1994
№49 – მ. აბრამიშვილისა და შ. მჭედლიშვილის ნაპატიმრალი ლექსების პუბლიკაცია

1995წ.
№10 – გამომცემლობა „მერანის" გეგმა – ჩემი წიგნის გამოცემის შესახებ

2001წ.
№26 – შეხვედრა საზოგადოება „მემორიალში" რეზო ჭეიშვილთან (ჩემი ინფორმაცია)
№52 – ეკლიანი გზით – დიდებისაკენ (ჭ. ამირეჯიბი)

2002წ.
№29 – იყოს ეს დღეც! (საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღე)

2004წ.
№27 – სეედიანი საღამო (მუსტაფა შელიაზე)
№28 – გულმავიწყობა თუ გულგრილობა? (რეპრესირებულთა ხსოვნის დღის აღუნიშნაობაზე)
2001 – 2004 წწ. – ინფორმაციები „ლიტერატურულ ორშაბათობათა" საღამოებზე.

„განთიადი“

1994წ.

№9-12 – დაუმორჩილებლობის ბილიკებით (ა. ბობლია-შვილი, ლ. ბალიაური, ს. სულაკაური...)

1995წ.

№1-2 – გზაარეულნი (ჰ. ქიქოძე, ფ. ნარიოუშვილი, შ. შავგულიძე, კ. ფეოდოსიშვილი-ვეკუა)

2000წ.

№5-6 – ლიტერატურის სალონის საქმე (მ.აბრამიშვილი, შ. მჭედლიშვილი)

„მემორიალი“

1995წ.

№2 – ემიგრაციიდან დაბრუნებულის ხვედრი (ნ. ინასარი)

1998წ.

№2 – „... ახალგამოელენილ გარემოებათა გამო“ (არამწერლებზე)

2000წ.

№1 – მემედ აბაშიძე, უსამართლობის მსხვერპლი

„მნათობი“

1996წ.

№1-2 – გვემული მწერლები და მწერლობის მეგობარნი (მ. ზანდუკელი, ე. ტატიშვილი, მ. გოგიბერიძე, ი. მეგრელიძე, გ. გაჩეჩილაძე...)

№3-4 – კელავ უნივერსიტეტელებს თრგუნავენ (გ. მაღულარია, ო. პაჭკორია...)

№5-6 – არც იანიჩრებს ინდობდნენ და არც თავისი ერის

ერთგულებს (ი. ვარდინი-მგელაძე, მ. უზნაძე, შ. ღლონტი).
№9-10 – ემიგრაციაში ყოფნისათვის დასჯილნი (ო. ჩიჯავაძე, ლ. ხაინდრავა)

1997წ.
№1-2 – „საქთამექა“ (ო. და გ. მაისურაძეები, მ. ოქროპირიძე...)
№3-4 – საკნებსა და ბანაკებში გამოცდილი მეგობრობა (ო. კანდელაკი, ა. ბეგაშვილი)
№6 – ძველი რევოლუციონერები ახალი რევოლუციის მსხვერპლნი (ს. თალაკვაძე, რ. კალაძე, ბ. ბიბინეიშვილი)

„სრულიად არასაიდუმლოდ“

1996წ.
4,5 –წამების გზა (საერთო მიმოხილვა)

1998წ.
4,6 – ერთმანეთისა და ათასების მსგავსი ბედი (ნ. მიწიშვილი, პ. საყვარელიძე)

„ახალი თაობა“

1998წ. (მთელი წელი) – მასალები ჩემი ნარკვევების მიხედვით
1999წ. I-II და XI-XII
2005წ. №68 – ბოლო წუთამდე ვითმინე, არ მინდოდა მიხეილ ჯავახიშვილის სახელი სასამართლოში გაჟღერებულიყო (გასაუბრება შორენა კოწოწაშვილთან)

„ცისკარი“

1998წ. №8 – „სიზმარში მესმის – კარებთან ყვირით: „ციხის უფროსო,გვაჩვენე მამა!“ (დ. კოპალი-კოპალეიშვილი)

„აჭარა“

1998წ. 6. VI – რეპრესირებული მწერლების ბედი მაეალებდა (ჟურნალისტ ლიკა არაოშიძის საუბარი ჩემთან)
2000წ. 11. VI მემედ აბაშიძე, უსამართლობის მსხვერპლი („მემორიალიდან“ გადაბეჭდეს მიუთითებლად)

„რეპრესიათა სისხლიანი ქრონიკები“

1999წ. №1,2 – 1941 წლის შეთქმულება (არ დამთავრებულა გაზეთის გამოცემის შეწყვეტის გამო; ბედოელათმა რედ-გამომცემელმა №1-ში ჩემს ნაცვლად აეტორად რევაზ ჩხარტიშვილი გამოაცხადა – მისი იქნებაო,უთქვამს მასაეით ასევე ბედოელათ ბელთაძეს,თითქოს ჩემი გვარი არ ეწერა დედანზე)

„ლანჩხუთი-პლუს“

1999წ. №25 – რეპრესირებულთა ნათესაეებს მოვუხმობთ (იქაურ „ლანჩხუთის მოამბეში“ დაიბეჭდა ჩემი მიწოდებული გვარები – ჩემი მამიდაშვილის აეთანდილ ანთაძის „იქნებ ამოიცნოთ“ – 1999წ. №10)

„ახალი ერა“

2000წ. №46 – ლექსებით ელაქუცებოდნენ ავაზაკებსა და ნაძირალებს.
2000წ. 29. VIII – საქართველოს ხსენებაც აკრძალული იყო (მესაუბრა – ნინო კვიტაშვილი)

„ახალი 7 დღე“

(მასალები მომზადდა ჩემთან საუბრით)

1999წ.
10 – 16. XII – 1941 – როგორ დახვრიტეს საქართველო ქართველთათვის

2000წ.

№45 – „მე ვარ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე“ (მ. ზანდუკელი, ე. ტატიშვილი, მ. გოგიბერიძე, ი. მეგრელიძე)

№46 – შაეხოხოსანი (კ. გამსახურდია)

2001წ.

№1 – სამსონ ფირცხალავას მოწამის ხვედრი

№47 – „ლომი ბორკილს არ იგუებს, ან მოკვდება, ან იმეფებს“ (დ. კოპალი)

№48 – სამშობლოს სიყვარულისთვის მისჯილი 83 წელიწადი (ჭ. ამირეჯიბი)

„ქვირის პალიტრა“

2001წ. №19-25. II – დრო, როდესაც საქართველოში ეშმაკი დაჯირითობდა (საუბარი ჟურნალისტ დავით გრძელიშვილთან)

„არგო“

2001წ. №27. III – 2. IV– სად გაქრა შინსახკომის საგამოძიებო მასალების 50 ტომი? (მესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი)

„სარკე“

2001წ. №24 – „მე დავბრუნდები ჭადასახლებიდან, თქვენ – არა!“ (შეთქმულთა დაღუპული იმედები. ჟურნალისტი ირინე მჭედლიძე)

„ასაეალ-დასაეალი“

2001წ. №5 – დახვრეტა მიმოწერის უფლებით (მ. ჯავახიშვილზე ჩემი მასალებით)

„მეოთხე“

2002. №3-10. V – რეპრესირებულთა გზები – იოსებ მჭედლიშვილი; ცნობები ჩემზე (ჟურნალისტ ეკა ბიბილაშვილის ნარკვევი ჩემი მასალების მიხედვით)

2003. №5-12. IX – როგორ იკერებოდა საქმეები ცნობილ ადამიანებზე (ჩემი ნაამბობის მიხედვით მოამზადა მარი ჩიტაიამ).

„თბილისი“

2002წ. №20. VII დავით კოპალის შვიდი პატიმრობა (ჩემი ნარკვევის მოკლე შინაარსი, გადმოცემული ციალა ბრეგვაძის მიერ)

„მართვე“

2002წ. №2 – ინტერვიუ რეზო კვერენჩხილაძესთან – ლაშა მესხი

„დიოსკურია“

2003წ. №7 – ორი ნარკვევი სოხუმელი მწერლების ანდრო ჟვანიასა და მოსე გვასალიას რეპრესირებაზე

„მწერლის გაზეთი“

2004წ. №18 – მიხეილ ჯაკახიშვილის „თაღლითი“ დამცველის დაგვიანებული პასუხი (მანანა ხომერიკს)

„მწერლური ცხოვრება“

2005წ. №2 – რეპრესირებულ მწერალთა მემორიალი მწერალთა კაკუშირის ეზოში.

III.

ახალგაზრდობაში ნაკარჯიშევი

სამი ლექსი
ჩანახატები
ქტიუდები

აკტორი – ღირს კი ამის დაბეჭდვა?
რეჟისორი – რატომ უნდა დაიკარგოს?!

მთვარე ღრუბლებში

შორი გზიდან მომავალი მთვარე
სერზე შეჯდა – შეისვენა პატარა,
გზადაღლილსა სწყურებოდა მწარედ
მოიყუდა პირზე ღრუბლის მათარა

1947 წელი იელისი

სამხრეთულ მზის სითაკარეს
შენ არ არიდებ თვალებს,
სიღრმე და ეშხი გადარევს
მაგ თვალთა მოთვალთვალეს
ხარ ქართული მზით დამწვარი,
შეფაკლული გაქვს ღაწვი,
ბევრს გაუჩინე ხანძარი,
ბევრი უცეცხლოდ დაწვი
მზის სხივი და სიალენი
ჩაჰბუდებია თვალებს,
მაგ თვალთა მოთვალთვალენი
ვოვალე და ვერ დავოვალე.
ბევრჯერ ხარ მზისა მნახავი,
მზეც შენით ბევრჯერ ხარობს,
მაინც ხარ მზეოუნახავი
მზეთუნახავი ხარო.

მუზეუმი, საჭურველთა პალატა

ხმლები ისვენებს აქ წინაპართა,
ერთ დროს მსხეპავნი მტერთა მაჯების,
ომში გასვლის წინ შენააჯები,
ახლა აქაა, წარსულს ჩაბარდა.
    გორდებს დუშმანთა ძვლებზე ანალესს
    მტრის გვამი ჰქონდათ მუდამ ქარქაშად,
    ვინც მოინდომა გაეპარპაშა
    ჩვენს მიწა წყალზე – ზრახვა ანანეს.
აი, ეს ხმალი, რკინა ქართული,
ფხაპირდაპირი, არშემპარავი,
ჩვენი ლამაზი ქვეყნის მფარავი,
მტრისადმი მარად ზეშემართული.
    ქართული რკინა მტრის შემზარავი,
    ბევრი ჩაგრული მან შეიხიზნა,
    ხალხთ დამონება არ ჰქონდა მიზნად,
    არც უმონებდა მამულს არავის!
რა ჯიშის ხმალს არ უმსხვრია ვადა,
ბევრის კაშკაში მან გაახუნა,
თურქული ხმალი წელში გაღუნა,
ირანულს დაჰკრა, დაჰკრა ავადა.
    გადასტებოდნენ ბრძოლაში ყაენი,
    ელავდა ხმალი გადაქნეული,
    ზვინებად ეწყო ქართული დაშნით
    შეაგაჩეხილი მტერთა სხეული...
ერეკლე მეფის თვალივით მიმზერს
მდუმარე ლულა მისი სიათის,
ო, არაერთხელ მტერი ზვიადი
დასცა სიკვდილის ბეჭედით პირზე.
    ჩამოტანილი აქ ბეთლემიდან
    ვაეა ჯურხაის ფარი ურიალებს,
    ომის წადილებს ქარიშხლიანებს
    გამოჰყავს იგი მძიმე თვლემიდან...

განახავთ და გულში დგება ულევი
სიმხნევე (აბა, გულს მეტი რა სურს!)
ვამაყობ, რადგან ღირსეულ წარსულს,
შვილებიც ეყავართ ღირსეულები!

ქ.თბილისი, 1948წ.

* * *

წიგნისათვის წასული ამხანაგთან. შემოსავლელი გზა იყო, ხიდით უნდა გადასულიყო. მან პირდაპირ გადაჭრა, მდინარეში გავიდა და გაცივდა...

როცა გამოკეთდა, გარეთ გამოვიდა, აკაციის მორის დაპობა დაიწყო. ნაავადმყოფარი მაინც ძლიერ იქნეოდა ცულს...

მოიქნია და თითქოს მთელი გულღვიძლი ამოაყოლა, ისე მოაწვა ყელში რაღაც, ამოახველა, ყელი ამოეფხაჭნა და... ნახველში არეული სისხლი გადმონათხია...

24. III. 1949წ.

* * *

კინაღამ მიეესალმე, ისე ჰგავდა ჩემს ძმას. თავს დროზე მიეუსწარი – უკვე ვიღიმებოდი და ტუჩებიც დაძრული მქონდა სიტყვის სათქმელად.

1949წ.

* * *

ექიმი ხანშესული ქალია, სახის გამომეტყველება – ამაყი, თმა – ზევით ავარცხნილი, დახვეული...

ზის მაგიდასთან, ქაღალდებში ჩაძირული.

– თქვენი გვარი? – იკითხავს იგი. თავს, უკეთ თვალებს ზევით ასწევს, როცა პაციენტი შეპოვა.

– დაბრძანდით – და კელავ იძირება ქაღალდებში, ან

ესაუბრება კოლეგებს, რომლებიც ყოველ საჭოჭმანოზე მასთან მიირბენენ, ისიც ასწავლის...

ზიხარ და გგონია სულ დაავიწყდი...

გაივლის რამდენიმე წუთი. წამოდგება,

სარკეში თავის თავს შეათვალიერებს. ეს დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ მისთვის საკმარისია თვალის ერთი გადავლებით უმნიშვნელო ცვლილება შენიშნოს სახეზე.

ალბათ ამ დროს ყოველთვის ფიქრობს – დაებერდი?..

– არა! – წაიკითხე მის სახეზე, როცა ჩემსკენ გამოემართა.

* * *

იგი მსხვილია, საშუალო სიმაღლის, ბეჭებში წახრილი. ეს არასწორი სიარულისა და სიზარმაცის ბრალია.

ხელები პალტოს ჯიბეში უწყვია. მიაბიჯებს და ფეხის გადადგმასთან ერთად რიგ-რიგობით იდაყვში ოდნავ მოხრილი მკლავები განზე გავარდება – ანთებული პაპიროსის მიდებისას რომ შეკრთება, სწორედ ისე შემკრთალი მირბის განზე მისი მკლავები...

21.IV. 1949 წ.

* * *

იგი იყო ისეთი, როგორიც მე წარმომედგინა ჩეხოვის კაცი ფუტლიარში: რაღაცნაირი შემკრთალი სახე ჰქონდა და პატარა სახეზე დამჯდარი წვრილი თვალები, რომლებიც ხაფანგში გაბმულ მელიასავით დაფეთებული იყურება აქეთ-იქით...

საერთოდ პატარა ტანის კაცია. აცვია პალტო. ამხანაგს ხშირად რუსულად ესაუბრება. როდესაც რაიმეს დაილაპარაკებს ან გააკეთებს, უმალ აქეთ-იქით გაიხედავს, ეშინია, არ შემნიშნონო...

ლაპარაკობს დაბალ ხმაზე, წყნარად, მშვიდად...

22. IV. 1949 წ.

* * *

მის დანახვაზე ცხვარი გამახსენდა...

დღესაც დავინახე და თვალწინ ხელად ცხვარი წარმომიდგა. მისი თავი ისე ძალიან ჰგავს ცხვრის თავს ცხვარს რომ ეუნახო იმ კაცის თავი,დიდად არ გაკვირდები: გულუბრყვილო სახე აქვს, მშვიდი, დიდი თვალები, სახის მოყვანილობაც ცხვრისაა, თმახუჭუჭა, დაბალი, ფერადშავი...

27.VI. 1949 წ.

* * *

კოჭლი გოგონა ბავშვებთან თამაშობდა. რაღაც თქვა, ალბათ, სიცრუე, რადგან მეორემ მაშინვე დაუწყო კამათი და გამარჯვებულის კილოთი მიახალა: – ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო.

კოჭლი აიბუზა, თვალზე ცრემლები მოადგა – მოკლე ფეხი შენ თვითონ გაქვს... მე დამცინი ხომ...

– ა, ა! უყურეთ, ბავშვებო, მე ანდაზა ეუთხარი და მან თავის სიკოჭლეზე მიიღო, ეითომ დავცინოდე...

– კოჭლებისათვის ვინ დაგცინებს, გოგო!

ანდაზა სიცრუეს დასცინის, ვერ მიხვდი?..

23.VIII. 1949. ბახმარო.

* * *

„ნუ გეშინია ცოლშვილო: აიხედავ მაღლა – ცაა, დაიხედავ დაბლა– მიწაა, სიმინდი ნალიაშია, თაეი ოდაში გეაქვს...“

ოდა კი მესამე დღეს თავზე დაემხო...

24.VIII. 1949 წ.

* * *

გამეცელი მამა ისეთი სერიოზული სახით ესაუბრება შვილს (შვილი კი პატარაა, 8-10 წლისა), როგორც ტოლი

ტოლს ან უფროსს: სერიოზული სახე, გამომეტყველება, სერიოზული ჟესტი...

შვილიც ძლიერ, ძლიერ სერიოზულად უსმენს...

ჩემს გვერდზე მდგარმა ახალგაზრდამ ამხანაგს გადაულაპარაკა:

– სერიოზული მამილო და არანაკლებ სერიოზული შვილიკო!..

1952 წ.

* * *

ლიტერატორის ტიპი: მომაღლო, ემჩნევა ტიპი. აცვია თეთრი შარვალი და თეთრი ფეხსაცმელი, ასურავს ჩალის ქუდი. ხელში პორთფელი უჭირავს. ბოლთას სცემს, თითქოს რაღაც უკვირს და მუდამ იბერება. მკვირცხლი თვალები აქვს, ტუჩებზე გადმოდებული ულვაშები. შუა ხანს გადაცილებულია (ბორის სერებრიაკოვი)

* * *

ჩანთას ხელი დაავლო და გაიქცა...

ყინვიანი დილა იყო. გაითოშილია ყველაფერი, რაზა ისე მიუყინავს, რომ ჭიშკარი ვერ გააღო – ბავშვის ძალა ვერ მოერია...

– მამა! მამაა!

მამა საქონელს ჩალას უჭრიდა და ნაჯახის კაკუნში, ჩალის შრიალში ძლივს გაიგო ბავშვის ხმა.

– ჭიშკარი ვერ გავაღე – ოითქმის შესტირა ბავშვმა. თანაც ხმაში იგრძნობოდა შეშფოთება – სკოლაში არ დამაგვიანდესო...

1949 წ. ხორეთი

ზამთარი
(ეტიუდი)

შუაღამემდი წვიმდა. დილის ნათელს კი მიდამო თეთრი ნაბადით დაფარული შეეგება, ბარდნის ხვავრიელად. ფანტელები ხან ალმაცერად მობარბაცებს, ხანაც ჰაერში შეჩერდება, შეგუბდება და მერე უცებ გაიფანტება... ზევით ჭუჭყიან ბამბის ფთილას ჰგავს, ხელის გულზე დამაჯდა და თეთრია, თანაც როგორი თეთრი!..

მიწა გადათეთრდა. მხოლოდ ხის ძირებში მოჩანს შავი ზოლი – მისი ხვედრი თოვლი ხეებს უტვირთიათ. ხეთა გაშიშვლებული ტოტები თეთრ ხილაბანდში გახლართულა. მანდარინისა და ფორთოხლის ტოტებს კი თავები ჩაუქინდრავს – მწვანე ფოთლებზე თოვლი დახვავებულა... თოვლი და სიმწვანე!..

ბუხარი გუგუნებს, ალი იგრიხება, იკლაკნება... ფანჯრის მინის მიღმა თოვლით დაბარდნილ მანდარინის ხეების ფონზე ბუხრის ორეული მოჩანს, ალი ლაპლაპით იკეცება და იშლება. ათოვს ალს, ათოვს, ათოვს და არ დნება...

ფანტელების რია-რიაში სერი გაურკვეველად, მოჩვენებასავით მოჩანს... ყრუდ იჭექა თოფმა და ხმა გაღმა გორას მიაწყდა – სასიმინდედან ბელურები ამოფრინდნენ...

ყურშა თოვლში კოტრიალობს...

ვაშლის ხე კანდელივით დგას, მის აშოლტილ კენწეროებზე თოვლი სანთლად ჩამოქნილა, აენთეთ თოვლის სანთლებო!..

თოვს... მოფარფატებს, მოქანაობს თოვლის მსუბუქი ფანტელი, რწევით წვება მთებზე, ველებზე, სახურავებზე, ტოტებზე... წვება ჩუმად, უხმაუროდ, წვიმამ კი რა ხმაური იცის, ჩხრიალი!.. ჩუმია თოვლი, ჩუმი და წყნარი...

თოვს... თოვლის ფიფქები ნელი რწევით მოირწევა დედამიწისაკენ. მხოლოდ შავი კვამლი მიიკლაკნება ზეცისაკენ საკვამურებიდან... დაე, წავიდეს!..

...თოვა შეწყდა, გაყუჩებულა თეთრად გადაბარდნილი მიდამო. ზეცა კი ჩამომძიმებულა შავი ღრუბლებით. საკვირველია, ასე შავი ღრუბლებისაგან ასე თეთრი, სპეტაკი თოვლი როგორ მოდის...

თეთრ ნაბდებში გამოწკეპილი ხეები მშვიდად დგანან.

კენწეროები მოუხრიათ, თითქოს თავს უკრავენ ახლადმოსულ თოვლს.

მძიმედ დახრილი შეირხევა, თოვლს არეკლავს, მერე ლიდხანს ირხევა მსუბუქად.

გადათეთრებული მიდამოს ფონზე ისე მკაფიოდ ჩანს ზეციისკენ ლტოლვილი შაკი კვამლის გრეხილი, რომ მხატვარსაც კი შეშურდება...

გაზაფხული
(ეტიუდი)

მარტი წვიმაში გაილია. წვიმაში ილვიძებდა ბუნება, წვიმისა და სუსხისაგან გაციებულ ნუშს ტანზე გამოჰყარა, რამდენიმე დღის მერე თვალმა შეამჩნია უამრავი პატარა წითელი კვირტი.

წვიმდა... თითქოს ზამთარი ახლა იწყებოდა. წვიმდა და იმდენი იწვიმა, რომ ნუშის კვირტებს ჩამორეცხა წითელი ფერი და თეთრი გული გამოაჩინა, კვირტი ლეკვდებოდა.

...ახლა მზიანი დარია და ალისფერ-თეთრად შეფეთქილ ნუშს ფუტკრები დახვევია. მოდის სიტკბო, მოდის გაზაფხული!

მზეს ეფიცხება ყველა. ქალები ჩვილ ბავშვებს ბაღში დაატარებენ, ხანშესულ კაცს, ალბათ ბაბუას, ბიჭუნა ხის ტოტზე შემოუსვამს და აქანავებს, მეორე ბიჭმა თოფი აიღო და ვითომ კურდღელს ეპარება...

გრძელი სკამის თავსა და ბოლოში, მზის ყურზე ხანდაზმულები სხედან და თვლემენ. ცელქი ბიჭუნა ბაბუას დაუსხლტა, სათამაშო საყვირით ჯერ ერთ მოხუცს ჩასძახა ყურში, შემდეგ – მეორეს...

მოსარკულ – მოკრიალებულია ცა, მხოლოდ შუაგულზე ღრუბლის ნაფლეთები გამწკრიყებულა წეროებივით – ჯერ დიდი, მერე პატარა, უფრო პატარა, სამი, ოთხი და ბოლოს... მაგრამ ეს ხომ მთვარეა, დღის ნათელზე გაფითრებული მთვარე ღრუბლის ნაგლეჯს რომ ჰგავს და თვალმაც ვერ გამოარჩია...

ცდუნება გემბანზე

გემის საყვირმა გაბმით მესამეჯერ დაიღმუვლა,გემბანზე და ნაპირზე ურუანტელის მომგვრელმა ჩოჩქოლმა იმატა, ერთდროულად აფრიალდა ათობით ცხვირსახოცი...

აი,ვაუმა,გემბანის მოაჯირზე რომ გადმოწოლილა,ვარდი ესროლა ნაპირზე აშოლტილ ქალიშვილს. ქალიშვილმა კი მხურვალე ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ვაუს – ტანადსა და ლამაზს, შავქოჩორასა და კოხტა ულვაშებიანს. ქალ-ვაჟი თვალებით ჭამენ ერთმანეთს...

ღუზა უკვე ამოღებულია, უკანასკნელი ბაგირიც მოხსნილია და გემი შეტორტმანდა, ნელ-ნელა სცილდება ნავმისადგომს.

კელავ ახალი ძალით იფეთქა ჩოჩქოლმა, გემბანზე და ნაპირზე ფერად-ფერადი მანდილების ფრიალმა და ტკაცუნმა ზღვის ნიავს ძალა შეჰმატა.

ვაჟი თვალმოუცილებლად შეჰყურებს ნაპირზე მდგარ ქალიშვილს, იგი სხვას ვერაფერს ხედავს, მას სხვა არაფერი ესმის, მხოლოდ ის, მხოლოდ ის, მისი ბედნიერება, რომელსაც შორდება, რომელთანაც განშორება გულს მტკივნეულად უკუმშავს. კაეშანშემოწოლილი ვაჟი, წვრილ ბოძზე ხელშემოჭდობილი, გარინდული გასცქერის ნაპირს, სადაც ჯერ კიდევ ჩანს მშვენიერი ასული, მისი სიყვარული და სიხარული...

ნაპირი თანდათან პატარავდება, მგზავრებმა ოდნავ მოინელეს განშორების ნაღველი და შეწყვიტეს ხელების ქნევა, ისინი უკვე ველარ არჩევენ ნაპირზე დარჩენილ გამ-ცილებლებს, ნელა-ნელა მოსცილდნენ გემბანის მოაჯირს, მზერა და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანეს. მხოლოდ ის ჭაბუკი ისევ იქ დგას ბოძზე ხელშემოჭდობილი და კელავ ნაპირს გასცქერის თვალნაღველიანი, გულკაეშნიანი...

ნაპირი კი სულ უფრო და უფრო პატარავდება და ბურუსში ეხვევა...

კარგა ხანი გავიდა. უეცრად ჭაბუკი გარინდებიდან მომხიბლავმა ხმამ გამოიყვანა:

– გეტყობათ, ძლიერ დაგენანათ ვიღაცასთან განშორება...

ჭაბუკმა მიიხედა და ცისფერთვალება, სათნო სახის, ტანწერწეტა ასული ჯეირანივით ყელმოღერებული აისვეტა

მის წინ.

„ო, ღმერთო, რა ლამაზია, რა მშვენიერია“ – გაუელვა ჭაბუკს. ეს იყო პირველი და გულწრფელი შთაბეჭდილება, მაგრამ შემდეგ, თითქოს შერცხვა, თავს სიმართლეში რომ გამოვუტყდიო და არაფერი უპასუხა.

ასული კი იდგა და უღიმოდა, იდუმალებით სავსე იყო მისი ღიმილი...

ვაუმა იქით მიიხედა, სადაც თვალს მიეფარა ნაპირი და სადაც დატოვა თავისი სანუკვარი ოცნება.

მაგრამ ცისფეროვალება ასულის ახლო ყოფნამ სული აუფორიაქა: „რა უნდა... იქნებ გაცილებისას დაგვინახა და ახლა უნდა მაცდუნოს? თავისი ეშხის სიძლიერე გამოსცადოს?.. ან მგზავრობისას რომ არ მოსწყინდეს, ფლირტით თავი გაირთოს?..“

ჭაბუკმა კვლავ მოიხედა, ისევ მომხიბლავი ღიმილი შეეგება. „რა მშვენიერია, ეს წყეული!“ გაიფიქრა ჭაბუკმა, იგი ვეღარ არჩევდა გემი ტორტმანებდა, მისი გული თუ ორივე ერთად...

„რა უცნაურია ეს ცხოვრება, რაღა მაინცდამაინც ახლა შემახვედრა ეს მშვენიერი ასული? რა არის ეს, ცდუნება თუ სხვა რამ?.. რაც არ უნდა იყოს, იგი მშვენიერია. მაგრამ ისიც მშვენიერია, აი, იქ, ნაპირზე რომ დავტოვე, ჩემზე რომ ფიქრობს და მასზე ფიქრმა რომ მომინელა. ოო, ვერ გავუძლებ ამ განშორების ნაღველს, გული მეკუმშება და მეწურება... ისევ ჯობს ცოტა გული გადაეყოლო...“

ჭაბუკმა დაბნეულად მიმოიხედა და კვლავ იმ ცისფერთვალება ასულის წარმტაც ღიმილს შეეფეთა, შეხვდა და ისევ ძალუმად განიცადა გემის ტორტმანი, თვალები მოსჭრა, მზერა მოარიდა და ზღვას გაჰხედა, მაგრამ მზით აჭრელებული ტალღების ლიცლიცმაც ატკინა თვალები...

მოიხედა და ისევ ცისფეროვალება ასულის მომხიბლავ ღიმილს გადააწყდა: ახლა უფრო მომხიბლავი და უფრო მიმზიდველი იყო, თანაც განშორებით კაეშნისაგან თავის დახსნას მოწყურებულმა გულმაც ეს არჩია... და ჭაბუკმაც გაუღიმა ცისფერთვალება ასულს...

ნავსადგური ჯერ კიდევ შორსაა, ვინ იცის იქ მისვლამდე როგორ ამინდს დაიჭერს, რამდენჯერ შეირყევა და შეტორტმანდება გემი...

* * *

ორ ბატს ვერ მიმწყესავს და კლუბის გამგედ ვინ დასვაო, იტყოდა სარდიონის მნახველი. შუახნისაზე ცოტა მეტისაა იგი. ცხვირში ლუდლუნისა და მორყეული კბილებით ჩიფჩიფის გამო ძნელად თუ გაუგებ რისი თქმა უნდა. ერთმა ჩვეულებამ ხომ სასაცილოდ აქცია სოფლის ახალგაზრდობის თვალში – ფეხზე მდგარს, წარმოდგენის ყურებისას ხშირად ჩამოეყვინთება და ცხენივით თელემს. ვერა და ვერ მოიშალა ეს ჩვეულება. თავის საქმეს კი წესიერად უძღვებოდა...

გზის პირას თუთის ხეები ალვის ხეებმა შეცვალეს. ტანაშოლტილ ალვებს ციებიანივით აცახცახებდა შუადამის ნიავის ოდნავ ამოსუნთქვაზე. ციებიანის ფერი დაჰკრავდათ მთვარის შუქზე.

მყუდროებას მოეცვა ყველაფერი. ყოთლების შარიშური და ღელის წყლის ჩხრიალი თითქოს არღვევდა ამ სიწყნარეს, მაგრამ მეორე მხრივ მეტ იდუმალებას და მდუმარებას მატებდა ღამეს.

არავინ ჩანდა. მხოლოდ სარდიონი მიფრატუნებდა შარაზე, თან თელემდა, თან რაღაცას დუდღუნებდა. მოელემარემ თავის ეზოს ჩაუარა და ჭიშკარს ჩასცილდა. ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, გამოფხიზლდა, ხელი ჩაიქნია, რაღაც ჩაიბურტყუნა და უკან გამობრუნდა.

* * *

როცა მეტი სიმტკიცე მჭირდება, საქართველოს კლდეებს შევხედავ;

როცა მსურს სიდინჯე განვიმტკიცო, ჩვენს ქედებსა და მთაგრეხილებს მივაჰყრობ მზერას;

როცა მწადია დიდსულოვნება მომეპატიოს, საქართველოს დიდებულ მთებს შევავლებ თვალებს;

მუხლები რომ არ მომიდუნდეს, მწვერვალებისკენ შევუყვები შეღმართებს;

როცა მწყურია ფილტვები სუფთა ჟანგბადით გავავსო, მთის ჰაერს დავეწაფები.

როცა იმედი და მხნეობა შემომაკლდება, მთათა თხემებს თვალს გაეუსწორებ და იმედიც ჩნდება, სიმხნეევეც მემატება;

ბევრის მომსწრეა მტკვარი

მტკვარში ჩაუხედავს პირველ თბილისელს;
მისთვის გაუნდვია მწარე ფიქრები სამშობლოს ბედით გულდამწუხრებულ ქართველს;
მისი ტალღები ბევრჯერ შეღებილა მტრის სისხლით და მომხდურთა გვამებიც ბევრჯერ ჩამოუტარებია მეტეხის კბოდესთან, მის ზვირთებში ისიც გამოსარკულა, თბილისი რომ იწვოდა...
მტკვრის ზედაპირს ისიც აურეკლავს, როგორ შენდებოდა თბილისის სასახლეები, ციხე-გალავანები და საყდრები...

პატარა მეზღაპრე

ბავშვი დიდს ზღაპარს უყვება:
– ძაღლი გამოეკიდა მელიას და კუდი მოაჭამა...
– ოჰ, ოჰ, რა უქნია, არ ეტკინა მელიას?
– არაა, ოხერია – სრული სერიოზულობით უმტკიცებს პატარა.

წკიპურტები

„წონა მაქვს 81 კილოგრამი, კუჭი – რკინის, ნამდვილი ასპირანტის – დილის მერე მშიერი ვარ“...

მაშინ ნალებიანი ფეხები ჰქონდა – უცოლო იყო.

– მუხრანიდან ხარ? ახლოდან ყოფილხარ – ერთი მათრახი რომ გადაიქნიო, იქაურ ცხენს ააჭიხვინებს.

* * *

სოფლის სასადილოს ოფიციანტი. როცა მოსწავლეები შედიოდნენ სასაუზმოდ, მზარეულს გასძახებდა: გაათხელე! როცა სკოლის, სოფსაბჭოს მუშაკები, ან უცხო ვინმე შეივლიდა – გაასქელე, გაასქელეო!

მუსიკოსი

ძონძრიოხა ტანი. კოჭლი, დიდი თვალები, ქუთუთოებს ქვემოთ ჩამობერილი კანი. დიდი, მოკაუჭებული ცხვირი. დიდრონი, მეჩხერი კბილები. ნიკაპს ქვევით ჩამოშვებული ღაბაბი. შეთხელებული, მოწაბლისფერო, პარიკივით აფუებული თმა, უკან გადავარცხნილი, კისრამდი ჩადის და შემდეგ უკან ამოპრეხილია. უზარმაზარი ხელები, მოქმედება, სიარული – ნელი...

მოხუცი

უყვარს ბაღში ჯდომა, მთელ დღეს იქ ატარებს მასავით ძველ, გაცრეცილ ხანდაზმულებთან საუბარში...

მატარებელის სარკმელი

ჩარჩოში მინის მაგივრად ლურჯი ცაა ჩასმული

მოხუცი ქალი

ტრამვაისთან როგორც შეეძლო, ისე აჩქარებით მიაღწია მოხუცმა ქალმა. ხელში ჯოხი ეჭირა, ცხვირზე პენსნე ჩამოსწოდა. იყო მაღალი, ხმელი...

– შემეშველეთ, ბიჭებო! – აჩქარებული, სუსტი ხმით ჩაილაპარაკა, თანაც ხელი ტრამვაის სახელურს ჩასჭიდა...

ახალგაზრდები მიეშველენ. მოხუცმა ისინი შეათვალიერა და რატომღაც რუსულად ჩაილაპარაკა: შეიძლება ჩემი მოწაფეებია...

* * *

ხომ მრავალჯერ გინახავს: ნაკადული ერთვის ღელეს, ღელე პატარა მდინარეს, პატარა მდინარე – დიდს და ეს უკანასკნელი – ზღვას...

მაგრამ დახედეთ ამ პაწაწკინტელა ნაკადულს, პირდაპირ ზღვაში არ ჩადის! პირდაპირ ზღვასთან, ამ უკიდეგანო სტიქიასთან არ გაუბედავს მისვლა?!

* * *

აქამდე ჩემზე რომ იტყოდნენ ბავშვიაო, არ მწყინდა გუშინწინ კი გული მეტკინა. რატომ? არ ვიცი...

მე და ჩემი მეგობარი ლიზიკო თეატრში ვიყავით. აქ მისი ბიძაშვილი შეგვხვდა. იგი ჩვენზე უფროსია, სტუდენტია. მან თავისი ამხანაგი გაგვაცნო. მუნჯივით იდგა ის ვაჟი, ზედაც არ შემოგვხედა. მერე ყური მოვკარი როგორ უსაყვედურა მას ლიზიკოს ბიძაშვილმა: რამ დაგადუმა, უთხარი რამეო.

ვაჟმა უპასუხა:

– რა ველაპარაკო ბავშვია...

რატომღაც მეწყინა, რატომღაც ვიუკადრისე. გამკილავად შევათვალიერე ის ვაჟი, მისი სასაცილოდ აგდება მომინდა. შევნიშნე: გალსტუკი უშნოდ ჰქონდა გამოსკვნილი და მასზე გადავუჩურჩულე ლიზიკოს. მერე მარტო რომ დავრჩით, ლიზიკოს ყველაფერი დაუფარავათ მოვუყევი, ვკითხე შენ თუ გამოგიცდია ასეთი რამ მეთქი. ლიზიკომ ჯერ გაიცინა, მერე შერცხვა, გაწითლდა და ძლივს ჩაილუღლუღა:

– რა ვიცი... ამაზე არ მიფიქრია... – ერთხანს იყუჩა, ბოლოს გაუბედავად თქვა – რომ გამეგონა, მეც მეწყინებოდა...

გუშინაც სულ ამაზე ვფიქრობდი. სარკეშიც კი შევათვალიერე ჩემი თავი.

თითქოს განგებო, დეიდაჩემი გვესტუმრა. მე რომ დამინახა, წამოიძახა:

– შენ შემოგევლოს დეიდა, აგერ გუშინ ბაკშვი იყავი და უკვე დაქალებულხარ, დამშვენებულხარ!..

მომეხვია და გულში ჩამიკრა. რაღაც სხვანაირად

მომიალერსა. ბავშვად რომ მთელიდა, მაშინ მეფერებოდა, ახლა კი მისი ალერსი სულ სხვანაირად მომეჩვენა.

მთელი დღე ვფიქრობდი ამაზე. რატომ მეწყინა, იმ ვაჟმა ბავშვად რომ ჩამოვალა? რატომ თქვა დეიდაჩემმა დაქალებულხარო? რატომ...

იმდენი ვიფიქრე ძილში სიზმრად ჩამყვა ეს ამბავი.

მესიზმრა ვითომ ნაძვნარში შევედი. ხეებს ქალის სახე ჰქონდა. ტოტებს ქალის ნაზი მკლავებივით არხევდნენ. სად ვარ – მეთქი გავიფიქრე. ვიღაც უხილავის ხმა შემომესმა:

– საქალეთში შედიხარო.

იდუმალი და მიმზიდველი იყო ეს ნაძვნარი. რაღაც გამოუცნობელმა სურვილმა ამიტაცა და გამაქანა ტყის შუაგულისაკენ.

მალე ნაძვებს ალვის ხეები შემოერია. იმ ალვის ხეებს ვაჟების სახე ჰქონდა. თეთრ ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილი და საოცრად იზიდავდნენ სულსა და გულს. ეს კი სავაუთიაო ჩამჩურჩულა იმავე იდუმალმა ხმამ და უცნაური ურჟოლა მომგვარა. საოცრად შეერთდა ეს ხეები, გადაიხლართა გზები და ბილიკები... მე კი მივდიოდი და მივდიოდი ტყის სიღრმეში, გული წინ მიმიწევდა, აი იქით, სადაც იდუმალების ნისლით დაბურული ხეივნებია, იქით, საითაც ეს ბილიკი მიდის, აი იმ ალვის ხისაკენ, ტანწერწეტად, მომხიბლავად რომ შრიალებს, თვალს მიკრავს და ხელებს მიქნევს.

თავბრუს მახვევს ყვავილთა სურნელება და მათრობს.

მივყვები ბილიკს, მაგრამ, აი, იგი სხვა ბილიკს შეერწყა და გადაეხლართა. რომელია ჩემი ბილიკი? ძნელია გამოცნობა. რომელს გავყვე: პირველს, მეორეს თუ მესამეს? ერთი იავარდითაა მოფენილი თეალით დასანახავზე, მეორე ყაყაჩოებით, მესამე ეკლებით იწყება... ზოგი ბილიკი აღმართს მიუყვება, ეს ბილიკი ციცაბო კედელს მისდგომია, ის კი – უფსკრულს... ღმერთო ჩემო, ხომ შეიძლება გზა ამერიოს!.. შემეშინდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი დიდი ძალა მაინც წინ მიბიძგებდა.

– ფრთხილად იარე, გზა არ აგერიოს – ჩამჩურჩულებდა ვიღაცის კეთილი ხმა.

ამ შიშსა და წუხილში, ტყის იდუმალების გაგების

სურვილის დაძლევა-ვერდაძლევაში გამომეღვიძა კიდეც. აფორიაქებული ვიყავი. იმის შემდეგ რიგიანად ჯერაც ვერ დავმშვიდებულვარ...

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, იმ ვაჟის ნათქვამი რომ მეწყინა: ბავშვიაო.

განმარტოებით დგას ბებერი მუხა

ჩემი სოფლის ერთ მხარეს ქედია აღმართული. რომლის კალთები ტყით მდიდარია. წიფელი და წაბლი, ცაცხვი, მარადმწვანე წყავი და შქერი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ჯიშის ხეთა ფესვები, ტოტებია ერთმანეთში გადახლართული, დაჟინებით რომ ეპოტინებიან და ეჭიდებიან სიცოცხლეს ამ ციცაბო ფერდობებზე.

ფოთლებით დაბურულ უზარმაზარ კედელზე აქა-იქ შეშის დასაცურებელი ღარებია. მორების დაგორებას მცენარეულობა მოუსპია და მოლიპული ღარები ტყის სიმწვანეში შორიდან თეთრად მოჩანს.

ვინ იცის დღეში რამდენჯერ შევხედავდი ამ ციცაბო კედელს. მაგრამ თვალი მუდამ მისი მწვერვალისაკენ გამირბოდა, იქითკენ, სადაც მოტიტვლებულ ადგილზე, ვინ იცის რა ხნიდან, განმარტოებით დგას ლამაზი მუხა...

დგას განმარტოებით... განა იმიტომ,რომ ბებერს გრძნობა დაჩლუნგებია,სული გაუხეშებია,სხვა შესძულებია და თავი შეჰყვარებია. ო, არა, არა! არ გაქცევია სხვებს, თვითონ არ განმარტოებულა. დრო და ჟამმა შემოაცალა მას ხე და ბუჩქი. ზოგი ქარიშხალმა მოთხარა და მოგლიჯა, ზოგს წვიმამ გამოურეცხა ძირი და ფესვი,ზოგი კი მეხმა გააპო და დაანახშირა. მოტიტელდა მთის თხემი, მარტო მუხამ გაუძლო ქარსა და გრიგალს, წვიმასა და ჭექა-ქუხილს, მხოლოდ ბებერი მუხა შერჩა მთის მწვერვალს...

დგას მუხა მარტოდ–მარტო მწვერვალზე და ტოტებგაშლილი ეგებება გრიგალებს და ელვათა კლაკვნას.

გავხედავ მთას და თვალს იტაცებს ბებერი მუხა: იგი ანდამატივით მიზიდავს, რადგან სხვებისგან გამოირჩევა, სხვებზე უფრო ძლიერია, უფრო გამძლე და ამტანი.

ირგვლივ მრავალი სერი და მთაა ტყითდაბურული. თვალს ვაკლებ მათ, მაგრამ მაინც ბებერი მუხისაკენ გამირბის.

გულს ახარებს მისი შეხედვა. მუდამ საოცნებოდ განმაწყობს მისი დანახვა. იგი მზერას მტაცებს და მიზიდავს თავისკენ, სულ ზევით, ზევით!...

ავგუსტა

ავმა კაცმა ინატრა – ნეტავი ქვად მაქცია და გზაზე დამდო, ყველა ჩემმა მტერმა, რომელიც თავს კეთილ კაცს ეძახის, ფეხი წამკრას და წაიმტვრიოსო.

და იქცა ავი კაცი ქვად.

გზადმიმავალმა კეთილმა კაცმა ფეხი წამოჰკრა და სიმწრისაგან ჩაიკეცა...

„სხვამაც არ წამოჰკრას ფეხიო“ – გაიფიქრა მან (აბა რა კეთილი იქნებოდა, სხვაზე რომ არ ეფიქრა!), ქვა აიღო, მოიქნია და შორს ხრამში გადაისროლა.

ხრამში კი ვის რა უნდოდა და წინაც ვერავის უხედებოდა ქვა. ბოლმით გულზე გასკდა: ამისთვის ვიქეც ქვად,მხოლოდ ერთ კაცს წავატეხე ფეხიო?!

* * *

გზადმიმავალმა კაცმა ქვას ფეხის წვერი წამოჰკრა და ტკივილისაგან ჩაიკეცა.

– აი, ხომ ხედავ, მე შენზე ძლიერი ვარ! – შესძახა ქვამ.

კაცს მწარედ ჩაეცინა. ქვა გაბრაზდა:

– როგორ,ეჭვი გეპარება? განა შენ თვითონ არ გითქვამს მრავალჯერ: ქვასავით მაგარიო? დამიჯერე, შენზე კერკეტი ვარ!

კაცმა არაფერი უთხრა, ქვას ხელი დააელო და კლდიდან მომჟონავი წვეთების ქვეშ დადო.

აი, პირველი წვეთი დაეცა...

– ჰა,ჰა,ჰა – გაიცინა ქვამ – ამ წვეთმა რა უნდა დამაკლოს! შენ კი წვიმის წვეთი რომ დაგეცემა, ან სახლში შეეარდები, ან ქოლგას ეფარები.

წვეთები კი ქვას ყოველ წამში ეცემოდა.

გავიდა ხანი და ქვას სიცილის მადა დაეკარგა. წყლის წვეთებმა მაგარი ქვა ამოჭამა, გამოხრა და თანდათან ნამცეც-ნამცეცად დაშალა.

ჩანახატი სინამდვილიდან

მოედანზე, სიგარეტის მაღაზიის წინ ხალხი შეგროვილიყო და შეჰყურებდა გაცვეთილპალტოიან მოხუცს. ის კი დაბალ სკამზე იჯდა: წინ მაღაზიის კედელთან ჩარჩოზე გადაჭიმული ტილო აეკუდებინა, მარცხენა ხელში ახლადგამოსული პაპიროსის კოლოფი ეჭირა, რომელზეც ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული ტარიელი ესატა, და ხმლით მტრებს თავზარს სცემდა...

მოხუცმა კიდევ ერთხელ დაჰხედა კოლოფზე დახატულ სურათს, ტილოზე ცარცით წერტილი დასვა. მერე ხაზი გაუსვა. კვლავ ნახატს დააკვირდა და ნელ-ნელა ცხენის თავ-კისერი და წინა ფეხების კონტურები მოხაზა.

გვერდზე დადებული პატარა ყუთი გახსნა და საღებავები შეაზავა. ნახატს ჩააცქერდა, ფუნჯი ფრთხილად მოუსვა ტილოზე, ჯერ ლურჯი ფონი შექმნა. მერე თანდათან გამოკვეთა ცხენის თავ-კისერი და ჰაერში გაქნეული წინა ფეხები. ლანდსავით დააჩნდა ტარიელი.

მოხუცი კვლავ ცხენის თავს დაუბრუნდა. უცებ ნახევარ მოსმაზე ფუნჯი აიღო და საღღაც სურათის ბოლოში გადახტა.

ხატავდა დინჯად და თვალს არ აცილებდა კოლოფს. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა შეგროვილ ხალხს.

გამვლელნი შედგებოდნენ და დიდხანს ტკბებოდნენ ამ სანახაობით.

ბავშვები მის ყოველ მოძრაობას ადევნებდნენ თვალს.

– რა კარგად ხატავს! – გადაუჩურჩულა მხატვრის ზურგს უკან მდგარმა ბიჭუნამ მეორეს.

– დიდხანს მოუნდება... – ივარაუდა მეორემ.

შეგროვილ ხალხთან შესერდა ბოხოხის ქუდიანი ახალგაზრდა. მას შარვლის ტოტები კოჭებთან რატომღაც შებნეული ჰქონდა. წინ წაიხარა, ხელებით მუხლებს

დაეყრდნო და მოხუცს გვერდიდან შეეხედა. ერთხანს ასე უყურა.

– სულ ხატავ და ხატავ, მოხუცო, ა?

მხატვარმა ნელა მოაბრუნა თავი. დიდხანს უყურა მდუმარედ. შლიაპიანმა მაყურებელმა გაიფიქრა: „ვიღაც თავხედი ახალგაზრდაა," ახალგაზრდა კი ალერსიანად მიესალმა მოხუცს.

– სულ ხატავ? – ისევ ჰკითხა.

– როგორც ხედავ. შენ კი მოჩვენებასავით გამოჩნდები და გაქრები ხოლმე.

ახალგაზრდამ გაიღიმა და უპასუხა:

– ამ ბოლო ხანს დარიალის ხეობაში ვარ. სულ პეიზაჟებს ვხატავ, სულ პეიზაჟებს...

მას ხელში რამდენიმე უბრალო სახატავი რვეული ეჭირა. ჯიბეები გამობერვოდა. ეტყობოდა მომარაგებული იყო სახატავი მასალით.

ცოტა ხანს კიდევ იდგა. მერე უკანიდან მოუარა მოხუცს, ნახატს ერთხელ კიდევ დააკვირდა – ნახვამდისო! – მიაძახა და წავიდა

მოხუცმა კი ფუნჯი საღებავში ჩააწო და უხმოდ ხატვა განაგრძო...

ბედისწერა

მე და ჩემმა მეგობარმა, რა თქმა უნდა, ერთ ოთახში მოვითხოვეთ დაბინავება და კიდეც გაგვიმართლა. მაგრამ ოთახი სამსაწოლიანია. ვინ იქნება მესამე? ამაზე დიდადაა დამოკიდებული როგორ დაისვენებ, როგორ გაატარებ დროს. და ძალიან გაგვიხარდა, როცა ოთახში ჩვენი ტოლი 30 – 31 წლის ტანადი, ლამაზი და რაც მთავარია, მხიარული და ჭკვიანი ვაჟკაცი შემოგვისახლეს. იგი ებრაელი აღმოჩნდა რუსი ებრაელი, მიშა ერქვა. ჩვენ მალე გამოვნახეთ საერთო ენა და ყველგან ერთად დავდიოდით: სასადილოშიც, ზღვაზეც, ცეკვებზეც და სასეირნოდაც.

მიშა რიგაში ცხოვრობდა და მუშაობდა, რომელიღაც ქარხნის იურისკონსულტად. ხშირად სიყვარულით ახსენებდა ამ ქალაქს და განსაკუთრებით თავის პატარა გოგონას.

ცოლი კი არასოდეს არ უხსენებია. იმანაც დაგვაინტერესა, დასასვენებელ სახლში რატომღაც არცერთი ქალი არ მოიწონა, ჰლაუზეც არავინ აღმოჩნდა მისი შესაფერი, თუ გადმოვარდნაა, ბედაურიდან გადმოვვარდეო, სულ ამას ვაიძახოდა. ჰოდა გვაინტერესებდა – ასეთი გემოვნების მქონეს ნეტავ ლამაზი ცოლი თუ ჰყავსო...

მაგრამ ცოლი ერთხელაც არ უხსენებია მიშას.

გავიდა რამდენიმე დღე. კულტმუშაკმა გამოაცხადა საღამოს ზღვაზე გასეირნებას ვაწყობთო. ჩვენც სამივემ გადავწყვიტეთ ზღვაში გასვლა. აგვისტოს მეტად ცხელი დღეები იდგა და, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვბანაობდით, მაინც სიგრილეს ვეძებდით. ღამით კი გემბანზე დგომა და ზღვაურისათვის გაღეღილი მკერდის მიშვერას რა სჯობია!

როცა ხუმრობითა და სიცილ-სარხარით ნავმისადგომთან მივედით, პატარა თბომაველის გემბანი ხალხით გაჭედილი, ყველა სავარძელი და სკამი დაკავებული დაგვხვდა, თუმცა გულმოდგინედ მიათვალიერ-მოათვალიერა მიშამ.

– ვერ მოგართვეს სავარძელი, ძმობილო!.. – გავეხუმრე მიშას. მან კი, თითქოს ჩემი ხუმრობის საპასუხოდ, ხელები ნიდაყვებში მოხარა, სახის წინ ააკანკალა და ნერწყვის ყლაპვით განუწყვეტლივ „და– და – და –და"- ძახილი დაიწყო. თან თვალებს დაბნეულად აქეთ-იქეთ აცეცებდა და წამწამებს ახამხამებდა.

ეს არტისტიც ყოფილა – ამ გზით უნდა ადგილი იშოვოს? რაღა ეს საშინელი სენი დაიბედა-მეოქი გავიფიქრე. გულწრფელად მწამდა, რომ თავს იბნედიანებდა. ხმამაღლაც კი შევძახე:

– აბა, აბა, ნუ სიმულიანტობ ძმობილო, სულერთია ადგილს მაინც არავინ დაგითმობს!

ჩემი მეგობარიც ისე იღიმებოდა, შევატყვე ისიც მიუხვდა მიშას ეშმაკობას. მიშამ კი ყურიც არ გვათხოვა დაუინებით გაიძახოდა:

– და, და, და, და...

გავიფიქრე: აღარ ამოაყრეს მაიმუნობას? მაგრამ კიდევ რომ შევხედე, ტანმა მიგრძნო: „აქ რაღაც სხვა ამბავია!" ძნელი იყო ხელოვნურად ასე თავის მოგიჟიანება. სახე გაფითრებოდა, ზედ საშინელი შიში აღბეჭდოდა, მზერას

აზრი დაჰკარგოდა... არა, არ არის ეს თამაში! ოჰ, ღმერთო ჩემო... ნუთუ?..

ჩემს მეგობარს გადავხედე. ახლა ისიც გრძნობდა რომ რაღაც სამწუხარო სანახაობის მოწმე გავხდით. ირგვლივ მყოფნიც შიშითა და სინანულით შესცქეროდნენ აკანკალებულ მიშას.

მიშა კი იტანჯებოდა. მერე ხელების კანკალს უკლო, „და-და-და"-ს ძახილიც შეწყვიტა, სამაგიეროდ, თითქოს ვიღაც დანაალესილი ეპარებოდა,შიშისაგან დაფეთებულ თვალებს ისე დაუწყო თავის ირგვლივ ცეცება, რომ საბოლოოდ დაერწმუნდი – საშინელი სენი სჭირვეებია-მეთქი.

როგორც იქნა დაწყნარდა, თანდათან გონს მოეგო. აზრიანი სიტყვაც ამოთქვა და საუბარში ჩაერთო. ჩვენ კი ვითომ არაფერიო, პირი შეეკარით, კრინტი არ დაგვიძრავს მის ავადმყოფობაზე.

მე გული მტკიოდა და ახლაც რომ გამახსენდება, ცუდ გუნებაზე ვდგები: მაინც რა დამემართა, კაცი თურმე იტანჯებოდა, დასაჯდომსაც ალბათ იმიტომ ეძებდა და რას ყალთაბანდობ-მეთქი, ვაქილიკებდი.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მოუარა ავადმყოფობამ. უფრო და უფრო რომ დავახლოვდით, გვეკითხებოდა:

– მაგარი შეტევა მიქნა ახლა?.. დღეს ძალიან ცხელოდა და იმის ბრალია.

ჩვენ გვაინტერესებდა გაგვეგო, როგორ დაემართა ეს ავადმყოფობა, მაგრამ ვერიდებოდით ამაზე სიტყვის ჩამოგდებას. ბოლოს როგორღაც ფრთხილად და თავისთავად წამოიჭრა ეს საკითხი.

შევატყვეთ რომ უჭირდა ამ საგანზე ლაპარაკი და ძალიან ძუნწად, თითქმის ორიოდე სიტყვით გვიამბო:

– ომის დროს ტყვედ ჩავვარდი. იქიდან გაიქეცი და პარტიზანებს შევუერთდი. მიტოვებულ მაღაროებში ვიმალებოდით. აი იქ გერმანელებმა სასტიკად დაგვბომბეს, მაღარო ჩამოიქცა და შიგ მოვყვევი. საშინელი წუთები განვიცადე ცოცხლად დამარხულმა... საშინელი... როგორც იქნა გამომათრიეს ამხანაგებმა. აი, იმის შემდეგ დამჩემდა ეს ავადმყოფობა...

ჩვენ არ შეგვიწუხებია მეტი კითხვებით. თუ იტყოდა რამეს, თავისი ნებით. თვითონ კი თავის შესახებ,

თავის ცხოვრებაზე, ოჯახზე ბევრს არაფერს ამბობდა მაინცდამაინც. მხოლოდ თავის პატარა გოგონას იხსენებდა მუდამ ისეთი სიყვარულით, რომ ვგრძნობდით: მის მეტი არაფერი ახარებდა, ეს იყო მისთვის ყველაფერი.

ცოლი კი ერთხელაც არ უხსენებია მიშას.

IV.

ვალერიან კვერენჩხილაძე

მშობლიურ მხარეს
(პოემა)

თავი I

გვარის წარმოშობა

ადამიანის გაჩენის დღიდან
მას თან დაჰყვება გრძნობა ფარული,
უდიდეს ტრფობას სამშობლოსადმი
თან ახლავს სითბო და სიხარული.

ღრმა სიყვარული მისი ერისა
გონებით ჯანსაღ კაცს ევალება,
კეთილშობილურ ამ ვალის მოხდას
ზოგი გაურბის და ემალება

ზოგიც ამ საკითხს სხვა მხრივ უყურებს,
ისე გადაწყვეტს, როგორც სჭირდება,
თანდაყოლილი არა აქვს გრძნობა
და რას აკეთებს, არ უკვირდება.

აღარ ეძიებს, არც ედარდება
მამა-პაპათა საქმე ქებული,
მის გულს ეს განცდა ოდნავ ეხება,
მშობლიურ გრძნობას მთლად მოკლებული.

იქნებ დაჰყვებათ დაბადებიდან
ეს თვისებები დასაგმობელი?

არა! აღსრდაა აქ დამნაშა�,
გვარი, მშობელი კერა, სოფელი!

ამათი წრიდან წარმოიშობა,
ვინაც უკან სწევს ერის სვლას წინა,
ვინც შეურაცხყოფს ქართველის სახელს,
წინაპართა სისხლს ძარღვებში ყინავს.

ყველა ჩვენგანი, დაკვირვებული,
დაინტერესდეს უნდა წარსულით –
გვარით, ჯილაგით, წარმომავლობით,
წინაპრის ამბით, აწ გარდასულით.

და მეც გადავწედი შორეულ ამბებს,
რომ შემესწავლა გვარის წარსული,
მისი წარმოქმნა, წარმომავლობა
მსურდა გამეგო გულით და სულით.

დიდი ხნის წინათ, ჩვენი სოფლის ტყეს
შემოხიზვნია ვინმე ლტოლვილი,
იქ ატარებდა ღამესა და დღეს,
საკუთარ განცდებს გადაყოლილი.

იწვნია ბევრი სიცხე და თქეში,
ტყე აპურებდა და იფარავდა,
ის მარტოსულად ცხოვრობდა ტყეში,
არვის ერჩოდა, არვის პარავდა.

დიდხანს გაუძლო მან ამგვარ ყოფას,
იჯახირა და დიდხანს იწვალა,
ბოლოს ყველა გზა გადაეღობა,
ტანს სამოსელი შემოეცალა.

აწუხებს ჭუჭყი, ტყის კაცად იქცა,
ღამეს ემსგავსა მისი დღენია
და გადაწყვიტა სოფელს მიენდოს,
„დე მოხდეს, რაც კი მოსასდენია“.

თუმც ფიქრობს: იქნებ არც კი დამინდონ,
ტყის ნადირად ვარ თითქმის ქცეული,
დამიჯერებენ? რომ ვარ მართალი,
უსამართლობას გამოქცეული?

თურმე სოფელსაც შეუმჩნევია,
რომ არ ქურდობდა, ენებდა არაკის
და გადაწყვიტეს, რომ შეიფარონ,
ისურვეს ნახვა მისი კარავის.

გაკვირვებული დაუწყეს ცქერა,
ოცდასამი წლის წვალებულ ყმაწვილს,
გაჭირვებია მკერდში გულს ძგერა,
და ჩავარდნია შიმშილით ღაწვი.

თვალებში ცრემლი ჩაუდგათ მწარე,
როდესაც კაცი ამ დღეში ნახეს,
უთხრეს: გეტყობა კაცი ხარ ნაღდი,
მაშ რად გაგვირბი, გვარიდებ სახეს?

დაბანეს, ტანზე გამოუცვალეს,
გაპარსეს, მისცეს მჭადი და ყველი,
წვრილად გაიგეს მისი ამბავი
და გაუწოდეს იმედის ხელი.

მთელმა სოფელმა ღრმად განიცადა
იმისი ბედი შავი და მწველი,
თქვეს: კაცი ხიფათს რომ ავაცილოთ,
მას შევუცვალოთ სახელი ძველი.

მის მებატონეს, მზვერავ-მდევნელებს
რომ ავუბნიოთ გეში და კვალი,
ეს კაცი ჩვენი მკვიდრი გავხადოთ
და ავუხვიოთ მის მდევრებს თვალი.

ამისთვის უნდა გვარი შევცვალოთ,
მეგრული „ია“ „ძედ“ გამოვკვეთოთ

და ძველი გვარი „კვარაცხელია“
„კვერენჩხილაძედ“ გადავაკეთოთ.

ასეც მოიქცნენ, ამგვარმა ხერხმა
გადააჭარბა ერთობ მოლოდინს,
სულ ჩაიფუშა ბატონის გეგმა
ურჩი ყმის ძებნის, ზრახვა ბოროტის.

რისთვის განიცდის მის ბედს სოფელი?
რის გამო მოსწყდა ის მშობელ კერას?
და ეს ამბავი, თუნდაც ათჯერ თქვას,
რად იწვევს ღელვას და გულის ძგერას?

თურმე ერთ ღამეს, აგვისტოს თვეში,
ეს ახალგაზრდა ბატონმა იხმო,
უთხრა: გავიგე ცოლს ირთავ ხვალე,
ჩემი ყმის ასულს, ერთგული მიხოს.

დაიცავ ადათს წინაპართა და,
ვიდრე ქორწილის გაქვს სამზადისი,
ამაღამ მომგერი საცოლეს შენსას,
უკან გაგატან ხვალე დილისთვის.

აანთო ვაჟი ბატონის სიტყვამ,
შემოეკიდა სახეზე ალი
და მტკიცედ უთხრა – ქვა დახვდა სეტყვას:
„დღეიდან მე ვარ პატრონი ქალის!“

შემოუტია ბატონმა მკაცრად:
„გლეხო, იცოდე წესი და რიგი!“
მაგრამ მისმა ყმამ პასუხი გასცა –
ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან იგი.

განრისხებულმა ბატონმა ბრძანა
შეპყრობა, დასჯა სიკვდილით ურჩის,
გვერდში დაუდგა მოხელე მეფის,
რომ ბატონყმობის არ შედრკეს ბურჯი.

გიგო მიხვდა, რომ მზე ბნელდებოდა,
გაიქცეს უნდა, გადაიხვეწოს,
მდევარი მისდევს, მაგრამ ვერ აგნებს,
ბატონი ავობს, ბატონი მხეცობს.

გიგო სირბილით რომ დაიღალა,
ეკლებში ჩაწვა, დამალა კვალი,
დაღამებამდე აქ უნდა დარჩეს,
ეს არის მხოლოდ გამოსაცალი.

ღამით კი უნდა ტყეს შეერიოს
ისე განაგრძოს გზები ფარული
და შეუმჩნეველად მიადგეს რიონს,
გაღმა გადასვლით დაიხსნას სული.

მის კვალს მიაგნეს შინაურებმა,
და წარუმართეს საკალი წაღმა,
ის გაიყვანა წყალზე ურემმა
და გული დასწყდა გადასულს გაღმა.

ამგვარ წვალების შემდეგ აღმოჩნდა
უცხო მხარეში ლტოლვილი ასე,
შესჩივლა ღმერთს და უსაყვედურა:
„რად გამაჩინე ამ ქვეყანაზე“.

თუმცა სმენია კუთხის სახელი –
მოიმე ხალხია, მოიმე გურია,
მას ეშინია მაინც გამხელის –
რისთვის მოვიდა, სადაურია.

იგი აღმოჩნდა კეთილი გულის
ოსტატი, მცოდნე შესანიშნავი,
თუ სჭირდებოდა კუთხეს და სოფელს,
მუდამ მზად იყო დაედო თავი.

შვილად მიიღო სოფელმა იგი
და სათნო ქალი არგუნეს ცოლად;

ის შეხარიოდა დღედაღამ შრომას,
და არა უქმად, თეძოზე წოლას.

ასე ჩასახლდა ამ ჩვენს კუთხეში
კაცი მშრომელი, ბუნებით ობილი,
ამ უცხო გვარის, ცოტა უხეშის,
ტანჯვა-განცდის გზით წარმოშობილი.

ოთხი თვე დაჰყო გრიგოლმა ტყეში
ყინვით, სიცივით სახე ეწეოდა,
პატივსაცემად იმ ხევს, იმ ღელეს
„საგრიგოლობო ღელე“ ეწოდა.

თავი II

გვარის წარსული და მომავალი

ზუსტი თარიღი გვარის გაჩენის
დღემდე არ არის ჩვენთვის ცნობილი.
რამე საბუთი იმ დუხჭირ დროის
არსად არ არის შემორჩენილი.

მაგრამ შემორჩა ხსოვნას ის მწვაევედ,
რაც იმ ლტოლვილმა გადაიტანა,
გადმოცემებმა შემოგვინახა,
დრომ ვერ წაიღო უკვალოდ თანა.

ისიც გავიგეთ, თურმე გრიგოლი
ყოფილა გლეხი წალენჯიხელი,
მოვინახულეთ ის ადგილები,
მიგვიღეს ძმურად და მოგვცეს ხელი.

ვეძიეთ, იქნებ გვენახა ვინმე,
გიგოს წინაპართ სცოდნოდა კვალი,
ეგებ გაგვეგო დრო და ადგილი,
სად იდგა მათი სახლი და კარი.

გადმოცემებით, ამ ამბის შემდეგ,
ჩანს, ასორმოცი გასულა წელი,
ვერავინ გაძლო, ირკვევა, დღემდე
და ყველას მისწვდა სიკვდილის ცელი?

გიგოს ახალმა გვარეულობამ
ორმოციოდე ოჯახს უწია,
ცოტა არის თუ, არც ისე ცოტა
დიდი ნამრავლი ვერ მოუცია.

თუ გავამრავლებთ საშუალოდ სამზე,
სულ ვართ ასოცი, განა მრავალი,
მიგვითვლის ამას საკმარ მატებად
და გვაპატიებს ჩვენ მომავალი?

ისტორიიდან ცნობილი არის,
ბევრი აღზრდილა ისეთი პირი,
რომ გვარს სახელი შემოუნახა
და შეუმცირა მას გასაჭირი.

სად იყო მათთვის იმ დროს ანბანი,
მაგრამ უჭრიდათ ჭკუა-გონება,
მახვილი აზრი, მშრომელი ხელი
მათი მთავარი იყო ქონება.

ერთ კუთხედ ღირდა თითო მათგანი,
მათი შრომა და ოჯახი, ყოფა,
ძმობა, ერთობა, გამოცდილება
სამაგალითოდ კუთხეს ეყოფა.

ესენი იყვნენ ბრძენი მოხუცნი:
არსენ, ვაზიკა, იოსებ, ბესია,
მსგავსებს ბევრს ნახავთ, თვით კი ისინი,
ერთი მეორის უკეთესია.

როს მათ ვიგონებ, იოხებს გული,
სთესდნენ სიკეთეს გულგადაშლილად,

იყვნენ გვარ-ტომის გული და სული,
გვარში ყველანი მიაჩნდათ შვილად.

როს ყმობა მოსპეს, დადგა სინათლე,
გლეხმა დალანდა იმედი სწავლის,
მას აქეთ ჩვენს გვარს აქვს საზრუნავი
შვილების აღზრდის, მათი მომავლის.

თავს არ შეგაწყენთ ტრაბახით, ქებით,
თითქოს ბევრი გვყავს განთქმული პირი,
ისე რჩეული დიდ მიღწევებით,
რომ შეუნელოს ერს გასაჭირი.

ჩვენს გვარში ორი პროფესორია,
სამი დოკენტი, ხარისხის მქონე,
ზოგიც ისწრაფვის ამ მიზნისაკენ,
რომ უზრუნველყოს მაღალი დონე.

გემართებს სიფხიზლე ამ მიმართებით
და ახალ გეგმით წინ სწრაფვა მარად,
ჩვენ რასაც მივწვდით და მივაღწიეთ,
ჩვენი გვარისთვის დღეს განა კმარა!

ჩვენი მშობელი ხორეთი არის.
წარსული ყოფის მოსაგონარი,
ჩვენთვის განთქმული სიმშვენიერით
მიმზიდველი და ღირსსახსოვარი.

თუმც მწირ-ქვიშნარი და შელმართია,
ორმაგი შრომა უწევთ მის მკვიდრებს,
აქ დაბადებულს ის მუდამ ახსოვს,
ერთი სული აქვს, იხილავს ვიდრე.

ან მშობელ სოფელს რომელს არ დაჰყვა
ანდამატი და ნექტარი მშობლის?
მაგრამ სულ სხვაა (თუ გვეჩვენება?)
ხორეთის ცაზე ირაო ორბის.

სხვა მხარეს ბევრი სოფელი არის
ლამაზი, სწორი, მარად მზიანი,
ბალ-ვენახებით კარგად შემკული,
ყველაფრით სავსე, მოსავლიანი.

ვერ შევადარებ იმათ ჩემს სოფელს,
მაღალმთებიან მწირს და ქვიშიანს.
თუმც უსიერი ტყე და კლდეები
მის სიყვარულში ხელს არ გვიშლიან.

პირიქით, უფრო ინტერესს გვიქმნის,
მშობლებს გვახსენებს ეს არემარე.
მასზე ფიქრით და ნატვრის სურვილით
მაგნიტის ძალით გვიხმობს ეს მხარე.

მისი ციტრუსი, ჩაი, მის ხეებში
საგირგოლობო ღელე რომ მორბის,
ქედიდან ხილვა შავი ზღვის, ფოთის,
მის დიდ აღმართზე ჭრიალი ბორბლის.

სამოთხიდანაც აქეთ მოვილტვი,
ვიგონებ წარსულს საამოს, ნეტარს
სუფთა ჰაერი, ანკარა წყალი,
რა ანდამატის ძალა აქვს ნეტა!

თავი III

საგირგოლობო ღელე ძველად და ახლა

პატარა ღელე დაბურულ ხევში,
იმ გირგოლის რომ ატარებს სახელს,
გამქელელს ანკარა ციცი წყლის თქეშით,
წყურვილს უკლავს და უგრილებს სახეს.

ძალზე ნაზია ის მშვიდ ამინდში,
შეუმჩნეველი და უწყინარი,
ზოგჯერ რაკრაკით, ზოგჯერ ბუტბუტით,
ასე ღრმად, კლაკნილ ხევში მდინარი.

გადაირევა ზოგჯერ ავდარში,
ხშირი წვიმებით გადიდებული,
აღარ ეტევა ის ხევის ღარში,
ნაპირს აწყდება გაავებული.

ღელე მძვინვარებს, გლეჯს ძირიანად
ხეებს და ბუჩქებს, ატანს იმ ღვარსა,
ბანს აძლევს მთები, ედება ქაფი
და გეჩვენება აქცევს მთა-ბარსა.

ღრმა ხევი კი დევს კლდის კედლებს შუა,
ზოგან ციცაბო ტყიან მთებს შორის.
ქვა-ლოდიანი, სულ ოღრო-ჩოღრო,
სულ დაკლაკნილი და არა სწორი.

ზოგან ბეღელის ტოლი ლოდები,
ჟამს დაუფარავს მიწით და ხავსით,
ზედ ბუჩქი და ხე, მოზრდილ ტოტებით,
ხარობს... განცვიფრებს სურათი მსგავსი!

ზოგ ლოდს, უძრავად რომ დევს მუდმივად,
მდიდარი ხავსი მოჰკიდებია,
მთლად დაუფარავს და მწვანედ ღვივის,
მინდვრის სიმწვანე გადასდებია.

ხევის წიაღში სიცოცხლე სუფევს,
იმას მუდამ ჰყავს იქ ბინადარი,
მუდმივი ჩრდილი ხევს უკსებს უბეს,
მსგავსი სიგრილე არსად არ არის.

და როს ზაფხულში სიო არ იძვრის,
ალმური ასდის, მიდამოს, იწვის,
გსურს თავს უშველო? ხევს შეეფარე,
მისი სიგრილე ტანთ გადაიცვი.

ხევს თავს ღამემდე აფარებს კაცი,
სულს მოიბრუნებს სიგრილით ღელის,
შემდეგ „საცივის“ წყლით გაგრილდება,
სასიამოვნო შვებას გრძნობს ყელი.

ამგვარად გვახსოვს და გვევლინება
საგირგოლობო ღელე დღეს ასე,
გაგვიგია კი, მისი დინება
ძველად ყოფილა უფრო წყალსავსე.

შორიდან ჰქონდა მას დასაწყისი
და კალაპოტში ძლივს ეტეოდა,
მდიდარი იყო ის ტყის ფაუნით
და მის ცივ წყალში კალმახი ხტოდა.

რაც ახლომახლო გაშიშვლდა მთები,
ტყე გაიჩეხა, გამეჩხრდა ჩერო,
მოვიდა, დადგა წყლის კლების ჯერი,
რა უნდა უქნა, რომ შეაჩერო?!

ერთ დროს წყალსაცსე უხვმა მდინარემ
იკლო და თევზიც სულ გადაშენდა.
ზოგჯერ იხსენებს წარსულს, მძვინვარებს
და დიდ მდინარეს ემსგავსოს უნდა.

ჩვენს ბავშვობაში ღელე და ხევი
სიამოვნების გრძნობით გვაესებდა,
ის იყო ჩვენი წყარო სიმხნევის...
ეჰ, გახსენებამ მომგვარა სევდა.

თავი IV

ბავშვობა. სტუდენტობა, ხარდა ზმულობა

მეც მოვსწრებივარ წვრილ თევზებს ხევში,
ჩემს ბავშვობაში ვიჭერდით ხელით.
ერთხელ შევყავით ხელი ჯილეში,
თევზის მაგიერ შემოგვრჩა გველი...

სიცოცხლე იყო ჩვენთვის ის ღელე,
გვიყვარდა ხევში ჩასვლა, ჩარბენა,
გუბეში დგომა და იქ თამაში,
სუფთა წყლის მუდამ გვართობდა დენა.

შემდეგ ბარტყების ძებნა, მიკვლევა
გვახალისებდა, გვაძლევდა ლხენას!
ვინ მოთვლის, ბავშვურ იმ გატაცებას,
დღეს ხალისს გვმატებს ის წარმოდგენა.

დრომ ჩაიარა ღელის წყალივით,
ბავშვობის, ყრმობის გაფრინდა ხანა,
დიდი განცდები მარგუნა ბედმა
და შემამთხვია რთულ ამოცანას.

სავსეს ჯან-ღონით მინდოდა ჯობნა
უძლიერესი ტოლის და სწორის,
შეებად მიმაჩნდა წიგნებთან ყოფნა,
ბევრჯერ ეიშრომე ოდენი ორის.

ვერ დავტოვებდით ჩვენ საგნებს ეალად,
მთელი ზაფხული უნდა გვეშრომა,
სტუდენტობის დროს გვერწყა, გვეთოხნა,
რომ შევხვედროდით უხვ შემოდგომას.

განვლო იმ დრომაც, მადლობა ხსოვნას,
წარსული ცხადად რომ შემინახა.
შემოკლდა დღენი ჩემი ცხოვრების,
ჟამთა მსვლელობამ ასე დასახა.

შესუსტდა მუხლი, დასუსტდა გული,
თუმცა გონება დღემდე მაქვს საღად,
ყოველდღიური შრომა მიტაცებს,
ჯერ ეს ხალისი არ მიდის არსად.

ბავშვობაში რომ მენატრებოდა,
ის სურვილები ისევ მიტაცებს,
მსურს მღვრიე წყალში ვიჭერდე თევზებს,
წვიმიანი დღეც მგერის სიხალისეს.

მინდა რომ ერთხელ კვლავ ვინახულო
წყლის წისქვილის ქვა, ნახევრად თლილი,
ქვისმთლელ ოსტატის სიკვდილის შემდეგ
წვრილ ცოლშვილისგან მივიწყებული.

ეხლაც დავდივარ მე იმ მხარეში,
ჩემს ახლობლებში, ნათესავებში.
ამ მიდამოებს რომ მიმოვიველი,
ვგრძნობ აჩქეფდება სისხლი ძარღვებში.

და რამდენჯერაც სოფელს ვეწვევი,
სიახლეს ამჩნევს ხსოვნა და თვალი,
იცვლება კაცი, ხეხილი, ხევი,
ღელე და სახლი, ძველი გზა-კვალი.

ბიძაშვილი მყავს იქ ღვიძლი, მკვიდრი,
დიყლათიანი ოჯახის თავი,
თანამედროვე ყოველმხრივ კაცი,
ბეჯითი შრომით რომ უდგას ხვავი.

ქალაქში მას ჰყავს შვილი ოჯახით,
მათი სოფელში სტუმრობით ხარობს,
გვერდში მეუღლე უდგას ბეჯითი
თანხმობისა და სიმშვიდის წყარო.

კეთილი გულით ნათესაობას
შორიშორ ყოფნა არ მოგვიწონა,
ხშირი მიმოსვლა, ხშირი სტუმრობა
და კიდევ ბევრი სხვა რამ იღონა.

დაგვაახლოვა ნათესავები,
ერთმანეთლით, თანაც ეუფასებთ შრომას
თუ მისვლა-მოსვლა ახლა გვაქვს ხშირი,
დამსახურება მიუძღვის ნორას.

სოფლის დაწყებით სკოლას უძღვება,
ბავშვების აღზრდას ის მტლად ედება,
მშობლიურ სოფელს ექომაგება,
ესაა მისი სულის დიდება.

მათ ოჯახს კარგი მომავალი აქვს,
ვაჟი მეცნიერ-კანდიდატია,
მეცნიერების გზაზე შემდგარმა
ბევრი უძილო ღამე ათია.

მედინსტიტუტის სანდო მსახური,
რაც შექმნა, იმას განა სჯერდება?
ჩამდგარა ერის დიდ სამსახურში,
და მწამს, შუა გზაზე არ შეჩერდება.

ამ ოჯახს ხშირად ვნახულობ ახლაც;
ეს კერა არის გულგასახარი,
თანაც მაგონებს ის ძვირფას წარსულს,
მამანემს გვერდით ჰქონდა სახლ-კარი.

დიდი ხალისით შეუდგა გენო
შავი ზღვის პირად ჩემს დასახელებას,
მან გადიტანა ეს ტვირთი ზურგზე,
მიწევდა მუდამ ძმურ დახმარებას.

ახლო ბიძაშვილს გაწეულ შრომას
მარად ვუხსენებ, მარად ვუფასებ,
ამ ძმურ გაგებას არ უჩანს ბოლო,
ასე იყო და დარჩება ასე.

თავი V

სიზმარი

ერთხელ, გენოსთან სტუმრად ყოფნის დროს
გვიან დავწექით, საუბრის შემდეგ,
რომ დამეძინა, სიზმარი ვნახე,
ახლავე გეტყვით მე იმის შედეგს.

ძილში ვიღაცამ ხელი წამაელო,
მითხრა: „ადექი, გამოდი სწრაფად,
ხევს გადახედე ღია დერეფნით,
მსგავსს ვერ იხილავ ვერაფრის ფასად“.

რომ გაეიღვიძე, გარეთ გავედი,
ხევს გადავხედე ერთობ მღელვარეს.
არ მოველოდი, რაც მე იქ ვნახე –
მთლად შეცვლილიყო ეს არემარე.

კაშკაშა მთვარით განათებული,
ულრმესი ხევის ამ დიდ უფსკრულში,
მის ბინადართა ხმატკბილი სტვენა
გამიჯდა ერთობ სულში და გულში.

ხევის წიაღში და მის ფერდობზე
ლაღობს სიცოცხლე და სიხარული
ფრინველთ გალობა, სტვენა-ჭიკჭიკი,
გიტაცებს გრძნობა და სიყვარული.

ყველა ხიდან და ყველა ბუჩქიდან
ისმის ათასი ხმა გასაოცი,
ცალ-ცალკე ყველა ტკბილ-მშვენიერი,
ერთად კი – გუნდი ღირსია ლოცვის.

ვერ წარმოიდგენთ, რაც განვიცადე,
იმ სილამაზის, იმ სინეტარის
ახლაც დამივლის ტანს ჟრუანტელი,
მაშინ კი თითქმის ღმერთს დავედარე.
ამ მაღალი ხმით მწყობრი გალობა,
ფრინველთა სტვენა მე არ მსმენია,
დიდხანს ვფიქრობდი, ეგებ გამომრჩა,
სხვისგან თუ მსგავსი მომისმენია.

როგორც გაირკვა, ის, რაც მე ვნახე,
ამინდის შეცვლამ განაპირობა,
ხანგრძლივი სიცხის ბოლო დღეებში
სულდგმულს თან ახლავს დაძაბულობა.

სიო არ იძერის, პაპანება დგას,
ყველა სულდგმული ცდილობს დამალვას,
დაეძებს ადგილს, გრილს და მივარდნილს,
რომ დააღწიოს თავი ამ გვალვას.

ასეთ ადგილად ხევი მონახეს,
მისი წიაღი, მისი ხვეული,
სადაც სიგრილე შემონახულა
და გალობს ფრინველთ ათასეული.

მარტო არ მსურდა, რომ განმეცადა
ეს სასწაული სიამოვნება,
მსწრაფლ წამოვყარე ჩემიანები
და არ მივეცი მათ ძილის ნება.

როცა იხილეს და მოისმინეს
ბულბულთა სტვენა, შაშვთა გალობა,
სახე ეცვალათ გახარებულებს
და შემომწირეს გულით მადლობა.

თავი VI

მშობლიურ სოფელთან კაეშირი

როს ჩოჩხათისკენ წამიყვანს შარა,
მდინარე სუფსას გაყოლებული,
გული დაიწყებს ძგერას სხვაგვარად,
მშობლიურ კერას შეიგრძნობს სული.

შუა გზაზე შუთი შემეგებება,
სუფსას რომ ერთვის თავადაც წყნარი,

მალე მშობლიურ საგირგოლობოს,
ღელეს ვიხილავ ჩოჩხათს გამცდარი.

საგირგოლობო შუთს ერთვის ბოლოს,
შუთი კი სუფსას, მოზრდილ მდინარეს,
უკანასკნელი ზღვას ჩაერთვება,
შავად მღელვარეს, მუდამ მძვინვარეს.

ამაყობ! ღელე საგირგოლობო,
მსოფლიო ზღვებს რომ ტალღად შეერთვის,
თუმც ჩემთვის უფრო ძვირფასი არის
ანკარა წყარო მშობელ ხორეთის.

ალბათ მი'ხეზი ეს არის მხოლოდ,
როს ჩოჩსათის ცენტრს ცოტას გაეცდები,
შუთთან ჩართვამდე ვიხილავ ღელეს,
გამიახლდება ძველი განცდები.

თითქოს შემომხვდა ოჯახის წევრი,
მისი ნახვით მე სიმშვიდეს ვპოვებ,
რად მივატოვე ამდენ ხანს, ეჭვნაობ,
ისიც ჩურჩულებს: „რად მიმატოვე?"

ხორეთში ყოფნა, მშობლიურ მხარეს,
მე არასოდეს არ მომწყინდება
იმ ადგილების, სადაც მე გავჩნდი,
ნახვა, ფერება სულ მომინდება.

მოვინახულებ იმ ადგილს, სადაც
ჩემს ძვირფას მშობლებს შუაცეცხლი ენთო,
ასლაც მიტაცებს იმ ცეცხლის სითბო,
მსურს მისი კვამლით კვლავ გავიჟღენთო.

ჯერ მე ახლობელს მოვუსმენ ამბავს,
გავიგებ მისგან, რა უჭირს მხარეს,

შემდეგ მოვსინჯავ, რა შემიძლია,
რით შევეწევი, რით გავახარებ.

ყველა ის საქმე, რასაც მე შეეძლებ,
ჩემი ხელობა, დასტაქარობა,
კეთილი გულით ვუძღვენი სოფელს
იმის სანაცვლოდ, რაც მიწყალობა.

ასე ვუბრუნებ ვალს შვილი მშობელს,
ეს სათვალავში არც ჩაითვლება,
საქმე ის არის, რასაც ვერ შეეძლებ,
ის შეასრულო და მიეცე შვება.

თუ გასაჭირი კუთხის ან სოფლის
დაავადებით განისაზღვრება,
მაშინ ადგილზე ეცდილობ ვუშველო,
და ეაგრძნობინო ავადმყოფს შვება.

თუ მე არ მყოფნის ჩემი შეძლება,
რომ ამოვწურო ეს მკურნალობა,
მაშინვე ეცდილობ, შუამდგომლობით
რომ ჩავატარო, რაც მეეალება.

რუსეთში ეგზავნი რთულ ავადმყოფებს,
თუ მე არ მყოფნის ჩემი შეძლება,
საცდელს არ ეზოგავ, რომ უმკურნალონ
და მოაცილონ ტანჯვა და სნება.

მაგალითები ბევრია თქმულის,
შრომა ფასდება, თქმა ალარ უნდა,
ვინც გაგზავნილი მყავდა რუსეთში,
ყველა ჯანსაღად კვლავ დაგვიბრუნდა.

მეც დამაფასეს და კოლექტივის
აწ საპატიო გამხადეს წევრი,
მიწა გამოყვეს და მომიშენეს,
დარგეს ხეხილი კარგი და ბევრი.

იმ ადგილს ახლა ისე შევყურებ,
როგორც მომავალს, საკსე იმედით,
თითქოს ასაკით პატარა ვიყო,
მასსედ ეკიდოს ჩემი სვე-ბედი.

სითბო არ მაკლდა მე იმ სოფლიდან,
რომელმაც მშობა, მზარდა, ვით მართვე,
შავი ზღვის პირზეც მომცეს ნაკვეთი,
სააგარაკო სახლი გაემაროე.

ზაფხულის თვეებს იქ ვატარებდი,
მადლის თქმის მეტი ნეტა რა მმართოებს.
წყნარი ზღვის ცქერით ვტკბებოდი მუდამ,
იქ საცხოვრებლად მოვეწყვე ფართედ.

შეუჩნდა ჩემს სახლს ქურდი და წუწკი,
როცა გასცალა, მისდგა და ხიდან
ხილს ურცხვად კრეფდა,
როგორც საკუთარს,
და არხეინად ბაზარში ჰყიდდა.
შემძულდა მუდამ ამგვარი ყოფა,
მე სიბერის დროს ეს გასაჭირი,
სახლი იაფად მივეცი „ცენტრს“ და
მეც მოვიშორე თავიდან ჭირი.

ხანი გავიდა, მშობელ კუთხესთან
ჩემმა კავშირმა იმატა ათად
და ერთმანეთის პატივისცემამ
ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

კელავ კოლექტივის წევრი გამხადეს
და ჩემი გვარით შეავსეს სია,
ძმურად მიმიღეს, ნაკვეთი მომცეს
ამჯერად სოფელ ნიგვზიანშია.

ამ საქმეს მართლაც გულით მიუდგნენ
რაიონის და სოფლის თავკაცნი,
დამაკავშირეს ორივე ადგილს,
სად დავიბადე, სად დავეუკაცდი.

ამ ნაკვეთს ახლა უვლის ოჯახი
ჩემი მოყვარე, კეთილის მდომი,
ერთ აზრს ატარებს ორივ ცოლ-ქმარი,
რომ ჩემთვის შექმნან მყუდრო სადგომი.

მე ხშირად ვრჩები იმათ ოჯახში.
ავლენენ ჩემთან სრულ თანაგრძნობას,
ჩემს სიცოცხლეში რა დამავიწყებს
ეთერისა და შოთას მოპყრობას.

სანამ ფეხზე ვარ, არ მიმატოვებს
ამ კუთხისაკენ მუდმივი ლტოლვა,
როს არ ვიქნები, შვილ'ზე გადავა
მამულისადმი ჩემებრი თროოლვა.

თბილისი
15.V–1982 წელი.

შენიშვნებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ავტორს

მის.: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის №29
ტელ.: (+995 32) 23-09-23